სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გვანცა გვანცელაძე, თეიმურაზ გვანცელაძე

დამწერლობის ისტორია



სახელმძღვანელო უნივერსიტეტების სტუდენტთათვის

პირველი გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დამწერლობის ისტორიაში. წიგნში მიმოხილულია ისეთი ზოგადი და კონკრეტული საკითხები, როგორიცაა: დამწერლობის ფუნქციები, დამწერლობის შექმნამდე არსებული საკომუნიკაციო საშუალებები, მსოფლიოს დამწერლობათა კლასიფიკაცია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართების თვალსაზრისით, დამწერლობის განვითარების ეტაპები, თანამედროვე 14-ვე სადამწერლობო სისტემის მოკლე ტიპოლოგიური მიმოხილვები მათი ისტორიის ჩათვლით. ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული სადამწერლობო სისტემის ისტორიასა და მიმართებას სხვა სისტემებისადმი.

ნაშრომს ერთვის ფოტოილუსტრაციები, რომლებიც ამოკრებილია ელექტრონული რესურსებიდან.

სახელმძღვანელო აპრობირებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან 2014 წლიდან დღემდე და მიმდინარე სასწავლო წლიდან ინერგება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წიგნი სარგებლობას მოუტანს არა მარტო უნიეერსიტეტების სტუდენტებს, არამედ დამწერლობის ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ (ოქმი №6, 2020 წლის 26 დეკემბერი).

რედაქტორები:

† **ტარიელ ფუტკარაძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ ნაჭყებია – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

მანანა ტაბიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თამილა ზვიადაძე – ფილოლოგიის დოქტორი.

© გვანცა გვანცელაძე
© თეიმურაზ გვანცელაძე, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი", 2020

თბილისი, 0186, აკაკი ფაღავას, 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-815-1

თავი I

დამწერლობათმცოდნეობის საგანი, მიზანი და მიმართება სხვა სამეცნიერო დისციპლინებისადმი. დამწერლობის რაობა და ფუნქციები[1]

§ 1. დამწერლობათმცოდნეობის საგანი, მიზანი და მიმართება სხვა სამეცნიერო დისციპლინებისადმი

დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ისტორიას იკვლევს სპეციალური სამეცნიერო დარგი, რომელსაც ქართულ ენაზე **დამწერლობის ისტორია** და **დამწერლობათმცოდნეობა** ეწოდება. ამაევე დარგის უცხოური, კერძოდ, ბერძნული სახელწოდებაა **პალეოგრაფია** (შდრ.: ბერძნ. **პალაიოს** "ძველი, უძველესი; მნიშვნელოვანი" + **გრაფეინ** "წერა", ან **გრაფო** "ვწერ"). თავიდან ტერმინი **პალეოგრაფია** გულისხმობდა მხოლოდ უძველესი წერილობითი ძეგლების მეცნიერულ კვლევას, ამჟამად კი ეს სახელი გამოიყენება მაშინაც, როცა შეისწავლიან ადრეულ, განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეთა წერილობით ძეგლებსაც.

დამწერლობის ისტორია ისტორიისა და ფილოლოგიის საზიარო სამეცნიერო დარგია და იყენებს როგორც ისტორიულ, ისე ფილოლოგიურ კვლევის მეთოდებს საკუთარ მეთოდებთან ერთად.

დამწერლობათმცოდნეობა იკვლევს მსოფლიოში დამწერლობათა შექმნის, შემდგომი განვითარების, ერთი კონკრეტული დამწერლობისაგან ახალი ანბან(ებ)ის ჩამოყალიბების ისტორიას, სამეტყველო ერთეულების (ბგერის, მარცვლის, სიტყვის, ფრაზისა და ტექსტის) ჩაწერის პრინციპებს, წერის მიმართულებას, საწერ მასალასა და წერის იარაღებს, ხელწერას (კალიგრაფიას), ტექსტის შემოკლებით წერის (დაქარაგმების) წესებს, განკვეთილობის, სასვენ, პირობით და საიდუმლო ნიშნებს, ადგენს წერილობითი მასალის დათარიღებისა და ავტორის ვინაობის დადგენის პრინციპებსა და მეთოდებს და სხვა. დასახელებული მიზნების შესაბამისად **პალეოგრაფიას ყოფენ თეორიულ, პრაქტიკულ და აღწერით დამწერლობათმცოდნეობად**.

თეორიული პალეოგრაფია იკვლევს ზოგად და თეორიულ პრობლემებს, **პრაქტიკული და აღწერითი** პალეოგრაფია კი ადგენენ მწერალთა და გადამწერთა

[1] თავის ავტორი – გ. გვანცელაძე.

და/ან ნაწერი ტექსტის ინდივიდუალურ სტილს (ხელწერა-კალიგრაფიას), წერის სტილის მიხედვით ავტორის ან გადამწერის ვინაობასა და ტექსტის შედგენის დროს, ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებში სხვა პირთა მონაწილეობის ხარისხს, ტექსტის დაზიანებული, ან გამქრალი ნაწილების თავდაპირველ სახეს და სხვ.

მსოფლიო პალეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ისტორია იწყება XVII საუკუნის საფრანგეთში: აქ 1681 წელს ბენედიქტელთა ორდენის წევრმა ბერმა **ჟან მაბილიონმა** (Jean Mabillon, 1632-1707 წწ.) ლათინურ ენაზე გამოსცა გამოკვლევა **"დიპლომატიკის შესახებ"** (De Re Diplomatica), რომელშიც წარმოდგენილი იყო ბენედიქტელთა ორდენის არქივებში დაცული საფრანგეთის მეფეთა მიერ გაცემული სიგელების ("დიპლომების") ნამდვილობის დასადგენად ჩატარებული კვლევის შედეგები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორდენის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის დასაცავად. **ეს იყო პირველი შემთხვევა,** როცა ჩატარდა ნაწერი ტექსტების დეტალური ანალიზი, დადგინდა ხელწერის თავისებურებანი და სხვა ისეთი ნიშნები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტექსტების ავტორთა და გადამწერთა ვინაობისა და შედგენის დროის გარკვევას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟან მაბილონმა ჩაატარა **პირველი სისტემური პალეოგრაფიული კვლევა,** მაგრამ პალეოგრაფიის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება უკავშირდება იმავე ბენედიქტელთა ორდენის სხვა ფრანგ ბერს, **ბერნარ დე მონფოკონს** (Bernard de Montfaucon, 1655-1741 წწ.), რომელმაც თარიღიანი ძველბერძნული ხელნაწერების საფუძვლიანი კვლევის შედეგად 1708 წელს შეადგინა ცალკეულ ბერძნულ ასოთა მოხაზულობაში (გრაფიკულ იერსახეში) მომხდარ ცვლილებათა ისტორიის ამსახველი ცხრილები. ამ ცხრილების შედგენით ბ. დე მონფოკონმა 1715 წელს დაასრულა ძველბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის პირველი მეცნიერული აღწერილობა. ამ ნაშრომში აეტორმა პირველმა გამოიყენა ასოთა მოხაზულობის მიხედვით ტექსტის დათარიღების მეთოდიც და ასევე პირველად გამოიყენა ტერმინი **პალეოგრაფია.**

დროთა განმავლობაში პალეოგრაფიის კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები და გეოგრაფია გაფართოვდა: ძველბერძნულ და ლათინურ ტექსტთა ანალიზს დაემატა ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე (ეგვიპტურზე, შუმერულზე, ებრაულზე, არაბულზე, ძველ ჩინურზე, სანსკრიტზე...) შესრულებულ ტექსტთა კვლევა, დაიხვეწა მეთოდები, გაჩნდა პალეოგრაფიის ქვედარგები: **ეპიგრაფიკა, ფილიგრანოლოგია, პაპიროლოგია, კოდიკოლოგია** და სხვ.

მაგალითად, **ეპიგრაფიკა** სწავლობს მყარ მასალაზე გამოსახულ ძველ წარწერებს;

პალეოგრაფიის ქვედარგი **ფილიგრანოლოგია** იკვლევს ქაღალდის ფურცლებზე ძველ ოსტატთა მიერ აღბეჭდილ ფარულ ნიშნებს, ჭვირნიშნებს, რომლებიც ფურცელს მხოლოდ შუქზე გახედვისას ემჩნევა (ასეთი ჭვირნიშნები შეგიძლიათ დაინახოთ ქაღალდის ფულზე შუქზე გახედვისას. ტერმინი **ჭვირნიშანი** ივ. ჯავახიშვილმა შექმნა);

პაპიროლოგიის შესწავლის ობიექტია პაპირუსის, ანუ ჭილისგან დამზადებულ საწერ მასალაზე შესრულებული ტექსტები;

კოდიკოლოგიას აინტერესებს ხელნაწერი წიგნების შექმნის, შენახვისა და გავრცელების საკითხები, ასევე მწერალთა და გადამწერთა ჯგუფების კვლევა...

საქართველოში პალეოგრაფიული კვლევის პიონერად შეიძლება მიეიჩნიოთ მეფე **ვახტანგ VI** (1675-1735 წწ.), რომლის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა მუშაობა ქართულ ენაზე წიგნის ბეჭდვის შემოსაღებად, ქართულ სტამბაში სასულიერო ლიტერატურისა და "ვეფხისტყაოსნის" დასაბეჭდად და წინასწარი სარედაქციო სამუშაოების ჩასატარებლად, "ქართლის ცხოვრების" გაგრძელების დასაწერად, იურიდიული დოკუმენტების ტექსტების დასადგენად.

მოგვიანებით, XIX საუკუნეში ქართული პალეოგრაფიული საკითხების კვლევის დარგში აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდა ფრანგი აკადემიკოსი **მარი ბროსე**, რომელმაც დიდი შრომა გასწია საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებულ ტაძრებსა და სხვა ნაგებობებზე შემორჩენილი ძველქართული წარწერების გამოვლენის, გადმოწერა-გაშიფრვის, გამოცემისა და ფრანგულ ენაზე თარგმნის საქმეში.

ქართული დამწერლობათმცოდნეობის სამეცნიერო საფუძვლების გაღრმავებასა და მაღალ აკადემიურ დონეზე აყვანაში დიდი წვლილი შეიტანეს **დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა, თედო ჟორდანიამ, ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკი შანიძემ, ილია აბულაძემ, გიორგი წერეთელმა, რამაზ პატარიძემ, ზურაბ სარჯველაძემ, ელენე მაჭავარიანმა, ლევან ჭილაშვილმა, ზაზა ალექსიძემ, ვალერი სილოგავამ** და მრავალმა სხვა მეცნიერმა.

მაგალითად, დ. ბაქრაძემ პირველმა შეადგინა ქართული ასოების ისტორიულ ვარიანტთა ცხრილები, დაადგინა ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის გავრცელების ქრონოლოგია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

განსაკუთრებული მოვლენა იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ 1929 წელს ფუნდამენტური ნაშრომის გამოქვეყნება სათაურით: **"ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია"**, რომელშიც მრავალი საკითხი გადაიჭრა სრულიად ახლებურად და დამაჯერებლად.

ამჟამად ქართული პალეოგრაფია მაღალ დონეზეა განვითარებული, რასაც დიდად შეუწყო ხელი 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში **ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის)** დაარსებამ. ამ დაწესებულებაში ინახება ქართულ, ბერძნულ, სპარსულ, სომხურ, ოსმალურ, არაბულ და მრავალ სხვა ენაზე შედგენილი ასეულობით ხელნაწერი წიგნი, მეფეთა და დიდებულთა მიერ ხელმოწერილი ათასობით იურიდიული დოკუმენტი, ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. ხდება დრო-ჟამისაგან შელახული წიგნებისა და საბუთების აღდგენა, კელეპა და გამოცემა.

პალეოგრაფიულ ცოდნას აქვს არა მარტო სამეცნიერო, არამედ კულტუროლოგიური მნიშვნელობა – შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ მსოფლიოში ცივილიზაციის განვითარების ისტორიას, დავადგინოთ კონკრეტული ხალხის წერილობითი კულტურის მიერ განვლილი გზა და სხვ. გარდა ამისა, პალეოგრაფიის მონაცემები გვეხმარება დაუთარიღებელი ტექსტების შესრულების დროისა და ზოგ შემთხვევაში ავტორის, თუ გადამწერის ვინაობის დადგენაში.

§ 2. დამწერლობის რაობა და ფუნქციები

ჯერ კიდევ პირველყოფილმა ადამიანმა შენიშნა, რომ მეორე ადამიანთან ურთიერთობის დამყარება, ანუ **კომუნიკაცია**, აგრეთვე საკუთარი განცდებისა და სურვილების სხვისთვის გადაცემა მუდამ და ყველგან არ იყო შესაძლებელი – **დაბრკოლებას სივრცე და დრო წარმოქმნიდა**: ერთი მხრივ, ადამიანის ხმის გავრცელების მცირე დიაპაზონი სპობდა იმის შესაძლებლობას, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ანდა ტექსტი გაეგონა მტერ-მოყვარეს შორ მანძილზე, ხოლო მეორე მხრივ იგივე სიტყვა, ანდა ტექსტი მისი წარმოთქმისთანავე უკვალოდ ქრებოდა და ეყრავინ გაიგონებდა რამდენიმე წუთის, საათის, დღის, თუ წლის შემდეგ. ამისი მიზეზი ის იყო, რომ **ზეპირი მეტყველება** გულისხმობს არანაკლებ ორი პიროვნების: **მთქმელისა და გამგონეს უშუალო ურთიერთობას ა ხ ლ ა და ა ქ**. სხვა პირობებში უშუალო ზეპირი კონტაქტი შეუძლებელია, თუმცა ამისი საჭიროება ხშირად ჩნდება. მაგალითად:

როცა სანადიროდ წასული გუნდის წევრები გაიყოფოდნენ, წინ წასულთა ჯგუფს შეეძლო ხის ტოტებით, ან ისრებით, ანდა ტალახზე, თუ ქვიშაზე გამოსახული ნიშნებით ეცნობებინა უკან მომავალი თავისიანებისათვის, თუ საით გაემართნენ თვითონ.

სხვა სიტუაცია: ქალებმა და ბავშვებმა დაბურულ ტყეში იპოვეს უხვად მსხმოიარე ხე, იქვე მიირთვეს მისი ნაყოფი და მოაგროვეს იმდენი ხილი, რამდენის წაღებაც შეძლებდნენ გამოქვაბულში დარჩენილი თანატომელებისათვის, მაგრამ იმ მიზნით, რომ სხვა დროსაც იოლად მიეგნოთ ამ ხისათვის, მომტვრეული ხის ტოტებით მოინიშნავდნენ გზას და ამნაირად **შეინახავდნენ ინფორმაციას დროში** და ა.შ.

ამგვარ სიტუაციებში პირველყოფილი ადამიანების მიერ გამოყენებული დასახელებული, თუ სხვა ნივთები დაუმუშავებლად, ან საგანგებოდ დამუშავებული სახით უკვე ასრულებდნენ **დამწერლობამდელ საინფორმაციო საშუალებათა** ფუნქციას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პირველყოფილ ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებს სამყაროს შესახებ. ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა, არაცოცხალ საგანთა და მოვლენათა სულებისა და ღვთაებების **წყრომის** თავიდან ასაცილებლად და მათი **კეთილგანწყობის** მოპოვების მიზნით იხმარებოდა სხვადასხვაგვარი დამ-

წერობამდელი საინფორმაციო საშუალებანი, რომელთა შესახებაც უფრო ერცლად ქვემოთ იქნება მსჯელობა.

სოციალურ ურთიერთობათა გართულებამ, კლასების წარმოქმნამ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა, სავაჭრო ურთიერთობების გაჩენამ და სხვა ფაქტორებმა თავისთავად გააჩინა ჯერ ხატვის, მერე კი წერის წარმოქმნის აუცილებლობა და ასე გაჩნდა დამწერლობა, რომელმაც რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მეტად საინტერესო გზა განვლო და დიდად შეუწყო ხელი კაცობრიობის კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნიკურ პროგრესს. უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ დამწერლობას ლომის წილი ეკუთვნის კაცობრიობის წინსვლაში.

§3. რა არის დამწერლობა?

ამ შეკითხვას ასე შეგვიძლია ვუპასუხოთ: **დამწერლობა არის გარკვეული გრაფიკული მოხაზულობის მქონე პირობით ნიშანთა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც გადმოიცემა სხვადასხვა სიდიდის ენობრივი ერთეულები:**

ტექსტი;	**წინადადება;**	**ცნება და/ან სიტყვა;**
მარცვალი;	**მხოლოდ თანმოვანი;**	**თანხმოვნები და ხმოვნები.**

მაგალითად, ზოგიერთი ენის დამწერლობაში **გრაფიკული ნიშნები, ანუ გრაფემები**[2] აღნიშნავდნენ მთელ ტექსტსაც კი, სხვებში – ცნებებს, ნაწილში – მარცვლებს, ზოგიერთში – მხოლოდ თანხმოვნებს, დანარჩენებში კი – თანხმოვნებსაც და ხმოვნებსაც.

[2] **გრაფემა** – დამწერლობის შემადგენელი პირობითი გრაფიკული ნიშანი. სიტყვა **გრაფემა** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან: **გრაფო (γραφο)** "ვწერ".

§4. რა ფუნქციებს ასრულებს დამწერლობა?

თუ გავიხსენებთ ზემოთ უკვე თქმულს, ამ კითხვის პასუხიც იოლი გასაცემია: **დამწერლობა ეხმარება ზეპირ მეტყველებას და მისი ფუნქციაა, ერთი მხრივ, ინფორმაციის შენახვა დროში, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაციის გადაცემა სივრცეში.**

მაგალითად, როცა ვწერ ტექსტს, ეს ტექსტი შემიძლია გაეცნოს შორს მყოფ მეგობარს, რომელიც **სხვაგან და სხვა დროს** მიიღებს იმ ინფორმაციას, რისი შეტყობინებაც მე მსურს.

დროის კონკრეტულ მოკლე მონაკვეთში, ანუ **სინქრონიულ ჭრილში** დამწერლობას ხელეწიფება დაძლიოს **მხოლოდ მანძილი**, ხოლო დროის სხვადასხვა მონაკვეთის განმავლობაში, ანუ **დიაქრონიულ ჭრილში** იგი ინფორმაციას გადასცემს **როგორც დროში, ისე სივრცეში.**

დამწერლობის ამგვარი ხასიათი აადვილებს კომუნიკაციას საზოგადოების გეოგრაფიულად დაშორებულ ნაწილებსა თუ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ თაობებს შორის.

ჩვეულებრივ, ისტორიულ წარსულში დამწერლობა იქმნებოდა კონკრეტული ეთნოსის განვითარების იმ ეტაპზე, როცა მოცემული **ხალხის კულტურა აღწევდა განვითარების მაღალ დონს** და ეს კულტურა უწყვეტად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, **დამწერლობა ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი და გაუყოფელი ნიშანი იყო** – დაბალ კულტურულ დონეზე მდგომ ხალხს არასოდეს შეუქმნია დამწერლობა საკუთარი ნებით, თუმცა გვიანი შუა საუკუნეებიდან დღემდე (განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში) მსოფლიოში იყო და ამუამადაც არის შემთხვევები, როცა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგომი დამპყრობლები დაპყრობილ ხალხებს, ან კონკრეტულ ეთნოსთა ორგანულ ნაწილებს ხელოვნურად უქმნიდნენ დამწერლობას.

დამწერლობის წარმოქმნამდე ადამიანები დროსა და სივრცეში ინფორმაციის გადასაცემად სხვადასხვა დამხმარე საშუალებას იყენებდნენ, კერძოდ, **მანძილის დასაძლევად** გამოიყენებოდა სტვენა, ჟესტები (ხელების მოძრაობა), ცეცხლი და მისი კვამლი, ხოლო **დროის ფაქტორის დასაძლევად** იხმარებოდა ხის ტოტები, ისრები, ნასკვები, პირობითი ნიშნები და ა.შ.

ჩვეულებრივ, დამწერლობა იქმნებოდა იმ ეთნოსთა მიერ, ვისაც ჰქონდა მძლავრი სახელმწიფო, ან ქალაქ-სახელმწიფოები, მაღალი კულტურა, სისტემატიზებული რელიგია, მაღალი დონის ტექნოლოგიები და ძლიერი ეკონომიკა. ასეთ სახელმწიფოებში დამწერლობა აიოლებდა სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვას, პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობდა კულტურის უფრო მაღალ დონეზე განვითარებას, რელიგიის გავრცელება-განმტკიცებას, ხელოვნებისა და ლიტერატურის წინსვლას.

დამწერლობას, რა თქმა უნდა, მთელი ხალხი არ ქმნიდა. ეს საზოგადოების მაღალი წრეების – განათლებული არისტოკრატიისა და ქურუმთა პრიორიტეტი იყო. დამწერლობის შექმნის მოსურნე პირი უცებ არ მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა დამჯდარიყო და მოეფიქრებინა გრაფემები საკუთარი დედაენის მომსახურების მიზნით – ამას დრო სჭირდებოდა: ჯერ აზრი მწიფდებოდა გონებაში, შემდეგ ამგვარი პირი მარტო, ან სხვებთან ერთად იწყებდა დედაენის კვლევას, იგონებდა პირობით გრაფიკულ ნიშნებს, ადგენდა წერის წესებს და ა.შ. ეროვნული დამწერლობის შემქმნელ პირებს ყველა ეთნოსი დღემდე დიდ პატივს სცემს, ხოლო რელიგიური მოღვაწეები მათ წმინდანთა დასში შერაცხაედნენ ხოლმე.

§ 5. კონკრეტული დამწერლობა (ანბანი) და სადამწერლობო (საანბანო) სისტემა

თუ დამწერლობის შემქმნელის შრომა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, მოცემული ენისათვის შექმნილი დამწერლობა შეიძლებოდა გავრცელებულიყო მეზობელ ქვეყნებშიც იქაური ენების მომსახურების მიზნით. ასეთ შემთხვევებში ორგვარი რამ ხდებოდა:

1. დამწერლობას იყენებდნენ მეზობელი ხალხის ენის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე;
2. დამწერლობას არგებდნენ მსესხებელი ხალხის დედაენას – ითვალისწინებდნენ ამ უკანასკნელის სპეციფიკას, ამატებდნენ, ან აკლებდნენ გრაფემებს, შემოიღებდნენ წერისა და კითხვის ახალ წესებს და ა.შ.

ორივე შემთხვევაში დროთა განმავლობაში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო

დამწერლობის ვარიანტები, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დამწერლობის ვარიანტები იმ ენის მომსახურების დროსაც ჩნდებოდა, რომლისთვისაც შეიქმნა მოცემული გრაფიკული სისტემა. ამიტომაა, რომ ქართულ ენაზე წერისათვის გამოიყენება ქართული დამწერლობის 3 ძირითადი ვარიანტი – ასომთავრული (იგივე მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული, ხოლო ამჟამად ლათინური ასოები სხვადასხვაგვარი დამატებითი ნიშნებითურთ იხმარება ისეთ ენებზე წერისათვის, როგორიცაა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, პოლონური, ჩეხური, შვედური, თურქული, ვიეტნამური, ამერიკელ ინდიელთა ენების ნაწილი და ათეულობით სხვა ენა.

აქედან გამომდინარე ჩვენ ერთიმეორისაგან მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ კონკრეტული ენისათვის არსებული **კონკრეტული დამწერლობა, ანუ კონკრეტული ანბანი** და მასზე უფრო მსხვილი ერთეული – **სადამწერლობო, ანუ საანბანო სისტემა**.

კონკრეტული დამწერლობის ვარიანტთა ერთობლიობას სადამწერლობო, ანუ საანბანო სისტემა ეწოდება.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს 14 სადამწერლობო (საანბანო) სისტემა, რომელთაგან ერთ-ერთი ქართული საანბანო სისტემაა. ეს სისტემებია:

1. **ეთიოპური;**
2. **ებრაული;**
3. **არაბული;**
4. **სირიული (ასირიული);**
5. **ბერძნული;**
6. **ლათინური;**
7. **სლავური;**
8. **ინდური;**
9. **მონღოლური;**
10. **ჩინური;**
11. **კორეული;**
12. **იაპონური;**
13. **სომხური;**
14. **ქართული.**

დასახელებულთაგან ზოგ სისტემას ეროვნული ვარიანტი აქვს, ზოგს – რამდენიმე, ზოგიერთს კი – მრავალი ათეული. მაგალითად, მხოლოდ ერთი ვარიანტი აქვს სომხურ დამწერლობას, ანუ ამ შემთხვევაში კონკრეტული ანბანი, სომხური აიბუბენი სრულად ემთხვევა სომხურ სადამწერლობო სისტემას;

ერთზე მეტი ვარიანტი აქვთ ქართულ და ყველა დანარჩენ საანბანო სისტემას – მარტო ლათინურ, სლავურ და ინდურ სადამწერლობო სისტემებს მოეპოვება ათეულობით კონკრეტული ანბანური ვარიანტი.

თავი II.
დამწერლობამდელი საინფორმაციო გამოსახულებანი[3]

პირველყოფილი ადამიანები დროსა და სივრცეში ინფორმაციის გადაცემის მიზნით იყენებდნენ ტანზე წასმულ მცენარეთა წვენისგან გამოწურულ ბუნებრივ **საღებავებს**, ან ცხოველთა **სისხლს**, აგრეთვე ნაირგვარ **საგნებსა** და **პირობით ნიშნებს**. მაგალითად, ნადირობისას წინ წასული მონადირეები ხის ტოტების გარკვეული წესით დალაგების გზით მიანიშნებდნენ უკან მომავალ ამხანაგებს ნადირის ადგილსამყოფელსა და რაოდენობაზე, ან მონადირეთა ნაწილის სელის გეზზე. შემდგომში ამავე მიზნით დაიწყეს ისრების გამოყენება. მომდევნო ეტაპზე ადამიანები ქვიშაზე, მიწაზე, ან ტალახზე გამოსახავდნენ იმ ნადირს, რომელიც მათ აინტერესებდა და იქვე ხატავდნენ ისრებს, რომლებიც ნადირის ადგილსამყოფელსა და რაოდენობაზე მიანიშნებდა. ეს იყო პრიმიტიული ნახატის ერთ-ერთი **ფუნქცია**.

პირველყოფილი ადამიანები ასევე ფართოდ იყენებდნენ **ფერებს**. მთელ ტანს, ან სხეულის ნაწილებს იღებავდნენ სხვადასხვა ფერის საღებავით, რითაც ხდებოდა პიროვნების "პასპორტიზაცია": კონკრეტული ფერი გამოხატავდა ადამიანის კუთვნილებას გარკვეული გვარის, ან ტომისადმი; მიანიშნებდა ადამიანის ადგილსა და ფუნქციას გვარის, ან ტომის შიგნით, მის ასაკს, სქესს, ქორწინებასა და ა.შ. მაგალითად, გარკვეული ფერი აღნიშნავდა, რომ პიროვნება გვარის უხუცესი, ან ტომის ბელადია; სხვა ფერებით აღინიშნებოდა პირის სქესი, სრულასაკოვნება, ქორწინებაში ყოფნა და სხვ. ფერთა ამგვარი სიმბოლიკა ღღესაც დასტურდება მრავალ ხალხში.

დროთა მანძილზე გაჩნდა ფერებისა და ნახატების გამოყენების უფრო რთული სისტემები, რაც ინფორმაციის უფრო ზუსტად და მრავალფეროვნად გადაცემის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ეს სისტემები მაინც არ შეიძლება მიეიჩნიოთ დამწერლობად, თუმცა მათ ხელი შეუწყვეს დამწერლობის წარმოქმნას. ამგვარ **ხილულ (ვიზუალურ) სისტემებად** უნდა ჩაითვალოს მაგიურ-რიტუალური ფუნქციის მქონე **ტატუ, რიტუალური ნიღბები** და გამოქვაბულის კედლებზე, კლდეებსა, თუ ქვებზე შესრულებული ფერადი, ან ნაკაწრი **ნახატები (პეტროგლიფები)**. მსგავსი გამოსახულებანი ხშირადაა შემორჩენილი სხვადასხვა ხალხისა თუ ტომის ტრადი-

[3] ამ თავის ავტორი – თ. გვანცელაძე.

ციულ საყოფაცხოვრებო ნივთებზე, ტანსაცმელზე, სამკაულებზე, ხალიჩებზე, ნაქარგობაზე, ავეჯზე და ა.შ..

§1. ტატუ

სიტყვა **ტატუ** (ინგლის. **tattoo, tattow**) დასავლეთევროპულ ენებში შევიდა XVIII საუკუნეში ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, წყნარ ოკეანეში გაფანტულ 1 000-მდე კუნძულზე მცხოვრებ ხალხთა ენებიდან. ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს სიტყვა მომდინარეობს სამოას, ტაიტის, ტონგას კუნძულებზე მცხოვრებთა ენაში არსებული **ტატოუ** სიტყვისაგან და ნიშნავს "დარტყმას". ევროპულ ენებში ამ სიტყვამ მიიღო სხეულის მოხატვის, ან ტანის დასერვის გზით გამოსახულებათა გამოყვანის პროცესსაც და ამ პროცესის შედეგსაც, ნახატს, ან განასერს (სერს).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ტატუ** ეწოდება ადამიანის სხეულზე მჭრელი იარაღით გასერილ კანში საღებავის შეზელის გზით გაკეთებულ პირობით გამოსახულებას (ნახატს), რომელსაც შორეულ წარსულში (ზოგ ხალხში კი ამჟამადაც) რიტუალური და მაგიურ-ჯადოსნური ფუნქცია ჰქონდა. ტატუს ამჟამად იკეთებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის (უპირატესად ახალგაზრდები) მხოლოდ სამკაულად და დეკორატიული მიზნით, მაგრამ იგი არ შექმნილა ადამიანის მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც განაპირობებდა 3 ფაქტორი:

- ტატუს გამოსახვა სხეულზე მტკივნეული პროცესია;
- ტატუ მუდმივად რჩება ტანზე;
- ტატუს გამოსახვას თან ახლავს სასიცოცხლო წმინდა ძალის – სისხლის გამოყოფა სხეულიდან;
- რაც ყველაზე მთავარია, **ტატუ უკავშირდებოდა ღრმა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს**.

ტატუ სხვადასხვა შინაარსისა და ფუნქციისა იყო. გამოყოფენ მის შემდეგ ჯგუფებს:

- **რიტუალურ-სახვეწარი;**

- **კლანური (საგვარეულო, სატომო და საქორწინო);**
- **საინიციაციო, ანუ ასაკსრულობის აღმნიშვნელი;**
- **დამცავი (თილისმური);**
- **გამაჯანსაღებელი;**
- **დამაფრთხობელი.**

რიტუალურ-სახვეწარი ტატუს წარმოქმნა უძველეს პერიოდს უკავშირდება. პირველყოფილი ადამიანი ტატუს მისტიკურ-რიტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. რიტუალურ-სახვეწარი ტატუ სულაც არ იყო განკუთვნილი სხვა ადამიანების წინაშე თავის მოსაწონებლად, ან საკუთარი თავისა, თუ სხვისთვის ესთეტიკური სიამოვნების მისანიჭებლად – **მისი ფუნქცია იყო ღმერთების, თუ ტოტემური[4] ცხოველების სულთა გულის მოგება, მათი განდიდება და კეთილად განწყობა.** საკუთარი თავისათვის ტატუს კეთებისას ტკივილის მიყენებით ადამიანი ცდილობდა ღმერთებთან და ტოტემებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, მათი მფარველობის მოპოვებას. ტატუს ამ სახეობის სხვა ფუნქციებიდან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სხეულზე ამოკვეთილი ტატუ იყო "გარანტია" მიწის ნაყოფიერებისა და ქალის შვილიერებისა, სიკვდილის შემდგომ სულის მუდმივად არსებობისა, ბელადის ხელისუფლების მარადიულობისა, პიროვნების, მისი გვარის, ან ტომის კეთილდღეობა-წარმატებისა.

ტატუს დატანის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სხეულზე გამოსახული **სიმბოლოების ფორმის დაცულობასა** და **ამ სიმბოლოების სწორ განლაგებას** – მიიჩნეოდა, რომ სიმბოლოს გამოსახვა არასწორად, ან უადგილო ადგილას საშინელ სასჯელს მოუტანდა ადამიანს: მას ღმერთები, ან ტოტემები განურისხდებოდნენ და მრავალგვარ სატანჯველს მოუელენდნენ.

კლანური ტატუ ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ სახეობად მიიჩნევა. მისი ფუნქცია იყო, გარკვეული ფერისა და ფორმის გამოსახულებებით მიეწინშნებინა ყველასათვის, რომ ეს ადამიანი ეკუთვნის ამა და ამ გვარს, ან ტომს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლანური ტატუ თვალსაჩინოდ აწვდიდა ინფორმაციას იმის შესახებ, თავისიანი (მოკეთე) იყო მისი მატარებელი ადამიანი, თუ უცხო (მტერი). ერთი და იმავე

[4] ტოტემი ეწოდება კონკრეტულ ცხოველს, ან მცენარეს, რომელსაც ხალხის, ტომის, გვარის წინაპრად და მფარველად მიიჩნევდნენ.

ტატუს მქონე ადამიანები მოყვრებად მიიჩნეოდნენ არა მარტო სიცოცხლეში, არამედ მათი საიქიოში გადანაცვლების შემდეგაც, რაც ეფუძნებოდა იმ რწმენას, რომ ადამიანის სული მისი ფიზიკური სხეულის მსგავსი გარეგნობისაა და საიქიოშიც აგრძელებს არსებობას. რაკი მიცვალებულსაც თავისიანებში არსებობა სჭირდება, მისმა სულმა სწორედ კლანური ტატუს მეშვეობით უნდა გამოიცნოს მოყვრების სულები და ამ უკანასკნელებმაც არ უნდა უკუაგდონ, უნდა მიიღონ იგი.

იგივე ფუნქცია ჰქონდა **საქორწინო ტატუსაც:** ცოლ-ქმარს საიქიოში ერთმანეთი სპეციალური საქორწინო ტატუს დახმარებით უნდა ეპოვნა. პირველყოფილ ადამიანთა რწმენით, საქორწინო ტატუ განსაკუთრებით დიდად შეელოდა იმ შემთხვევებში, როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი ახალგაზრდა გარდაიცვლებოდა, ხოლო მეორე – სიბერეში, მრავალი წლის შემდგომ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგვარეულო, სატომო და საქორწინო ტატუს ნახატების სრულ მსგავსებას – თუ ნახატები არ იცავდა მოცემული გვარის, ტომის, ან ოჯახის ტრადიციულ ფორმას, მაშინ სულები თავისიანებს ვერ იპოვიდნენ, ანდა არასწორი ტატუს მქონე ახალი გარდაცვლილის სული მტრებთან, თუ ჯოჯოხეთში მოხვდებოდა.

საინიციაციო (ასაკსრულობის) ტატუ კეთდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ვაჟი, ან ქალი მიაღწევდა სრულასაკოვნებას და უნდა ჩარიცხულიყო საზოგადოების სრულფასოვან წევრთა შორის. ბუნებრივია, ქალისა და ვაჟის საინიციაციო ტატუ ერთიმეორეს არ ემთხვეოდა: ქალს სხვა ფორმის ტატუ უკეთდებოდა, ვაჟს კი – მისგან განსხვავებული. ამ ტიპის ტატუს მქონე პირს ნებისმიერი თანატომელი უკვე ბავშვად აღარ აღიქვამდა. მიიჩნეოდა, რომ თუ გოგონამ საქორწინო ასაკის შესრულებამდე არ გამოსცადა და უდრტვინველად არ გაუძლო ტატუირების მწვავე ტკივილს, იგი ვერ გადაიტანს მშობიარობის მძიმე ტკივილებს; ასევე ის ვაჟი, რომელიც ინიციაციის ტატუს კეთებისას გამოიჩენს ვაჟკაცისათვის შეუფერებელ სისუსტეს (დაიკვნესებს, იტირებს, გული შეულონდება და ა.შ.), კაცად არ ივარგებს და ამგვარ ქალაჩუნებს მოიკვეთდნენ კიდევაც ტომიდან.

დამცავი (თილისმური) ტატუ იცავდა ადამიანს სიკვდილისაგან, უბედური შემთხვევისაგან, დასახიჩრებისაგან, მძიმე დაავადებისაგან, ავი თვალისაგან, უილბლობისაგან და სხვ. ზოგ ხალხში ამგვარი ტატუ დღესაც გეხვდება. მაგალითად, მიანმარში (ბირმაში) ამ ფუნქციას ამჟამადაც ასრულებს ბეჭზე გამოსახული თუ-

თიყუში, ტაილანდელები ამ მიზნით იხატავენ ჩაფიქრებული ბუდას გამოსახულებას, ჰავაის კუნძულებზე – ღმერთებს, იაპონიაში – დრაკონს და ა.შ.

გამაჯანსაღებელი ტატუ ხელს უწყობდა მძიმედ დაავადებული ადამიანის გამოჯანმრთელებას და იცავდა მას ამ სენის განმეორებისაგან. ეს რწმენა დღემდეა შემორჩენილი ზოგ ხალხში. მაგალითად:

ტიბეტელები მიიჩნევენ, რომ ბუდიზმის წმინდა ტექსტების, **მანტრების** ტატუირება კიდურებზე დაიცავს მათ მძიმე სნეულებებისაგან და მოუტანს ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიას. მეტიც, ისინი ტატუს იკეთებენ სხეულის იმ წერტილებშიც, რომლებიც ნემსთერაპიისთვისაა მნიშვნელოვანი. ამ დროს კანის განასერში შეიზელენ სამკურნალო მცენარეებსაც;

ინდოელები ღვთაების გამოსახულებას იხატავენ იმ ადგილას, რომელიც დაზიანებულია. მაგალითად, მაიმუნების მფარველ ღმერთს ჰანუმანს იხატავენ მოტეხილ მხარზე;

იაპონიაში მცხოვრები აინუს ტომის ქალები სხეულზე იხატავენ თაეიანთი ტომის მფარველ ქალღმერთს, რითაც ბოროტ ძალებს აფრთხილებენ, მე ქალღმერთი ეარ და ნუ მომეკარებითო.

დამაფრთხობელი ტატუ განკუთვნილი იყო უცხოტომელთა დასაშინებლად და გასაფრთხილებლად. ყველაზე ხშირად ასეთი ფუნქციით სხეულზე გამოისახებოდა მტაცებელი ცხოველ-ფრინველები (ლომი, ვეფხვი, ავაზა, არწივი, ქორი...), ან საომარი იარაღები (ისარი, შუბი, ცული, ხმალი...).

ტატუს კეთებისას ყველაზე გავრცელებული სიმბოლოები იყო: **გეომეტრიული ფიგურები** (წრეები, რკალები, სწორი და მრუდე ხაზები, წერტილები, კლაკნილები, სამკუთხედები, სწორკუთხედები, კვადრატები, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სიმბოლოები...), **ცხოველები, მცენარეები და მათი ნაწილები** (ბრჭყალები, ფრთები, ფოთლები, ნაყოფი, ყვავილები), **ფანტასტიკური არსებები**. ყოველ სიმბოლოს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა და გარკვეულ სათქმელს უკავშირდებოდა, რის გამოც ისინი **საკომუნიკაციო საშუალებებად** უნდა ჩაითვალოს.

ტატუს სიმბოლოები არ ასახავდნენ ერთი რომელიმე ენის ბგერებს, მარცვლებს, ან სიტყვებს. მათი გამოყენებისას **მთავარი იყო ამ სიმბოლოთა ერთობლიობით გამოხატული აზრი.**

ტატუს სახეობათა ნაწილი უპირატესად **ღმერთებთან და ტოტემურ სულებთან** ურთიერთობისათვის იყო განკუთვნილი, მეორე ნაწილი კი **სხვა ადამიანებთან** საკომუნიკაციოდ გამოიყენებოდა. პირველ ჯგუფს განეკუთვნება რიტუალურ-სახვეწარი, დამცავი და გამაჯანსაღებელი ტატუ, ხოლო მეორე ჯგუფში შედის კლანური და საინიციაციო ტატუ. ამდენად, ტატუ **პირობით შეიძლება დამწერლობადაც კი მივიჩნიოთ.**

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალ ქვეყანაში ამჟამად სხეულზე ტატუს გამოსახვა **მოდად** იქცა და მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების ფუნქცია აკისრია.

§2. რიტუალური ნიღბები

რიტუალური ნიღბები უშუალოდ უკავშირდება პირველყოფილ ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებს. მათაც იგივე ფუნქციები ეკისრებოდა, რაც ტატუს. სხვობას ის ქმნიდა, რომ ტატუ ადამიანის სხეულის ტკივილით განწმენდისა და ზებუნებრივ ძალებთან დამაკავშირებელი სამუდამოდ სხეულზე აღბეჭდილი საშუალება იყო, ხოლო სახეზე საღებავით მიხატული, ან ხელით დამზადებული სახეზე ასაფარებელი ნიღბები კი დროებით გამოიყენებოდა და გარკვეული მიზნით შესრულებული წმინდა რიტუალების განუყოფელი ნაწილი იყო.

ნიღაბს ჯადოსნური, მაგიური ძალის მქონედ მიიჩნევდნენ, ამიტომ უზენაეს ძალთა განრისხების შიშით მას უმიზეზოდ არ იყენებდნენ. ნიღაბი გამოსახავდა რომელიმე ღვთაებას, ცხოველის, ან მცენარის მფარველ სულს, ბოროტ ძალას და სხვ. ქურუმი, შამანი, ჯადოქარი-მაგი, ან რიტუალის სხვა მონაწილე ნიღბის აფარებისთანავე "გადაიქცეოდა" იმად, ვისაც, ან რასაც განასახიერებდა ეს ნიღაბი და ერთვებოდა რიტუალში, რომელსაც ცეკვა-სიმღერით, ან ცხოველთა მოძრაობის მიბაძვით ასრულებდნენ. მიიჩნეოდა, რომ ნიღაბი ხელს უწყობდა რიტუალის მონაწი-

ლეს, სხვა მდგომარეობაში გადასულიყო, ქცეულიყო სხვა რამედ, ანუ განეცადა **ტრანსი** (გადასვლა სხვა სამყაროში).

ნიღბებს იყენებდნენ ყოველგვარი მნიშვნელოვანი რიტუალის შესრულების დროს, კერძოდ:

- ვაჟებისა და გოგონების ინიციაციისას;
- დაქორწინების დროს;
- დაკრძალვისას;
- პირველი ხნულის გავლების, მოსავლის აღების დაწყების, პირველი წვიმის წამოსვლის დროს;
- გვალვის საწინააღმდეგო რიტუალის შესრულების მომენტში;
- ნადირობის დაწყებისა და დასრულების აღსანიშნავად და სხვ.

ნიღბები სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა: ერთი ნაწილის დასამზადებლად გამოიყენებოდა მხოლოდ **ბუნებრივი მასალა**: ცხოველთა ტყავ-ბეწვი, მათი რქები, ფრინველთა ბუმბული, მცენარეთა ტოტები, ყვავილები, ნაყოფი და ა.შ.; სხვა ჯგუფის ნიღბებისათვის იყენებდნენ ქსოვილებს, თიხას, დამუშავებულ ხეს. ზოგი ნიღაბი შერეული მასალისაგან მზადდებოდა.

რიტუალების შესრულების დროს მათი მონაწილენი საღებავით იხატავდნენ სახეს იმგვარად, რომ მათი ცნობა შეუძლებელი ხდებოდა. პირველყოფილი წყობილების ბოლო ეტაპზე ნიღბებს გასართობადაც ამზადებდნენ. საინტერესოა, რომ ნიღბიან მონაწილეთა ზეიმებს **მასკარადი** ეწოდება, რაც იტალიური **მასკერა (maschera)**, ან ესპანური **მასკარა (mascara)** სიტყვებისაგან მომდინარეობს. იტალიურ-ესპანურ სიტყვებს კი თავის მხრივ საფუძვლად უნდა ედოს ან ლათინური სიტყვა **მასკვე** (masque) "ნიღაბი", ანდა არაბული **მასხარაჰ** "მასხარა, გამრთობი მსახიობი; ოხუნჯი ადამიანი".

რიტუალური ნიღბების გამოყენება დღემდე შემორჩა საქართველოშიც, კერძოდ, კახეთის ზოგ სოფელში. ყველიერის დღესასწაულის წინა საღამოს ვაჟები იცვამენ ცხოველთა ტყავ-ბეწვისგან დამზადებულ გრძელ ქურქებს, ან ჭყეტელა სამოსს და იკეთებდნენ ნაირგვარ ნიღბებს. ისინი მართავენ რიტუალურ-სახუმარო სპექტაკლს, რომლის პერსონაჟები არიან მეფე, ან ყაენი, დედოფალი, მონადირე,

ტახი და სხვა ნადირები. მსგავსი ნიღბიანი რიტუალურ-სახუმარო თამაში შემორჩენილია თურქეთის ქართველთა შორისაც.

ანალოგიური დღესასწაულები გავრცელებულია აგრეთვე ჩვენს მეზობლად, დაღესტნის სხვადასხვა მხარეშიც, მაგალითად, დიდოეთში. იქაც ნიღბების გამოყენება აუცილებელია. ზოგიერთ დაღესტნელ ხალხში, მაგალითად, ლაკებში ქორწილში უეჭველად მონაწილეობდა ნიღბიანი მასხარა, რომელიც აროთობდა სტუმრებს.

რა თქმა უნდა, ნიღბების თავდაპირველი ფუნქცია ხალხის გაროთობა სულაც არ ყოფილა. ეს დანიშნულება მათ დროთა მანძილზე უძველეს რწმენა-წარმოდგენათა დავიწყების ნიადაგზე შეიძინეს, **თავიდან ნიღაბი ღმერთებთან, ან ტოტემურ სულებთან კომუნიკაციისათვის იხმარებოდა** და ხელს უწყობდა ნიღბოსანს, უფრო იოლად შესულიყო ტრანსში.

თავდაპირველი ფუნქციის ცელის შედეგია **იაპონიაში** დღემდე შემორჩენილი კოსტუმირებული თეატრი **კაბუკი**, ანუ "ხელოვნებითი სიმღერა და ცეკვები". ამ ტიპის თეატრალურ წარმოდგენებში ტექსტთან, მუსიკასთან და მოძრაობებთან ერთად დიდ როლს ასრულებს ნიღბისებური გრიმი **კუმადორი**, მოხატული სამოსი **აგემაკი** და პარიკი **კაცურა**.

სცენაზე გასვლის წინ კაბუკის თეატრის მსახიობი ჯერ აბრეშუმის ნაჭრით იკრავს თმებს, მერე სახესა და ყელის წინა მხარეზე სქლად ისვამს თეთრ საღებავს, ფუნჯით იღებავს ბაგეებსა და წარბებს, რის შემდეგაც სქლად ისვამს თეთრ საღებავს ხელებსა და ფეხებზე. სახეზე გამოისახება სხვადასხვა ფერის ხაზები, ანუ გრიმი კუმადორი, რომელსაც თავისი მიმთითებელი ფუნქცია აქვს. ამის შემდგომ გრიმიორი მსახიობს თეთრად უღებავს კეფას და თავზე ახურავს პარიკს. ბოლოს მსახიობს ერთმანეთზე შემოაცმევენ ორ ტრადიციულ თეატრალურ კოსტიუმს – **კიმონოებს** და შემოარტყამენ ფართო სარტყელს **ობის**. ყველა ამ ატრიბუტს თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს და ეხმარება მაყურებელს პერსონაჟის უკეთ აღქმაში.

§3. რიტუალურ-მაგიური ნახატები, ანუ პეტროგლიფები

რიტუალურ-მაგიური ნახატები, ანუ **პეტროგლიფები** ფუნქციურად უახლოვდება როგორც ტატუს, ისე რიტუალურ ნიღბებს. **მათი მეშვეობით პირველყოფილი ადამიანები ამყარებდნენ კონტაქტს ღმერთებთან და ცხოველთა ტოტემურ სულებთან, რათა მსხვერპლი შეეწირათ მათთვის, განედიდებინათ ისინი და კეთილად განეწყოთ ნახატების შემსრულებელი გვარის, ან ტომის მიმართ.**

პირველყოფილმა ადამიანებმა უკვე ძველი ქვის ხანიდან, ანუ პალეოლითიდან დაიწყეს კლდეებზე, გამოქვაბულების, თუ მღვიმეების კედლებსა და ლოდებზე რიტუალურ-მაგიური ნახატების გამოსახვა. ამგვარი ნახატების შესრულება განსაკუთრებით მოხშირდა ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ეპოქებში.

სხვადასხვა დროს შესრულებული უნიკალური პეტროგლიფები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე: ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. პეტროგლიფებზე უპირატესად გამოსახულნი არიან სხვადასხვა ცხოველები: ცხენები, მამონტები, ბიზონები, მარტორქები, დათვები, გამოქვაბულის ვეფხვები, გამოქვაბულის ლომები, ირმები, ანტილოპები, ქვეწარმავლები და ა.შ. ასევე ხშირადაა დახატული მოისარი ადამიანები, ცხენოსნები, მონადირეები, მეომრები, ბელადები, ქალები. ადამიანების მონაწილეობით გამოსახულ ნახატებზე დასტურდება ნადირობის, ომის, ლოცვის, მსხვერპლშეწირვისა და რიტუალური სექსის სცენები. შედარებით იშვიათია მცენარეთა გამოსახულებანი. ხშირად ხატავდნენ მნათობებს.

სტილის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის, რომ **პეტროგლიფებზე ნახატები შესრულებულია მონახაზის სახით, ანუ კონტურულად, ნაკაწრებად, მინერალური საღებავების გამოყენებით, ანდა ქვაზე გამოსახული ბარელიეფების[5] სახით.** ბოლო დრომდე ყველაზე ცნობილია მსოფლიოში უძველესად მიჩნეული **შოვეს გამოქვაბულის** მხატვრობა (საფრანგეთი), რომელსაც ზოგი მკვლევარი 32 ათასი წლის წინ შექმნილად მიიჩნევს.

[5] **ბარელიეფი** – ბრტყელ ზედაპირზე (კლდეზე, ქვაზე, ფიცარზე) ამობურცული გამოსახულება. ამ მიზნით გამოსახულების ირგვლივ არსებული სივრცის ზედაპირი ღრმავდება.

გამოქვაბულის მხატვრობათაგან სიძველით და/ან მხატვრული ოსტატობის მხრივ გამორჩეული ნიმუშებია: გობექლი-თეფეს (თურქეთი), კობარელის, მონტესპანისა და ლასკოს (საფრანგეთი), ალტამირას (ესპანეთი), სამხრეთ იტალიის, ჩრდილოეთ აფრიკის (თალისინ-აჯერის, ლაას-გაალის, თადრათ აკაკუსის), სკანდინავიის (ალტას), ციმბირისა და ურალის (შიშკინოს, კაპოვის), მაგურას (ბულგარეთი), კ'უევას დე ლას მანიოსის "ხელების გამოქვაბულების" (არგენტინა), ბჰიმბეტკას (ინდოეთი), სიერა დე კაპივარას (ბრაზილია) და სხვათა მხატვრობა.

კლდისა და ქვის მხატვრობიდან გამორჩეულია: კაკადუს ეროვნული პარკის (ავსტრალია), გობუსტანის (აზერბაიჯანი) და მრავალი სხვა ადგილის მხატვრობა.

საქართველოში აღსანიშნავია **მღვიმევის, განთიადის, ანუხვის, ხევსურეთისა** და სხვა ნახატები.

მღვიმევის მხატერობა მიკვლეულია ჭიათურის რაიონში, მღვიმევის ცნობილი მონასტრის ახლოს.

კლდის მხატვრობის ნიმუშები ნაპოვნია აგრეთვე წალკის რაიონში სოფ. თაქქილისას (განთიადის) სიახლოვეს, მდინარე პატარა ხრამის მარჯვენა ნაპირზე.

მღვიმევსა და განთიადში გამოსახულია ცხოველები: ცხენი, ირემი, ჯიხვი, მელია, შველი, აქლემი, ლომი და სხვა, აგრეთვე ფანტასტიკური არსებანი, სხვადასხვა ხასიათის სცენები, ადამიანთა, მზის, ჯვრების გამოსახულებები, გეომეტრიული ფიგურები. აღნიშნული ნახატები სხვადასხვა პერიოდისაა. საინტერესოა, რომ განთიადის კლდეზე გამოსახულია შელის ნუკრი, რომელიც დედის ძუძუს წოვს. ეს გამოსახულება გამოყენებულ იქნა იავნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის შედგენის დროს.

სიძველით გამოირჩევა აფხაზეთში, კერძოდ, გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვაში არსებული პრიმიტიული პეტროგლიფები.

მკვლევარმა **გიორგი გიგაურმა** დიდი რაოდენობის პეტროგლიფები გამოაელინა ხევსურეთში (გუდანი, ლებაისკარი და სხვ).

გამოქვაბულებში, კლდეებსა და ქვებზე გამოსახული ნახატების ფუნქციაც ღმერთებთან და ტოტემურ სულებთან ადამიანის კომუნიკაცია იყო.

თავი III.
დამწერლობის წარმოქმნისა და განვითარების ისტორია[6]

§1. დამწერლობის შექმნის წინაპირობები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამწერლობის წარმოქმნისათვის აუცილებელია კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს **გადაუდებელი მოთხოვნილება** გარკვეული ფორმების მქონე ნიშანთა სისტემის მეშვეობით ინფორმაციის დროსა და სივრცეში გადაცემისა.

ნებისმიერი დამწერლობა უეჭველად საჭიროებს შემდეგი **სავალდებულო ელემენტების** არსებობას:

- უნდა შეიქმნას **საბაზო ელემენტებისა**[7] **და სიმბოლოების** ერთი ნაკრები მაინც. ეს ელემენტები და სიმბოლოები ცალ-ცალკე ნიშნებს უნდა წარმოადგენდენ, ერთობლიობაში კი ქმნიდნენ წერის სისტემას;
- უნდა არსებობდეს **წესებისა და პირობების** ერთი ნაკრები მაინც, იგივე **მართლწერა, ანუ ორთოგრაფია**, რომელიც გასაგებია მოცემული საზოგადოებისათვის და ცნობილია ამ საზოგადოების დიდი ჯგუფისათვის, ან მისი ნაწილისათვის. საზოგადოების ეს ნაწილი ადგენს საბაზო ელემენტების, ანუ გრაფიკული გამოსახულებების, ე.ი. გრაფემების მნიშვნელობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონდება, თუ რას გამოხატავს ყოველი დაწერილი ნიშანი, ასევე დგინდება ნიშანთა თანმიმდევრობა (ანბანთრიგი, ანუ ალფაბეტი) და მიმართებები გრაფემებს შორის;
- უნდა შეირჩეს **ენა**, რომლის შემადგენელი ელემენტები (ბგერები, მარცვლები, სიტყვები, მყარი გამონათქვამები და ფრაზები) აისახება ნიშნებსა და წაკითხვის წესებში. ეს ენობრივი ელემენტები პირდაპირ ამოიკითხება მომხმარებლის მიერ, ანდა კითხვისას ამოიცნობა, ანდა აღდგება ნაგულისხმევი, მაგრამ საგანგებო ნიშნებით აუსახავი ელემენტები;
- უნდა შეირჩეს რაიმე სახის მუდმივი, ან დროებითი **ფიზიკური საშუალებები, ე.ი. საწერი მასალა** (ქვა, თიხა, მცენარის ღეროები ან ფოთოლი, ტყავი, ქსოვი-

[6] თავის ავტორი – გ. გვანცელაძე.

[7] **საბაზო ელემენტი** არის ის მონახაზები (წრე, რკალი, მოკლე, ან გრძელი ხაზი, წერტილი...), რომლებიც გამოიყენება რისამე, ამ შემთხვევაში **გრაფემების** (იეროგლიფის, ასოს) შემადგენელ ნაწილებად.

ლი...), რომლებზეც მკაფიოდ გამოისახება სიმბოლოები და ამ გზით იქმნება შესაძლებლობა, ამოკითხულ იქნეს მათზე გამოსახული სადამწერლობო ელემენტები.

დამწერლობათა უმრავლესობა შეიცავს კონკრეტული ენების მცირე ერთეულების აღმნიშვნელ გრაფიკულ ნიშანთა ისეთ ნაკრებს, რომლებიც ერთროულად გამოყენებისას გამოხატავენ მოცემულ ენათა უფრო მსხვილ ენობრივ ერთეულებს. მაგალითად, ბგერების აღმნიშვნელი გრაფემებისგან იქმნება მარცვლები, მარცვალთა აღმნიშვნელი გრაფემები ქმნიან სიტყვებს, სიტყვების აღმნიშვნელი გრაფემებისაგან გამოიხატება ფრაზები და წინადადებები.

ნებისმიერი დამწერლობის უმცირესი ერთეულია **გრაფემა, ანუ დაწერილი ნიშანი, ასო-ნიშანი.** გრაფემათა ერთობლიობა ქმნის **დამწერლობას, ანუ ანბანს, ალფაბეტს.**

შესაძლებელია, ერთსა და იმავე გრაფემას სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა გამომსახველობითი (ვიზუალური, გრაფიკული) ფორმა ჰქონდეს, მაგრამ მუდამ იკითხებოდეს ერთნაირად, ან, პირიქით, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა ბგერას. მაგალითად, **ქართული მხედრული ასოები** ჩვენ შეგვიძლია ვწეროთ ხან წარმოსახულ კვადრატში ჩაწერილი საშუალო სიმსხოს ასოებით, ხან წვრილად, ზოგჯერ მსხვილად, დახრილად, ანდა გავაფორმოთ სხვადასხვა დეკორატიული ელემენტებით და ა.შ. ჩვენსავე დამწერლობაში შეგვიძლია ასო **ლ** ვწეროთ ზედა სამი ნახევარრკალით, ან ერთი რკალით; ასო **რ** შეიძლება დაიწეროს ერთი, ან ორი რკალით; ასო **ო** იწერება ან ისე, როგორც აქაა წარმოდგენილი, ან ორი სწორი ხაზის მართ კუთხედ შეერთებით...

ლათინური დამწერლობა გამოიყენება მსოფლიოს მრავალი ენის ბგერათა ჩასაწერად, მაგრამ თვით ერთსა და იმავე ენაშიც კი ლათინური დამწერლობიდან აღებული ერთი და იგივე ასო ერთ შემთხვევაში გამოხატავს ერთ ბგერას, სხვა შემთხვევებში კი – სხვა ბგერებს. მაგალითად, ინგლისურად წერისას ლათინური **Gg** ასოები ხან იკითხება როგორც **გ** თანხმოვანი, ხან კი – როგორც **ჯ** ბგერა; იგივე **Gg** ასოები ფრანგულ ენაზე ხან იკითხება როგორც **გ** თანხმოვანი, ხან კი – როგორც **ჟ** ბგერა, ხოლო ესპანურ ენაზე – ხან როგორც **გ**, ხან – როგორც **ხ** და ა.შ.

ერთი და იმავე გრაფემის ვარიანტებს ალოგრაფები ეწოდება.

ამ მცირე შესავლის შემდგომ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როდის, სად და რა პირობებში წარმოიქმნა დამწერლობები. საამისოდ თვალი უნდა გადავავლოთ შორეულ წარსულს.

***

პირველყოფილ-თემური წყობილების ბოლო ეტაპზე დაიწყო გამოქვაბულებში ცალ-ცალკე მცხოვრები გვარების გაერთიანება ტომებად, უფრო გვიან კი – ტომების გაერთიანება და ერთ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსების ჩამოყალიბება. პარალელურად მიმდინარეობდა საზოგადოების დაყოფა კლასებად, რამაც ხელი შეუწყო ადამიანთა საზოგადოების წინსვლას.

გაჩნდა პირველი ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთა მართვაში ინფორმაციის დროსა და სივრცეში გადაცემას დიდი როლი ეკისრებოდა. გარდა ამისა, ყოველ გვარს, ნებისმიერ ტომს ჰყავდა საკუთარი ღმერთები და ტოტემური სულები, რომელთა გულის მოგება და კეთილგანწყობის მოპოვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნეოდა. ამ მიზეზის გამო ადამიანები ამზადებდნენ ღმერთებისა და ტოტემების მცირე სკულპტურებს, რომლებიც მათი გვარისა და ტომის მფარველებად მიიჩნეოდნენ. ამ პატარა ქანდაკებებს დგამდნენ გამოქვაბულში, ან ქოხში საპატიო ადგილას. მათ წინაშე სრულდებოდა გარკვეული რიტუალები. ასეთივე ფუნქცია ჰქონდა გამოქვაბულებსა და კლდეებზე გამოსახულ რიტუალურ ნახატებსაც (პეტროგლიფებს).

მოგვიანებით ადამიანებმა ისწავლეს კაპიტალური შენობების აგება, რომელთაგან ნაწილს წმინდა რელიგიური ფუნქცია ჰქონდა. ტაძარ-სამლოცველოებსა და წმინდა ადგილებში იდგმებოდა ღმერთებისა და ტოტემური სულების გამომსახველი დიდი ქანდაკებები, კედლებზე იხატებოდა მათივე გამოსახულებანი ქურუმების, მეფეების, ბელადების, მაღალი წრის წარმომადგენლების და მონების გამოსახულებებთან ერთად. ნახატები გამოისახებოდა აგრეთვე ქურუმთა, მეფეების, ბელადებისა და მაღალი წრის წარმომადგენელთა სამარხებზე აგებულ აკლდამებზე, პირამიდებზე, სამეფო სასახლეებში, საზოგადოების საშუალო ფენების წარმომადგენელთა საცხოვრებელ სახლებში, საფლავის ქვებზე, ჭურჭელზე.

ამ ნახატებში ხშირად ღმერთები და ტოტემური სულები ადამიანებისა და ცხოველთა მსგავს არსებებად იყო წარმოდგენილი, იქვე გარკვეული გეომეტრიული ფორმებით (წრეებით, სწორი, კლაკნილი თუ სხვა სახის ხაზებით, სამკუთხედებით...) გამოიხატებოდა **სიწმინდეთა აღმნიშვნელი ცნებები და წმინდა ტექსტები**. ეს კი ტატუსთან, ნიღბებთან და პეტროგლიფებთან ერთად დამწერლობის შექმნისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს.

საკმაოდ დიდხანს ადამიანები ინფორმაციის **სივრცეში გადაცემისათვის** იყენებდნენ კონკრეტულ საგნებს, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ. მაგალითად, ძველი ბერძენი ავტორი **ჰეროდოტე** (ძვ.წ. V საუკუნე) ასეთ ლეგენდას მოგვითხრობს:


სპარსეთის მეფე **დარიოს პირველმა** მომთაბარე სკვითების დამორჩილება გადაწყვიტა და ლაშქარიც დაძრა. მას სკვითებმა მოციქულის ხელით გამოუგზავნეს **ჩიტი, თაგვი, ბაყაყი და ისრები**. შიკრიკმა გადასცა ისინი დარიოსს და უთხრა, ჩემთვის არ დაუვალებიათ ამ ნივთების მნიშვნელობის განმარტება, თვითონ უნდა მიხვდე, რას ნიშნავს ისინიო. მოციქულის წასვლის შემდეგ დარიოსმა განაცხადა, რომ სკვითები დამორჩილებას აპირებდნენ, რადგან, მისი აზრით, მათ მიწა, წყალი და ჰაერი დაუთმეს სპარსელებს, რაკი, მისი აზრით, თაგვი მიწას აღნიშნავდა, ჩიტი – ჰაერს და ბაყაყი – წყალს, ხოლო ისრები ბრძოლის შეწყვეტის სიმბოლო იყო. დარიოსს არ დაეთანხმა ერთი სპარსელი ბრძენი, რომელმაც განმარტა, რომ სკვითების გამოგზავნილი ნივთები სულ სხვა რამეს ნიშნავდა:

"თუ თქვენ, სპარსელები, ჩიტივით არ გაფრინდებით ცაში, თაგვივით არ ჩაძვრებით მიწაში და ბაყაყივით არ ჩაიმალებით ჭაობში, უკან ვერ დაბრუნდებით, რადგან ჩვენი ისრებით ამოგხდებათ სულიო".

საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ ბრძენკაცის განმარტება უფრო სწორი ყოფილა.

ინფორმაციის გადაცემის ამგვარ წესს პირობით **"საგნობრივ დამწერლობას"** უწოდებენ. "საგნობრივი დამწერლობის" ნიმუშია სამხრეთ ამერიკაში, ახლანდელი პერუს ტერიტორიაზე მოსახლე ინკებისა და კეჩუას ტომის ინდიელთა **კიპუ**, რომელშიც ნასკვების რაოდენობა, განლაგების წესი და თოკის შეფერილობა მიუთითებდა ნივთების სხვადასხვა რაოდენობაზე.

ასეთივე ფუნქცია ჰქონდა აგრეთვე აშშ-ს ტერიტორიაზე მცხოვრები იროკეზების ტომის ინდიელთა **ვამპუმს**, რომელიც წარმოადგენდა პირობითი მნიშვნელობის მქონე თოკზე აცმულ სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნიჟარებს.



რიცხვების აღნიშვნა კიპუს მეშვეობით

§ 2. დამწერლობათა კლასიფიკაცია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართების თვალსაზრისით

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, საკუთრივ დამწერლობა სხვადასხვა დროს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა დედამიწის სხვადასხვა მხარეში: **წინა აზიასა და მესოპოტამიაში, ჩინეთში, ცენტრალურ ამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში.**

დამწერლობის განვითარება რამდენიმე ეტაპად ხდებოდა.

მკვლევარები გამოყოფენ დამწერლობის რამდენიმე ტიპს იმის მიხედვით, თუ რა საფუძველზე ხდება მეტყველების ასახვა ნაწერში და რას გამოხატავს ამ ტიპებში არსებული გრაფემები. **დამწერლობათა ტიპებია:**

- **პიქტოგრაფიული დამწერლობა;**
- **იდეოგრაფიული დამწერლობა;**

- **ფონო-იდეოგრაფიული (შერეული) დამწერლობა;**
- **ფონეტიკური, ანუ ანბანური დამწერლობა.**

შექმნის ქრონოლოგიის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ დამწერლობის დასახელებულ ტიპებს, უნდა დავასკვნათ, რომ ისინი ისეთივე თანმიმდევრობით წარმოიქმნა, როგორც აქაა დასახელებული.

დადგენილია ისიც, რომ ეს ტიპები ერთიმეორისაგან ჩამოყალიბდა ამავე თანმიმდევრობით, ანუ ჯერ გაჩნდა პიქტოგრაფიული დამწერლობის ტიპი და მისგან წამოიქმნა იდეოგრაფიული ტიპი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მშობელია ფონო-იდეოგრაფიული დამწერლობისა, რომლისგანაც მომდინარეობს ფონეტიკური დამწერლობა.

§3. პიქტოგრაფიული დამწერლობა

როგორც ითქვა, პიქტოგრაფიული ტიპის დამწერლობა ყველაზე ადრე გაჩნდა. იგი შედგება ნახატების ერთობლიობისაგან (შდრ. ლათინური **pictus** "ნახატი" და ბერძნ. **γραφο** "ვწერ").

ამ ტიპის დამწერლობებში ყოველი გამოსახულება, ანუ **პიქტოგრამა** უკავშირდება ერთ, ან რამდენიმე მონათესავე თვისებების მქონე კონკრეტულ ობიექტს და გამოხატავს გარკვეულ ცნებას. თავიდან ეს ნიშნები თითქმის **რეალისტური ნახატები** იყო – იხატებოდა ადამიანი, ცხოველი, მცენარე, გეოგრაფიული ობიექტები, მნათობები, სხვა საგნები და ა.შ. შემდგომში პიქტოგრამების ფორმა შეიცვალა და დროთა განმავლობაში მათი გარდაქმნის გზით ჩამოყალიბდა ნახატთან ახლომდგომი **პირობითი, სტილიზებული** გამოსახულებანი.

ამ ეტაპზე შექმნილი მრავალი პიქტოგრამა დღესაცაა შემორჩენილი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფორმობრივი ცვლილებით, მაგრამ ისინი ხშირად ცნებებს კი აღარ აღნიშნავენ, არამედ მარცვლებს, ან ბგერებს.



ეგვიპტური პიქტოგრამები

აქ სანიმუშოდ წარმოდგენილი ეგვიპტური პიქტოგრამები ცხადად გვიჩვენებენ, რომ ძველეგვიპტური დამწერლობის მოცემული ვარიანტი უკვე **ნარევი** ყოფილა და შედგებოდა **3 ტიპის ნიშნებისაგან:**

პირველ, ყველაზე ძველ ნიშნებს წარმოადგენდნენ თითქმის რეალისტური ნახატები, რომლებიც აღნიშნავდნენ **მამაკაცს** (ინგლისურად man); **ქალს** (woman); **ღმერთს, ან მეფეს** (god // king); **ძალას, ან მეომარს** (force // effort); **ჭამა-სმას, ან მეტყველებას** (eat // drink // speak); **მცირეს, ან ცუდს, ანდა სუსტს** (small // bad // weak).

მეორე ჯგუფს ქმნიდნენ დანარჩენი ნიშნები ბოლო ორი ნიშნის გარდა. ისინი მიახლოებით, ასოციაციურად მოგვაგონებენ იმ საგნებს, რასაც აღნიშნავენ: **სახლსა და შენობას** (იხ. II სვეტის პირველი სტრიქონი); **ქალაქსა და სოფელს** (იმავე სვეტის II სტრ.); **საზღვარსა და უცხო ქვეყანას** (იმავე სვეტის III სტრ.); **მზეს, სინათლესა და დროს** (იმავე სვეტის IV სტრ.); **ნაბიჯს, სვლასა და სირბილს** (II სვეტის V სტრ.); **წიგნს, წერასა და ნაწერს** (III სვეტის I სტრ.); **ხეს, ტყესა და ჭალას** (III სვეტის III სტრ.).

რაც შეეხება ბოლო ორ ნიშანს, ისინი **დამხმარე ნიშნებია**: ერთი ჯოხი **განმსაზღვრელი ნიშანია**, რომელიც მიანიშნებს მკითხველს, თუ რა ტიპის სიტყვა უნდა ამოიკითხოს მის მომდევნო ნიშანში, ხოლო სამი ჯოხი **მრავლობითი რიც-**

ხვის ნიშანია. ბუნებრივია, ამ ორი **აბსტრაქტული ცნების** გამომხატველ ნიშანს რეალური საგნის სახე ვერ ექნებოდა – **ისინი პირობითია**.

პირველი ჯგუფის ნიშნები ყველაზე ადრინდელია, მათი მომდევნო ხანისაა მეორე ჯგუფის ნიშნები, ხოლო მესამე ყველაზე ბოლოსაა წარმოქმნილი. ისინი ასახავენ პიქტოგრაფიული დამწერლობის განვითარების 3 საფეხურს.

არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ **პიქტოგრაფიული ნიშნები ინტერნაციონალური ხასიათისაა** და **არ უკავშირდება კონკრეტული ენის ბგერით შემადგენლობას**. ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ენისათვის და ყოველ ენაზე წაიკითხება ამ კონკრეტული ენის სიტყვებით. გარდა ამისა, პიქტოგრამები ხშირად მთელ წინადადებებს აღნიშნავენ.

წმინდა პიქტოგრაფიული დამწერლობები ამჟამად აღარ გამოიყენება, თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულია პიქტოგრაფიის წესების დაცვით შექმნილი **პირობითი ნიშნები**. მაგალითად, ასეთია საგზაო ნიშნების ერთი ნაწილი.

§4. იდეოგრაფიული დამწერლობა

დამწერლობის ამ ტიპში ყოველი ნიშანი უკავშირდება და გადმოსცემს კონკრეტულ ცნებას, აზრს, იდეას. აქედან მოდის მისი სახელწოდებაც, რაც ბერძნულად იდეის, აზრის ჩაწერას ნიშნავს. ამ ტიპის დამწერლობათა ნიშნებს **იეროგლიფებსაც** უწოდებენ: ძველბერძნულად შესიტყვება **ტა ჰიეროგლიფიკა გრამმატა** ეწოდებოდა ქვაზე ამოკვეთილ წმინდა ნიშნებს (სიმბოლოებს). ამ ფრაზიდან მოდის ტერმინი **იეროგლიფი**.

იდეოგრამები, ანუ იეროგლიფები საკმაოდ რთულია და ხშირად ჭირს იმის გამოცნობა, თუ კონკრეტულად რისი გამოსახულება უდევს მათ საფუძვლად, თუმცა ასევე ბევრია იმგვარი იეროგლიფები, რომლებიც პიქტოგრამებისაგან (ნახატი ნიშნებისაგან) მომდინარეობენ მათი სტილიზაციის გზით.

ამ ტიპის დამწერლობათა გრაფემებში ხშირად ხდებოდა ძირითად ნიშნებში გარკვეული დამატებითი ელემენტების (ხაზების, რკალების, წრიული ფორმების...)

ჩამატება მსგავს ცნებათა გადმოსაცემად, რაც აადვილებდა ტექსტის ჩაწერასაც და დამწერლობის შესწავლასაც.

უძველესი იეროგლიფების მთავარი ნაკლი იყო ენის ბგერითი შედგენილობისა და იეროგლიფების ერთიმეორესთან პირდაპირი კავშირის უქონლობა.



მზის აღმნიშვნელი ძველჩინური იეროგლიფი (მარცხნივ) და მისგან მომდინარე მზისა და სინათლის აღმნიშვნელი ამჟამინდელი იეროგლიფი (მარჯვნივ)

როგორც აქ წარმოდგენილ ილუსტრაციაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ძველჩინური იეროგლიფი აშკარად მზის გამომსახველი წრის სტილიზებული ფორმაა, ხოლო თანამედროვე იეროგლიფი მისგან მომდინარეობს: გრაფემა კუთხოვანი გახდა, რაც წერისას ტუშით საწერი ფუნჯის მოძრაობის გაადვილებას ემსახურებოდა, ხოლო იეროგლიფის მარცხენა კიდურა ხაზზე მიბმულია იეროგლიფის მუცლისკენ მიმართული მოკლე ხაზი. ცხადია ისიც, რომ მარცხნივ გამოსახული იეროგლიფი აშკარად მზის რეალური გამოსახულებისაგანაა მიღებული.

§5. ფონო-იდეოგრაფიული (შერეული) დამწერლობა

დამწერლობის ფონო-იდეოგრაფიული, ანუ შერეული ტიპი წარმოიქმნა იდეოგრაფიული დამწერლობისაგან (სახელწოდებაში გვხვდება ბერძნული სიტყვები: **ფონე** "ბგერა", **იდეა** "იდეა", **გრაფო** "ვწერ").

ამ ტიპის მთავარი სიახლეა გრაფემისა და ბგერის ურთიერთკავშირის დამყარება, რაც იმას გულისხმობს, რომ **დაიწყო გრაფემებით ბგერების აღნიშვნა, ანუ დაწერილი ნიშნები გამოხატავს ცნებებსაც და კონკრეტული ენის სიტყვებსაც, თუ მორფოლოგიურ ელემენტებსაც** (რიცხვის მაწარმოებლებს, ბრუნვის ნიშნებს, დროის აფიქსებს და ა.შ.).

ამ ტიპის დამწერლობა 2 ჯგუფად იყოფა – **ლოგოგრაფიულ და მორფემულ დამწერლობებად**:

1. ლოგოგრაფიულ ქვესახეობებში გრაფემები სიტყვებს გადმოსცემენ (ბერძნ. **ლოგოს** "სიტყვა", **გრაფო** "ვწერ");
2. მორფემულ ქვესახეობებში უკვე არსებობს სპეციალური ნიშნები აფიქსების (რიცხვის მაწარმოებლების, ბრუნვის ნიშნების, დროის აფიქსების და ა.შ.) გადმოსაცემადაც.

იმის გამო, რომ ფონო-იდეოგრაფიულ დამწერლობაში უკვე დაიწყო როგორც სიტყვის, ისე აფიქსების გამოხატვა, მას **შერეულ დამწერლობასაც** უწოდებენ.

§6. ფონეტიკური დამწერლობა

ფონეტიკური დამწერლობა და მისი ქვესახეობანი ყველაზე გვიან შეიქმნა (ტერმინი **ფონეტიკა** ბერძნულია და ნიშნავს "ბგერითს").

ეს ტიპი იმით გამოირჩევა, რომ **გრაფემებით გადმოიცემა სიტყვის ჟღერადობა: არსებობს საგანგებო ასოები მარცვლების, მხოლოდ თანხმოვნების, ან თანხმოვნებისა და ხმოვნების აღსანიშნავად.**

შესაბამისად, გამოიყოფა 3 ქვეტიპი:

- **მარცვლოვანი (სილაბური) დამწერლობები;**
- **თანხმოვნური (კონსონანტური) დამწერლობები;**
- **თანხმოვნურ-ხმოვნური (კონსონანტურ-ვოკალური) დამწერლობები.**

მარცელოვან (სილაბურ) დამწერლობაში გრაფემები აღნიშნავენ მარცვლებს. ამ ქვეტიპში ერთიანდება 2 ქვესახეობა:

1. **საკუთრივ მარცვლოვანი;**
2. **აბუგიდა.**

საკუთრივ მარცვლოვან დამწერლობებში ერთმანეთის მსგავსი გრაფემები აღნიშნავენ ერთი და იმავე ხმოვნის შემცველ მარცვლებს. მაგალითად, ერთმანეთის მსგავსი ასოებით შეიძლება გადმოიცემოდეს ა ხმოვნის შემცველი მარცვლები: **ბა, გა, და, ჯა, ზა, თა...**

სხვა ხმოვნების შემცველი მარცვლებისათვის გამოიყენება განსხვავებული მოხაზულობის მქონე გრაფემები. ასეთი იყო, მაგალითად, იაპონიაში გავრცელებული დამწერლობა კანა.

რაც შეეხება **აბუგიდას**, მისი სახელწოდება მომდინარეობს ეთიოპური დამწერლობის პირველი ასოების სახელებისაგან: **ა+ბუ+გი+და**. ამ სახეობაში ერთი და იმავე ხმოვნის მქონე მარცვლები გადმოიცემა **საბაზო გრაფემის** ვარიანტებით, ხოლო სხვა ხმოვნის შემცველ მარცვლებს აღნიშნავენ სხვა საბაზო გრაფემის ვარიანტები (ასეა, მაგალითად, ეთიოპურ დამწერლობაში).

აბუგიდას სხვა ფორმებში (მაგალითად, ინდურ დამწერლობაში) ა ხმოვნის შემცველ მარცვლებს საბაზო გრაფემის ვარიანტები გადმოსცემენ, სხვა ხმოვნის შემცველი მარცვლების აღმნიშვნელად კი გამოიყენება ასოების თავზე, ან ზემოდან მიწერილი დამატებითი ნიშნები.

თანხმოვნურ (კონსონანტურ) დამწერლობებში ასოები არსებობს მხოლოდ თანხმოვანთა აღსანიშნად (ლათინური სიტყვა **consonans** ნიშნავს თანხმოვანს), ხოლო ხმოვნებისათვის არასავალდებულოდ გამოიყენება დამატებითი დიაკრიტიკული ნიშნები. ამ ტიპისაა არაბული, სირიული და ებრაული დამწერლობები.

თანხმოვნურ-ხმოვნური (კონსონანტურ-ვოკალური) დამწერლობები ყველაზე გვიან შეიქმნა, მაგრამ ყველაზე სრულყოფილია, ვინაიდან მათში ცალკე ასოები არსებობს როგორც თანხმოვნებისათვის, ისე ხმოვნებისათვის (ლათინური სიტყვა **vocalis** აღნიშნავს ხმოვანს). ამ ტიპს ეკუთვნიან ამჟამინდელ მსოფლიოში გავ-

რცელებული ისეთი დამწერლობები, როგორიცაა: ქართული, სომხური, ბერძნული, ლათინური, სლავური (კირილიცა).

მსოფლიოს სადამწერლობო სისტემათა ტიპების ცვლა ცხადად ჩანს ჩვენამდე მოღწეული მასალიდანაც. მაგალითად, ეგვიპტური დამწერლობა თავდაპირველად პიქტოგრაფიული იყო, მომდევნო ეტაპზე პიქტოგრამების ნაწილმა შეიძინა მარცვლის აღნიშვნის ფუნქცია, ხოლო ბოლო ეტაპზე დამწერლობაში შემორჩენილმა პიქტოგრამებისა და პიქტოგრამებისაგან მომდინარე სტილიზებული ასონიშნების ნაკრებით აღინიშნებოდა თანხმოვნები, ანუ ეგვიპტური პიქტოგრაფიული დამწერლობიდან საბოლოოდ შეიქმნა ეგვიპტური ფონეტიკური დამწერლობა.

თავი IV.
შუმერული დამწერლობა – კაცობრიობის უძველესი წერილობითი მემკვიდრეობა[8]

როგორც წინა თავში ითქვა, პიქტოგრაფიული დამწერლობის განვითარების ბოლო ეტაპზე დაიწყო საგანგებო ნიშნებით მარცვალთა გამოსახვა და პიქტოგრამებისათვის დართული დამატებითი გრაფიკული ნიშნების მეშვეობით სიტყვათა მორფოლოგიური ელემენტების (პრეფიქსებისა და სუფიქსების) აღნიშვნა, ანუ პიქტოგრაფია თანდათან გადავიდა დამწერლობის შერეულ ტიპზე.

ამ პერიოდში ზოგ შემთხვევაში მარცვლის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა დამწერლობაში უკვე არსებული პიქტოგრამები და აფიქსების აღმნიშვნელი დამატებითი ნიშნები, ზოგჯერ კი საგანგებოდ იქმნებოდა ახალი გრაფიკული ნიშნები, ანუ ასოები, რომლებიც ამჯერად ცნებებს, იდეებს, სიტყვებს, ანდა აფიქსებს კი აღარ აღნიშნავდა, არამედ თანხმოვნისა და ხმოვნისაგან შემდგარ მარცვალს. ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ პერიოდად პიქტოგრაფიიდან ფონოგრაფიისაკენ, უფრო ზუსტად, **მარცვლოვანი, ანუ სილაბური** დამწერლობისაკენ.

მაგალითად, ძველ ეგვიპტურ პიქტოგრაფიულ დამწერლობაში თავდაპირველად ნახატი ნიშნები მხოლოდ ცნებებს, იდეებსა და სიტყვებს გადმოსცემდა, მაგრამ მოგვიანებით დაიწყო მარცვალთა აღნიშვნაც (სათანადო ილუსტრაცია და მისი განმარტება წარმოდგენილია წინა თავში).

მკვლევარ **გიორგი გიგაურის** აზრით, პიქტოგრაფიული დამწერლობის ნაშთები საქართველოს მრავალ მხარეშიცაა შემორჩენილი.

საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორიის სამხრეთით, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სათავეს იღებს 2 დიდი მდინარე – ევფრატი და ტიგროსი, რომლებიც გაივლიან თანამედროვე ერაყის ტერიტორიას და ირანის სამხრეთ-დასავლეთით ერთვიან სპარსეთის ყურეს (ინდოეთის ოკეანის ნაწილს). ამ მდინარეებს შორის მდებარე მიწაწყალს ძველი ბერძნები **მესოპოტამიას, ანუ შუამდინარეთს** უწოდებდნენ. მესოპოტამია მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერად მიიჩნევა, სადაც ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ცივილიზაციისათვის მნიშვნელოვანი მრავა-

[8] თავის ავტორი – თ. გვანცელაძე.

ლი ატრიბუტი: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ირიგაცია (რწყვის სისტემა), საქალაქო მეურნეობა, ლითონების დამუშავება, კაპიტალური მშენებლობა, რთული მითოლოგიური და რელიგიურ-კულტურული შეხედულებების სისტემა, დამწერლობა, ვაჭრობა, ნაოსნობა, ბორბლიანი ტრანსპორტი, ახალი სოციალური ურთიერთობები და სხვანი.

შუმერები ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში ცხოვრობდნენ შუამდინარეთის სამხრეთ ნაწილში, ანუ **შუმერში** (შუმერულად: **ქი-ენ-გირი**), მათ ჩრდილოეთით კი ბინადრობდნენ სემიტური წარმოშობის ტომები. თავდაპირველად შუმერული ტომები დაქსაქსულად ბინადრობდნენ მდ. ევფრატის ნაპირებზე, სადაც არცთუ ისე ნაყოფიერი მიწები იყო. შემდგომში შუმერებმა ისწავლეს მიწის ხელოვნური რწყვა (ირიგაცია), რამაც მიწის მოსავლიანობა გაზარდა და ხელი შეუწყო ძვ.წ. IV ათასწლეულში დაქსაქსულ მცირერიცხოვან შუმერულ ტომთა გაერთიანებასა და მათი დასახლებების ზრდას. პარალელურად მიმდინარეობდა შრომის დანაწილება და საზოგადოების დიფერენციაცია კლასებად.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში დიდი შუმერული დასახლებები პირველ ქალაქებად იქცა. ქალაქებში მდგარი **ტაძრები, ანუ ზიქურათები** ასრულებდნენ არა მხოლოდ რელიგიური კულტის თაყვანისცემის ფუნქციას, არამედ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრები და მოსავლის მარაგის შესანახი ადგილიც იყო.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დაახლოებით ძვ. წ. 3000-2900 წლებში სატაძრო მეურნეობა იმდენად გართულდა, რომ საჭირო აღმოჩნდა მოსავლის მარაგის აღრიცხვის რთული სისტემის შემუშავება, რამაც განაპირობა დამწერლობის შექმნა. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა უდიდესი შუმერული ქალაქები: **ერიდუ, ნიფური, ქიში, ლაგაში, ურუქი, ური, უმა** და ა.შ. იმავე პერიოდში იწყება **ნომების** წარმოქმნა (ძვ. ბერძნ. **ნომოს** "მცირე ზომის ადმინისტრაციული ერთეული").

საყურადღებოა, რომ ძველი შუამდინარელები დიდხანს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ეროვნულ სხვაობას და ყველა მესოპოტამიელს ერთი გამაერთიანებელი სახელით აღნიშნავდნენ. ეს სახელი იყო "შავთავიანი" – შუმერულად: **უღ საღ გიგგა**, აქადურად: **ცალმათ-ქაგადი**.

შუმერულმა ქალაქებმა მომძლავრების შემდგომ დაიწყეს ერთმანეთთან მეტო-

ქეობა და პირველობისათვის ბრძოლა, რაც პრაქტიკულად ერთიანი სახელმწიფოსათვის ბრძოლას ნიშნავდა. უპირატესობა გადადიოდა ერთი ქალაქიდან მეორისაკენ. მაგალითად, დადგენილია, რომ ყველაზე ადრე მეზობელი ქალაქების დამორჩილება-შეერთებას ცდილობდნენ ქიშის, ურუქის, ურის, ლაგაშის მეფეები. მათგან განსაკუთრებული პატივი დაიმსახურა ურუქის მმართველმა, სიცოცხლეშივე გაღმერთებულმა **გილგამეშმა**, რომლის შესახებ მისი გარდაცვალების შემდგომ შეიქმნა მსოფლიო ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი **გილგამეშის ეპოსი**.

ძვ.წ. XXIV-XXIII საუკუნეებში თითქმის მთელი შუმერი ხელთ იგდო სემიტური წარმოშობის მეფე **სარგონ I-მა** და დედაქალაქად **აქადი** გამოაცხადა. ეს იყო შუმერულ-აქადური პირველი ერთიანი სახელმწიფო, რომლის საზღვრებმა მალე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მიაღწია. ძვ.წ. 1730 წელს შუმერულმა დინასტიამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა და მისი ადგილი ბაბილონურმა დინასტიამ დაიკავა. ასე წარმოიქმნა **ბაბილონის იმპერია**.

ძველ შუამდინარეთში შემუშავებული იყო თიხის მცირე სიმბოლოები – სამკუთხედები, წრეები, კვადრატები, კონუსები, ოვალები, რომელთაგან თითოეული **აღნიშნავდა მარცვლეულის, ან შინაური ცხოველების გარკვეულ რაოდენობას**, ზეთის, ლუდისა და წყლის **წონას**... მაგალითად, წრიული ფორმის თიხის სიმბოლოს შეიძლებოდა აღენიშნა საგანთა ერთი რაოდენობა, ხოლო კვადრატულს – იმავე საგნების მეტი, ან ნაკლები რაოდენობა...

საეჭრო გარიგების დროს საეჭრო საგნის რაოდენობის მიხედვით ორ-ორ ცალად მზადდებოდა თიხის შესაბამისი ფორმის მქონე სიმბოლო, რომელსაც ღუმელში გამოწვავდნენ და ერთი გამყიდველს რჩებოდა, მეორე კი მყიდველს, რითაც დასტურდებოდა, რომ საეჭრო გარიგება შედგა. იგივე წესი მოქმედებდა საგნების სესხად შეძენის შემთხვევაშიც და თუ მსესხებელი პირი დააგვიანებდა ვალის გადახდას, მევალე მას წარუდგენდა თიხის "დოკუმენტს" და მოვალეც იძულებული ხდებოდა, ეღიარებინა ვალი.

ეს სიმბოლოები, რომლებსაც **ტოკინა** ერქვა, ციფრების ჩანასახად შეიძლება მიეიჩნიოთ. ტოკინები ინახებოდა თიხის ბურთულებში.

მსოფლიოს უძველესი დამწერლობის შექმნა შუმერების სახელს უკავშირდება.

ჩვენამდე მოღწეული შუმერული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ნიმუშე-

ბი შექმნილია ძვ.წ. 3400 წლის ახლო ხანებში (ქ. ურუქის ფირფიტები), მაგრამ უფრო მეტია 2900-2500 წლებს შორის დაწერილი ტექსტები.

თავდაპირველად თიხის ფირფიტებზე გამოისახებოდა საგანთა რაოდენობის, ან ზომის და თვით ამ საგანთა აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები.

საწერ მასალად გამოიყენებოდა ქვიშაქვის, ანდა ახლადმოზელილი და გაბრტყელებული თიხის ფირფიტა, რომლის გაშრობამდე ჩხირებით გამოსახავდნენ კონკრეტულ საგანს, კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ ცნებას/იდეას, ანდა საგანთა რაოდენობის აღმნიშვნელ პირობით ნიშანს. სიტყვის გრამატიკული ფორმები (ბრუნვა, რიცხვი, დრო, კილო...) არ აღინიშნებოდა. დამწერლობის განვითარების პირველ ეტაპზე ამისი აუცილებლობა არც იყო, ვინაიდან პირველი შუმერული წერილობითი დოკუმენტები პრაქტიკულად სამეურნეო ხასიათის სიებს წარმოადგენდა, რომლებშიც ჩამოთვლილი იყო, თუ რა პროდუქტები და რა რაოდენობით ინახებოდა ტაძრის საცავში.

ერთ-ერთი უძველესი შუმერული ტექსტია **ქიშის ფირფიტა**, რომელიც აღმოაჩინეს ქალაქ ქიშის გათხრების დროს (ამჟამინდელი ქ. თელ-უჰაიმირი, ერაყი). ეს არის ქვიშაქვის ფირფიტა, რომელზეც გამოსახულია დაახლოებით ძვ.წ. 3300-3100 წლებში შესრულებული სამეურნეო შინაარსის ტექსტი. ამ ფირფიტაზე ცხადად ჩანს ხელის მტევნისა და ფეხის პიქტოგრამული გამოსახულებანი, თუმცა იქვეა სხვა სადამწერლობო ნიშნები, რომლებიც სულაც აღარ წარმოადგენს პიქტოგრამებს – მეცნიერებს ისინი მარცვალთა აღმნიშვნელ გრაფემებად მიაჩნიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ შუმერული დამწერლობა ამ ფირფიტის დამზადებისას უკვე გადადიოდა განვითარების ახალ ეტაპზე – სილაბურ დამწერლობაზე.

სხვა ფუნქცია ჰქონდა მეფეთა, ქურუმთა და დიდებულთა პირად ბეჭდებს, რომლებზეც გარკვეული სიმბოლოები მიანიშნებდნენ მოცემული პირის სტატუსს, დამოკიდებულებას ღმერთებისა და ტოტემებისადმი. იყო აგრეთვე სხვა ფუნქციის მქონე ტექსტებიც.

იმის გამო, რომ თიხა ცხელ მესოპოტამიაში სწრაფად ხმებოდა, მწერლებს, რომლებიც საზოგადოების მაღალ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, მოეთხოვებოდათ, რაც შეიძლება სწრაფად გამოესახათ ტექსტი. საქმეს ართულებდა საწერი იარაღის სპეციფიკაც: თიხაზე საწერად გამოიყენებოდა ლერწმის ბოლოწათლილი

წვრილი ღერო (ყველაზე ხშირად), წაწვეტებული ძვალი, ან ლითონის ჩხირი და ამ წაწვეტებული ნაწილით გამოჰყაედათ ასო-ნიშნები. გარდა ამისა, თიხა მასზე ჩხირით ზეწოლისას იოლად იმშხალებოდა და გამოსახულების ირგვლივ ბზარებს იჩენდა. ამიტომ ტექნოლოგიურად ყველაზე ადვილი იყო არა მრგვალი სიმბოლოების, არამედ კუთხოვანი, ლურსმნის მსგავსი ნიშნების აღბეჭდვა. ამიტომაც ეწოდება თიხაზე გამოსახულ ტექსტებს **ლურსმნული დამწერლობა**.

ტექსტიანი ფირფიტები მზეზე შრებოდა, ან ცეცხლში გამოიწვებოდა, მერე კი ყველაზე ხშირად დებდნენ თიხისაგან დამზადებულ საგანგებო "კონვერტებში" (თიხის მცირე ყუთებში), რათა დაცული ყოფილიყო მექანიკური დაზიანებისაგან.

თავიდან შუმერულ დამწერლობაში გამოიყენებოდა ნამდვილი ნახატები, პიქტოგრამები, რომლებიც ან რეალური საგნების გამოსახულებები იყო, ან აბსტრაქტულ ცნებებთან ახლომდგომი საგნების გამომხატველი პირობითი ნიშნები. ეს იწვევდა იმას, რომ ერთსა და იმავე ნიშანს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, ფეხის მუხლსქვედა ნაწილის გამოსახულება (პიქტოგრამა, ანუ ლოგოგრამა) გადმოსცემდა შემდეგ მნიშვნელობებს: **"ფეხი", "სიარული", "მოსვლა", "წასვლა"**, რაც ორაზროვნებას იწვევდა. ამ დაბრკოლების დასაძლევად ძ.წ. IV ათასწლეულის მიწურულისათვის შუმერულ დამწერლობაში ჩნდება ფონეტიკური დამწერლობისათვის დამახასიათებელი ელემენტები – შუმერმა მწერლებმა დაიწყეს **ფონეტიკური პრინციპის** გამოყენება, რაც შემდეგს გულისხმობდა:

ერთმანეთის მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვების ერთიმეორისაგან გასარჩევად მწერლები იყენებდნენ დამატებით ნიშნებს. მაგალითად, რაკი ფეხის მუხლსქვედა ნაწილის გამოსახულება მრავალმნიშვნელობიანი გახდა, მათ ეს ლოგოგრამა "მიაბეს" **მხოლოდ ფეხის** აღმნიშვნელ **დუ** სიტყვას, ხოლო სვლის, სიარულის აღმნიშვნელი **გინ** სიტყვის გადმოსაცემად სხვა საშუალებას ხმარობდნენ: ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ფეხის ნიშანს დაემატა **ნა** მარცვლის აღმნიშვნელი საგანგებოდ შექმნილი ნიშანი, რითაც ხდებოდა მინიშნება, რომ ფეხის ნახატი მოცემულ შემთხვევაში უნდა წაკითხულიყო არა როგორც **დუ** "ფეხი", არამედ როგორც **გინ-ნა** "სვლა, სიარული". სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მარცვლის აღმნიშვნელი სილაბოგრამა მიანიშნებდა წასაკითხი სიტყვის ბოლო მარცვალზე და მკითხველს საქმეს უიოლებდა.**

მარცვლის აღმნიშვნელ საგანგებო ნიშანს, რომელიც შეიცავს მინიშნებას სიტყვის ნაწილის, კერძოდ, მარცვლის ულერადობაზე, **ფონეტიკური კომპლემენტი,** ანუ **ფონეტიკური დანართი,** იგივე **სილაბოგრამა** ეწოდება.

შუმერები იყენებდნენ კიდევ ერთ საშუალებას ნაწერის სწორად ამოსაკითხად: ეს იყო **დეტერმინატივები,** ანუ **განმსაზღვრელი ნიშნები,** რომლებიც იწერებოდა ამოსაკითხი სიტყვის წინ, ან მის შემდეგ და მიანიშნებდა იმაზე, თუ ერთი და იმავე პიქტოგრამით აღნიშნული სიტყვებიდან რომელი ჯგუფის სიტყვა იყო ამოსაკითხი მოცემულ შემთხვევაში. მაგალითად:

პიქტოგრამა **დინგირ** "ღმერთი" დეტერმინატივის ფუნქციით იწერებოდა ღმერთების სახელებთან;

ხის აღმნიშვნელი ლოგოგრამა **გის** იწერებოდა ყველა იმ სიტყვასთან, რომელიც ხის ჯიშებს აღნიშნავდა;

მიწის აღმნიშვნელი **ქი** ლოგოგრამა იწერებოდა გეოგრაფიულ სახელებთან;

ფრინველთა სახელებს ახლდა ფრინველის აღმნიშვნელი **მუსენ** სიტყვის ლოგოგრამა და სხვ.

რაც მთავარია, **ყველა განათლებულმა პირმა იცოდა, რომ დეტერმინატივები არ იკითხება და ისინი მხოლოდ დამხმარე საშუალებებია.**

შუმერულმა ლურსმნულმა დამწერლობამ სრულყოფილ სახეს ძ.წ. XXV საუკუნისათვის მიაღწია. ამ ეტაპზე მას უკვე ჰქონდა მწყობრი სისტემა და დაუბრკოლებლად გამოიყენებოდა როგორც საერო, ისე რელიგიური შინაარსის ტექსტების გადმოსაცემად.

უძველესი შუმერული ლურსმული დამწერლობა მთელ სამხრეთ მესოპოტამიაში გავრცელდა და სრულიად იდენტური იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ერთ ადგილას შეიქმნა და ეს ადგილი ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მესოპოტამიის სხვა მოსახლეებმაც გადაიღეს იქიდან დამწერლობა. **სავარაუდოდ, შუმერული ლურსმნული დამწერლობა ქალაქ ნიფურში შეიქმნა.**

მას შემდეგ, რაც შუმერული სახელმწიფოების ადგილი ჯერ აქადურმა, შემდგომ კი ასურულ-ბაბილონურმა სახელმწიფოებმა დაიკავეს, შუმერული დამწერლობა თითქმის უცვლელად გამოიყენებოდა აქადური და ასურულ-ბაბილონური ენებისთვისაც.

გარდა ამისა, შუმერული დამწერლობა უდევს საფუძვლად ძველი წინა აზიის მრავალი სხვა ენის დამწერლობებსაც: ხეთურს, ხურიტულს, ურარტულს, ელამურს და სხვ. ვარაუდობენ, რომ შუმერულმა დამწერლობამ გავლენა მოახდინა ეგვიპტურ დამწერლობაზეც.

არსებითია იმის ცოდნაც, რომ ყველა ამ შემთხვევაში შუმერული პიქტოგრამები და სილაბოგრამები იკითხებოდა არა შუმერულად, არამედ აქადურად, ასურულ-ბაბილონურად, ხეთურად, ხურიტულად, ურარტულად, ან ელამურად.

ამრიგად, ირკვევა, რომ შუმერული დამწერლობა უძველესია ჩვენამდე მოღწეულ დამწერლობათა შორის. თავდაპირველად იგი **პიქტოგრაფიული ტიპისა** იყო, დროთა მანძილზე კი გადაიქცა **შერეულ დამწერლობად**, ვინაიდან გაჩნდა მარცვლის აღმნიშვნელი ნიშნები. თავის მხრივ შუმერული დამწერლობა საფუძვლად დასდებია მრავალი სხვა ენის დამწერლობას.

გრაფიკულად ეს მიმართებები ასე წარმოიდგინება:

შუმერული დამწერლობა

↓

აქადური, ასურული, ბაბილონური, ხეთური, ხურიტული, ურარტული, ელამური

როგორც დადგინდა, შუმერულ კულტურას იცნობდნენ საქართველოშიც. ამისი დასტურია კასპის რაიონში, სამთავისთან ახლოს, **გრაკლიან გორაზე** 2014 წელს მიკვლეული თიხისგან დამზადებული ბეჭედი შუმერული წარწერით.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი შუმერულ ასო-ნიშნებს კითხულობს მესოპოტამიიდან შორს მდებარე სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, პოკოტიაში (ბოლივია) ნაპოვნ თიხის თასზე, რომელსაც ესპანურად **Fuente magna**-ს უწოდებენ.

თავი V.
უძველესი შერეული და ფონეტიკური დამწერლობები[9]

§1. ეგვიპტური შერეული დამწერლობა

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განვითარების ბოლო ეტაპზე შუმერული დამწერლობა ნარევი ტიპისა გახდა: მასში ერთდროულად გამოიყენებოდა **პიქტოგრაფიის, ლოგოგრაფიისა და ფონოგრაფიის მარცვლოვანი ქვეტიპის** წესების მიხედვით აგებული ქვესისტემები. ამის გამო შუმერული დამწერლობის შესასწავლად აუცილებელი იყო ნიშანთა დიდი რაოდენობის დამახსოვრება, რაც ბუნებრივად წარმოქმნიდა ამ ნარევი სისტემის **გამარტივების** საჭიროებას. მაგრამ თვითონ შუმერებმა ვერ მოასწრეს თავიანთი დამწერლობის კიდევ უფრო დახვეწა და გამარტივება. ეს ამოცანა ვერ გადაჭრეს ვერც იმ ხალხებმა, რომლებმაც პირველებმა გადაიღეს შუმერებისაგან დამწერლობა: აქადებმა, ასურელებმა, ბაბილონელებმა, ხეთებმა, ხურიტებმა, ელამელებმა და ა.შ. პირიქით, შუმერული დამწერლობა მისი განვითარების ბოლო ეტაპზე და შუმერულისაგან მომდინარე ზოგი ვარიანტი კიდევ უფრო გართულდა და ნიშანთა რაოდენობამ რამდენიმე ასეულს მიაღწია. მაგალითად, შუმერულ და აქადურ დამწერლობებში ლოგოგრამების გვერდით უკვე გამოიყენებოდა ფონეტიკური კომპლემენტებიც, დეტერმინატივებიც და დამოუკიდებელი ნიშნებიც ცალკეული ჰმოვნებისა და ბგერათა ჯგუფების (**თანხმოვანი+ხმოვანი, ხმოვანი+ თანხმოვანი, თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი** ტიპის ბგერათკომპლექსების) აღმნიშვნელად.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ რთული იყო ეგვიპტური შერეული დამწერლობაც, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, შუმერული დამწერლობის საკმაოდ დიდი ზეგავლენითაა შექმნილი (უძველესი ეგვიპტური წერილობითი ძეგლები თარიღდება ძვ. წ. 3100 წლის ახლო ხანებით, ანუ ისინი შუმერულ ტექსტებზე უფრო გვიანდელია). ამ ზეგავლენის გამომხატველია ის, რომ, შუმერულის მსგავსად, უძველეს ეგვიპტურ ტექსტებშიც გამოიყენებოდა **ლოგოგრამების, ფონეტიკური კომპლემენტებისა და დეტერმინატივების რთული სისტემა**.

შუმერული და ეგვიპტური დამწერლობების მსგავსება არ გულისხმობს გრაფემათა მოხაზულობის იდენტობას – მათ შორის **მსგავსება მხოლოდ ტიპოლოგიუ-**

[9] თავის აეტორი – გ. გვანცელაძე.

რი ხასიათისაა, რაც ემყარება აღსანიშნის გამოხატვის პრინციპთა იდენტურობას, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობებს შორის ტიპოლოგიური სხვაობაც საგრძნობლად დიდია:

ეგვიპტური დამწერლობა შეიცავდა როგორც ცალკეულ სიტყვათა აღმნიშვნელ **იეროგლიფებს (ლოგოგრამებს)** და **ფონეტიკურ კომპლემენტებს**, ისე ერთი, ორი, ან სამი თანხმოვნის გამომხატველ **საგანგებო ნიშნებს (ასოებს)**, ხოლო ხმოვნებისათვის სრულებით **არ არსებობდა** საგანგებო იეროგლიფები. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში გამოიყენებოდა 100-მდე ორთანხმოვნიანი, 50-მდე – სამთანხმოვნიანი და 26 ცალთანხმოვნიანი იეროგლიფი. სხვაგვარად რომ ითქვას, სიტყვები ან დამოუკიდებელი იეროგლიფებით იწერებოდა, ან იწერებოდა მხოლოდ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები მკითხველს უნდა გამოეცნო, ანუ უნდა გამოეყენებინა **რებუსის პრინციპი**.

მიიჩნევა, რომ სამთანხმოვნიან ნიშანთა შემოღება ეგვიპტელების მიერ განპირობებული იყო სემიტური ოჯახის ენათა (ეგვიპტური ენა კი ამ ოჯახს ეკუთვნოდა) იმ თავისებურებით, რომ **სემიტურ ენებში სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ სამთანხმოვნიან ძირებს უკავშირდება, ხოლო ხმოვნები იცვლება სიტყვის ფორმის (ბრუნვის, რიცხვის, დროის...) ცვლის შესაბამისად, ანუ სემიტურ ენებში სიტყვის ძირის თანხმოვნები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე ხმოვნები** – ისინი "მუდმივი" ნაწილებია, ხმოვნები კი – "დროებითი, ცვალებადი". სემიტურ ენათა ამ თავისებურების ასახვა დამწერლობაში იმ დროისათვის **სადამწერლობო სისტემის წინსვლის** მაჩვენებელი იყო და **სწორედ ამ სიახლემ განაპირობა მოგვიანებით შექმნილ სხვა სემიტურ ენათა (ფინიკიურ, ებრაულ, არაბულ...) დამწერლობებში კონსონანტური (თანხმოვნური) პრინციპის გავრცელება.**

ძველეგვიპტურ ფონეტიკურ დამწერლობას ამჟამადაც იყენებენ ეგვიპტეში მცხოვრები ქრისტიანი კოპტები კოპტურ ენაზე წერისათვის.

ეგვიპტურად წერისას ფართოდ გამოიყენებოდა კიდევ ერთი თავისებურება – **კარტუში** (ეგვიპტურად: **შენუ**), რაც შემდეგს გულისხმობდა: იმდროინდელ ეგვიპტელ ფარაონებს შორის გავრცელებული იყო მრავალსახელიანობა, როცა ერთსა და იმავე პირს ერქვა 5-მდე სახელი. მათგან უმთავრესი იყო **პრენომენი** (ლათინურად **praenomen**), **ანუ პირადი სახელი** და **ნომენი** (ლათინურად **nomen**), **ანუ საგვა-**

რეულო სახელი. წერის დროს ფარაონის ამ უმთავრეს სახელებს მათი ხაზგასმის მიზნით შემოაელებდნენ ხოლმე ოვალური ფორმის კარტუშს, ანუ შენუს. როგორც ვარაუდობენ, შენუ მომდინარეობდა მზის სიმბოლოსაგან და მიანიშნებდა იმაზე, რომ ამ სახელების მატარებელი ფარაონი მთელი მზისქეეშეთის მპყრობელი იყო.

§2. ქანაანური დამწერლობა

ფონეტიკური ტიპის ერთ-ერთი პირველი დამწერლობაა ქანაანური დამწერლობა.

ძვ.წ. XVIII-XVI საუკუნეებში თანამედროვე ეგვიპტის ტერიტორიაზე, აზიის მეზობლად მდებარე სინას ნახევარკუნძულზე გამოიყენებოდა **ე.წ. პროტოსინაური (წინარესინაური), ანუ ქანაანური დამწერლობა**, რომელიც ბევრი რამით ჰგავდა ეგვიპტურს. ამ **ფონეტიკური ტიპის დამწერლობაში**, რომელიც სემიტური წარმოშობის ქანაანურ ენას ემსახურებოდა, არსებობდა 23 ნიშანი მხოლოდ თანხმოვნების გადმოსაცემად.

როგორც ბრიტანელი დამწერლობათმცოდნე **ალან გარდინერი** ვარაუდობდა, ეს ნიშნები მომდინარეობდა ეგვიპტური იეროგლიფებისაგან, ოღონდ იკითხებოდა **აკროფონური პრინციპის** საფუძველზე: **იეროგლიფს კითხულობდნენ არა როგორც სიტყვას, არამედ როგორც ამ იეროგლიფით გადმოსაცემი სიტყვის პირველ ბგერას**.

მაგალითად, მოხაზულობით გველის (კობრას) მსგავსი ეგვიპტურიდან შემოსული იეროგლიფი ქანაანურში იკითხებოდა როგორც **ნ** თანხმოვანი, რადგანაც გველის აღმნიშვნელი ქანაანური **ნაჰასუ** სიტყვა სწორედ ამ ბგერით იწყებოდა.

§3. ძველსპარსული დამწერლობა

მას შემდეგ, რაც ამჟამინდელი ირანის, ერაყისა და წინა აზიის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე გადაიშალა აქემენიდების დინასტიის მიერ მართული სპარსული იმპერია, ამ ახალ სახელმწიფოში ძვ.წ. VI-V საუკუნეებში შეიქმნა სპარსული დამწერლობა, რაც, მეცნიერთა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, მეფე **დარიოს პირველის** (ძვ.წ. 521-486 წწ.) ბრძანებით მომხდარა.

ახლადშექმნილი სპარსული დამწერლობა, შუმერულის მსგავსად, **ლურსმნული და მარცვლოვანი** იყო, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ძალზე **ეკონომიური** იყო – მასში სულ 36 სილაბოგრამა (ანუ მარცვლის აღმნიშვნელი ნიშანი) და 5 იეროგლიფი (იგივე ლოგოგრამა, ანუ სიტყვის აღმნიშვნელი ნიშანი) არსებობდა, რის გამოც სპარსულად წერის შესწავლა ბევრად უფრო იოლი გახდა.

ძველსპარსული ლურსმნული დამწერლობის კლასიკური ნიმუშია ირანში აღმოჩენილი **ბეჰისთუნის ტრილინგვას** (ანუ ბეჰისთუნის სამენოვანი ტექსტის) სახელით ცნობილი წარწერები.

კლდეზე ამოტვიფრულ ამ უზარმაზარ ბარელიეფზე გამოსახულნი არიან მეფე დარიოს პირველი, მისი 2 მსახური და სპარსელთა მიერ დატყვევებული 10 მეფე. იქვეა 3 ენაზე – **ძველსპარსულად, ბაბილონურად და ელამურად** შესრულებული ერთი და იმავე შინაარსის ტექსტები.

ძველსპარსული დამწერლობის ერთადერთ ნაკლად იმას მიიჩნევენ, რომ მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი ნიშნები კონკრეტულ ბგერათა გადმოსაცემად.

§4. უგარიტული დამწერლობა

წერის სისტემის (და არა ასოთა მოხაზულობის) მიხედვით ქანაანურ დამწერლობას უახლოვდება უგარიტული **ლურსმნული კონსონანტური დამწერლობა.**

ძველი ქალაქი **უგარიტი** (ამჟამინდელი ქ. რას-შამრი ლიბანში) მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე და მნიშვნელოვან საეჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

უგარიტში გავრცელებული სემიტური წარმომავლობის უგარიტული ენისათვის შექმნილ დამწერლობაში 27 მხოლოდ თანხმოვნის აღმნიშვნელი ასო და 3 სილაბოგრამა იყო.

უგარიტული დამწერლობა გამოიყენებოდა ძვ.წ. XV საუკუნიდან, მაგრამ მალე გამოვიდა ხმარებიდან – ყოველ შემთხვევაში მისი გამოყენებით ნაწერი უფრო გვიანდელი ტექსტები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა, რის გამოც ამ დამწერლობის შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი.

§5. ფინიკიური დამწერლობა – თანამედროვე დამწერლობათა უმრავლესობის წინაპარი

წინარესინაური, ანუ ქანაანური დამწერლობისაგან ძვ.წ. XI საუკუნიდან განვითარდა **ფინიკიური დამწერლობა**, რომელმაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე აზიურ, ევროპულ და აფრიკულ დამწერლობათა დიდ ჯგუფს.

ფინიკიურმა დამწერლობამ, რომელიც **ხაზოვანი**[10] **კონსონანტური (თანხმოვნური) ტიპისა** იყო, **მსოფლიო დამწერლობის სისტემათა განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.**

ფინიკია მდებარეობდა ამჟამინდელი ისრაელის ჩრდილოეთისა და ლიბანის სამხრეთის ტერიტორიებზე. ფინიკიელები სემიტური წარმოშობის ხალხი იყო და ენათესავებოდნენ ებრაელებს, არაბებს, ეგვიპტელებს, აქადელებს, ეთიოპელებს და სხვ. სირიისა და პალესტინის მოსახლეობასთან ერთად ისინი საკუთარ თავს **ქანაანელებსაც** უწოდებდნენ.

ფინიკიელები შესანიშნავი ზღვაოსნები და მეთევზეები იყვნენ, რის გამოც მათ "ზღვის ლომებად" და "ზღვის მეფეებად" იხსენიებდნენ. ასევე ემარჯვებოდათ ვაჭრობა და ხელოსნობა.

დროთა განმავლობაში ფინიკიელებმა დააარსეს კოლონიები ხმელთაშუა ზღვის შორეულ ნაპირებზე: აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში ახლანდელი ეგვიპტიდან ატლანტის ოკეანის ნაპირას მდებარე მაერიტანიამდე, კვიპროსზე, მალტაზე, სიცილია-

[10] **ხაზოვანი** ეწოდება ისეთ დამწერლობას, რომლის ასოებიც იწერება თითქმის ხელის აუღებლად, უწყვეტ ნახაზებად. მაგალითად, ხაზოვანია ქართული, ლათინური, სლავური და სხვა დამწერლობები.

ში, სარდინიაში, კორსიკაში, აპენინის, პირინეისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებზე. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გაყოლით ისინი შემოდიოდნენ შავ ზღვაშიც. მათვე ჩრდილოეთ აფრიკაში დააარსეს რომის იმპერიის მეტოქე ქალაქ-სახელმწიფო **კართაგენი** (იგივე დიდი კართაგენი, ამჟამინდელ ტუნისში).

ფინიკიური დამწერლობის ისტორია იწყება ძვ.წ. XV საუკუნიდან. ამ ენაზე შესრულებული უძველესი წერილობითი ნიმუშები დასტურდება ძვ.წ. XII საუკუნიდან (ელ-ქჰადრის ისრისპირები, ნაპოვნი ქ. ბეთლემის ახლოს). ერთი საუკუნის შემდგომ საბოლოოდ დასრულდა ქანაანური დამწერლობისაგან ფინიკიურის ჩამოყალიბება.

ფინიკიური დამწერლობა დედამიწის ზურგზე პირველი ანბანური დამწერლობა იყო, რომელშიც სრულებით აღარ იხმარებოდა პიქტოგრამები, იეროგლიფები, ან სილაბოგრამები და ასო-ნიშნები აღნიშნავდნენ მხოლოდ თანხმოვან ბგერებს.

ფინიკიურ დამწერლობაში სულ 22 ასო შედიოდა. ხმოვნებს ასო-ნიშნები არ ჰქონდა და ისინი წამკითხველს რებუსის პრინციპით უნდა გამოეცნო.


ფინიკიელთა სახელს უკავშირდება ძველბერძნული სიტყვა **ბიბლიონ** "წიგნი", რომელიც მომდინარეობს ფინიკიური ქალაქის **ბიბლოსის** სახელისაგან. აქედანვეა **ბიბლიის** სახელწოდებაც.

ერთ-ერთი პოპულარული ვარაუდის მიხედვით, ფინიკიური დამწერლობისაგან დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მრავალი სხვა ფონეტიკურ-ანბანური დამწერლობა, კერძოდ:

- ამჟამად გამქრალ მცირე აზიის დამწერლობათა მთელი წყება;
- ძველი ლიბიური დამწერლობა და მისგან მომდინარე ბერბერული დამწერლობა ტიფინაგი;
- აწ უკვე გამქრალი პირინეის იბერიული დამწერლობა;
- არამეული დამწერლობა და მისგან მომდინარე დამწერლობათა დიდი ჯგუფი: ებრაული, სამარიტული, ნაბათეური, არაბული, სირიული;
- უიღურული დამწერლობა ამჟამინდელი ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ციმბირის სამხრეთით და შუა აზიაში;
- მონღოლური დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა;

- ინდოეთის, შრი-ლანკის, ინდოჩინეთის, ინდონეზიისა და ფილიპინების მრავალი ენისათვის შექმნილი დამწერლობები;
- ბერძნული;
- ეტრუსკული და ლათინური;
- სლავური გლაგოლიცა და კირილიცა.

ფინიკიური ასოების უმრავლესობა მოდიფიცირებული ფორმით დღემდე გამოიყენება მრავალი ენის დამწერლობაში და ხშირად შერჩენილი აქვს ასოთა ფინიკიური სახელწოდებანიც (იხ. ცხრილი).



ფინიკიური ანბანი

ფინიკიური ანბანის ზოგი ასო და მათგან მომდინარე გრაფემები

სხვა ანბანებში

ფინიკიური ასო	ასოს თავდა-პირველი მნიშ-ვნელობა	ასოს სახელწო-დება და ფონეტი-კური მნიშვნელო-ბა	ასოს მემკვიდრეები სხვა ანბანებში
	ხარი	ალ = ა	• 𐤀 (ალეფ) ებრაულში • ا (ალიფ) არაბულში • Α (ალფა) ბერძნულში • A ლათინურში • А სლაეურში
	სახლი	ბეთ = ბ	• 𐤁 (ბეთ) ებრაულში • ب (ბა) არაბულში • Β (ბეტა) ბერძნულში • B ლათინურში • В სლაეურში (ბიზანტიური ბერძნულის გაელენით იკითხე-ბა როგორც ვ)
	აქლემი	გამლ = გ	• 𐤂 (გიმელ) ებრაულში • ج (ჯიმ) არაბულში • Γ (გამა) ბერძნულში • C ეტრუსკულსა და ლათი-ნურში • G ლათინურში • Г სლაეურში
	კარი	დელთ = დ	• 𐤃 (დალეთ) ებრაულში • د (დალ) და (ზალ) არაბულში • Δ (დელტა) ბერძნულში • D ლათინურში • Д სლაეურში

თავი VI.
ფინიკიური დამწერლობისაგან მომდინარე კონსონანტური დამწერლობები[11]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარცვლოვანი დამწერლობისაგან მომდინარე **კონსონანტური ქვეტიპის ფინიკიური დამწერლობის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადად მსოფლიო დამწერლობის ისტორიისათვის.** ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი – **უკვე შესაძლებელი გახდა ენის უმცირესი ერთეულების ნაწილის, თანხმოვანთა ასახვა საგანგებო ასოებით.** ამ გზით მომავალში საფუძველი ჩაეყარა მრავალი სხვა ენისათვის კონსონანტური დამწერლობების შექმნას. მაგრამ ამ ქვეტიპის უკლებლივ ყველა დამწერლობას ჰქონდა ერთი **მთავარი ნაკლოვანება:**

დაწერილ სიტყვაში აისახებოდა მხოლოდ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნებს სპეციალური ასოები არ მოეპოვებოდათ, რის გამოც ნაწერი ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი იყო – ჭირდა იმის გამოცნობა, თუ კონკრეტული სიტყვის რომელი ფორმა იგულისხმა დამწერმა თანხმოვნებით გადმოცემულ სიტყვის ვარიანტში.

ეს პრობლემა დღემდე რჩება ამუამად გავრცელებულ კონსონანტურ დამწერლობებში, რომლებიც ფინიკიური დამწერლობის მემკვიდრე არამეულ დამწერლობას ემყარებიან: ებრაულში, არაბულსა და თვით არამეულში (სირიულში, ანუ ასირიულში), თუმცა ამ ნაკლის დასაძლევად ადრევე შეიქმნა **ხმოვანთა აღნიშვნის თავისებური სისტემაც.**

აღსანიშნავია, რომ ფინიკიური დამწერლობისაგან უშუალოდ, ან შუალობით წარმოიშვა თანამედროვე მსოფლიოს **14 სადამწერლობო სისტემის დიდი ნაწილი: ბერძნული, ლათინური, სლავური, სირიული (ასირიული, ანუ არამეული), ებრაული, არაბული, ინდური.** მისი გავლენა ემჩნევა **ქართულ, სომხურ და აწ უკვე გამქრალ კავკასიის ალბანურ დამწერლობებს.** კონკრეტულ ენათა დამწერლობებიდან უნდა დავასახელოთ სირიული (ასირიული, ანუ არამეული) დამწერლობისაგან მომდინარე უიღურული ანბანიც და მისი შუამავლობით 1204 წელს შექმნილი ძველმონღოლური დამწერლობაც.

[11] თავის ავტორი – თ. გვანცელაძე.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ **ფინიკიური კონსონანტური დამწერლობისაგან სხვა სადამწერლობო სისტემების შექმნას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ბერძნული ანბანი და, მეორე მხრივ, არამეული დამწერლობა.**

ბერძნული ანბანი უპირატესად ევროპაში შექმნილ ახალ სადამწერლობო სისტემათა, კერძოდ, **ლათინურისა და სლავურის** საფუძვლად იქცა, ხოლო **არამეული ანბანის უშუალო მემკვიდრეები არიან** თანამედროვე **სირიული (ასირიული), ებრაული, არაბული და ინდური სადამწერლობო სისტემები.** გრაფიკულად ფინიკიურისაგან დასახელებულ საანბანო სისტემათა წარმოქმნის ისტორია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ფინიკიური

↓

არამეული

↓

თანამედროვე სირიული (ასირიული), ებრაული, არაბული, ინდური

2. ფინიკიური

↓

ბერძნული

↓

ლათინური, სლავური

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ფინიკიური კონსონანტური პირველწყაროსაგან მომდინარე **არამეული სადამწერლობო სისტემა ფინიკიურის მსგავსად ტიპური კონსონანტური ხასიათისა იყო, ხოლო ბერძნული სადამწერლობო სისტემა კონსონანტურ-ვოკალურ ტიპს განეკუთვნება** წარმოქმნის დროიდან დღემდე.

თავის მხრივ, არამეულისაგან მომდინარე ამჟამინდელი სირიული (ასირიული), ებრაული, არაბული სადამწერლობო სისტემები დარჩა კონსონანტურად, ხოლო ინდური სადამწერლობო სისტემა მარცვლოვანი (სილაბური) ტიპისაა.

საყურადღებოა აგრეთვე **წერის მიმართულებაც: ფინიკიელები წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ**, მაგრამ ფინიკიური დამწერლობისაგან მომდინარე დამწერლობათა ნაწილმა შეინარჩუნა წერის ეს მიმართულება, მეორე ნაწილმა კი შეცვალა იგი. მაგალითად:

მარჯვნიდან მარცხნივ იწერება ტექსტები **არამეულ (ასირიულ), ებრაულ, არაბულ** სადამწერლობო სისტემებში;

მარცხნიდან მარჯვნივ იწერება **ბერძნულ, ლათინურ, სლავურ, ინდურ, ეთიოპურ, სომხურ და ქართულ** სადამწერლობო სისტემებში.

შენიშვნა: **ზემოდან ქვემოთ** განლაგებულ სვეტებად იწერება **ჩინურ, კორეულ და იაპონურ** სადამწერლობო სისტემებში, სადაც დამატებით **სვეტები ლაგდება მარცხნიდან მარჯვნივ**. წერის ევროპული წესის ზეგავლენით ბოლო დროს ჩინელები, კორეელები და იაპონელები წერენ მარცხნიდან მარჯვნივაც.

წერის მიმართულების **გარდამავალი** მიმართულება იყო **ბუსტროფედონი** (ძვ. ბერძნ. "ხვნის დროს ხარის მოტრიალება სვრელის ბოლოში"), როცა ტექსტის **პირველ სტრიქონზე წერა იწყებოდა მარჯვნიდან, სტრიქონის მარცხენა კიდეში მისვლისას კი მოატრიალებდნენ ეტრატს, ან სხვა საწერ მასალას და მეორე სტრიქონზე წერას პირველი სტრიქონის საპირისპირო მიმართულებით აგრძელებდნენ. ეს ოპერაცია სრულდებოდა ყოველ მომდევნო სტრიქონზე გადასვლისას.** ჩვენს დრომდე მოღწეულია ბუსტროფედონის წესით ნაწერი ტექსტები ლუვიური და სხვა წინააზიური, ბერძნული, ეტრუსკული, ლათინური, სამხრეთარაბული ანბანების გამოყენებისას.

ამ საკალდებულო განმარტებების შემდეგ განვიხილოთ ფინიკიური დამწერლობისაგან წარმოქმნილი კონსონანტური ტიპის არამეული, არაბული, ებრაული, თანამედროვე სირიული (ასირიული) დამწერლობები და მათი მახასიათებლები.

§1. არამეული დამწერლობა

არამეელები, ანუ ასირიელები (თვითსახელწოდებანი: **არამაია // არმაია, ათურაი // სურაი**) წარსულში ცხოვრობდნენ წინა აზიასა და მესოპოტამიაში, ამჟამინდელი სირიის, ლიბანის, ისრაელის, იორდანიისა და ერაყის ტერიტორიებზე. მათი უშუალო შთამომაელები არიან ამჟამინდელი **ასირიელები (აისორები)**, რომლებიც სახლობენ სირიაში, ერაყში, ირანში, თურქეთში, ლიბანში, სომხეთში, ევროპისა და ამერიკის ზოგ ქვეყანაში. საქართველოში 3 ათასზე მეტი ასირიელი ცხოვრობს (თბილისში, ქუთაისსა და მცხეთის რაიონის სოფელ ძველ ქანდაში). ისინი ებრაელთა, არაბთა და სხვა სემიტური წარმოშობის ეთნოსთა მონათესავენი არიან. ტრადიციული შეხედულების მიხედვით, არამეულ ენაზე საუბრობდა **იესო ქრისტე**.

არამეული (სირიული, ანუ ასირიული) დამწერლობის შექმნის დროდ აქამდე ძვ.წ. X-VII საუკუნეებს მიიჩნევდნენ, მაგრამ საქართველოში, კერძოდ, კასპის რაიონში 2014 წელს **გრაკლიან გორაზე არამეული წარწერის აღმოჩენა** და მისი დათარიღება ძვ.წ. X საუკუნის ახლო ხანით ქმნის იმის საფუძველს, რომ არამეული დამწერლობა მივიჩნიოთ ერთი საუკუნით უფრო ადრე მაინც შექმნილად.

არამეულ დამწერლობაში, ფინიკიური ანბანის მსგავსად, 22 ასო შედიოდა, რომელნიც ძირითადად თანხმოვნებს აღნიშნავდნენ, თუმცა ამავე ანბანში 3 ასო, კერძოდ, **ალაf, ვავ (waw) და ეუდ** ასო-ნიშნები ხან თანხმოვნებს გადმოსცემდა, ხან კი – გრძელ ხმოვნებს. თანხმოვანთა გადმომცემი ასოების მიერ გრძელი ხმოვნების ამგვარად აღნიშვნას, უფრო სწორად, თვით ამ ასოებს **მატრეს ლექციონის (matres lectionis** "კითხვის დედები") ეწოდება და ეს წესი გავრცელებული იყო ჯერ კიდევ უგარიტულ, მოაბიტურ და ფინიკიურ დამწერლობებში, ხოლო ამჟამად გვხვდება სირიულ (ასირიულ), ებრაულ და არაბულ დამწერლობათა ვარიანტებში.

არაუგვიანეს ძვ.წ. VII საუკუნიდან არამეული ენა არამეულ დამწერლობასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირები-

დან თანამედროვე ირანამდე არსებულ ვრცელ ტერიტორიაზე. ამ ენამ ერთხანს შეავიწროვა კიდეეაც აქადური და ბაბილონური ენები და გადაიქცა ძველი **აღმოსავლეთის პრესტიჟულ ენად**, რომელიც არამეულ დამწერლობასთან ერთად ფართოდ იხმარებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში, ვაჭრობაში, ღვთისმსახურებაში, ოფიციალურ საქმის-წარმოებაში. ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში არამეული ენა ოფიციალური ენა იყო ისეთი მძლავრი სახელმწიფოსი, როგორიც იყო აქემენიდების დინასტიის დროინდელი ირანი.

არამეული ენის გამოყენების საზღვრებმა კავკასიამდეც მოაღწია, რისი დამადასტურებელიცაა **საქართველოში**, კერძოდ, ერთი მხრივ, უკვე ხსენებული გრაკლიანი გორის წარწერის არსებობა, მეორე მხრივ კი მცხეთაში არმაზის ციხის გათხრებისას აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც თარიღდება ახ. წ. II საუკუნით და შესრულებულია **არმაზული დამწერლობის** სახელით ცნობილი არამეული ანბანის სპეციფიკური სახეობით.

ასევე ორი არამეული წარწერაა ნაპოვნი **სომხეთშიც:** ესენია სამიჯნო ქვაზე გამოყვანილი წარწერა მდინარე ზანგეზურის ხეობიდან (ძვ.წ. II ს.) და ფიალაზე შესრულებული წარწერა სისიანიდან (ძვ.წ. I ს.).

№	ასო	ასოს სახელი	ბგერა	№	ასო	ასოს სახელი	ბგერა
1	𐡀	ალაf	'ა, გრძელი ა, გრძელი ე	12	𐡋	ლამად	ლ
2	𐡁	ბეთ	ბ, ვ	13	𐡌	მიმ	მ
3	𐡂	გამალ	გ, ღ	14	𐡍	ნუნ	ნ
4	𐡃	დალათ	დ, კბილთაშორისი ზ	15	𐡎	სემქათ	
5	𐡄	ჰე	ჰ	16	𐡏	ღე	ღ
6	𐡅	ვავ (waw)	უმარცვლო უ (w), გრძელი უ, გრძელი ო	17	𐡐	ფე	ფ, f

7		ზაინ	ზ	18		სადე	ს'
8		ხეთ	ხ	19		ყოფ	ყ
9		თეთ	თ	20		რეშ	რ
10		დ'ედ	დ, გრძელი ი, გრძელი ე	21		შინ	შ
11		ქაf	ქ, ხ	22		თაუ	ტ, თ

არამეული ანბანი

§2. თანამედროვე სირიული (ასირიული) სადამწერლობო სისტემა

თანამედროვე სირიული (ასირიული) დამწერლობა მომდინარეობს არამეული დამწერლობისაგან. იგი შეიქმნა ძვ.წ. 200 წლის ახლო ხანებში და მოქმედებს დღემდე. აქვს 3 ვარიანტი:

1. **ესტრანგელო** (ბერძნულად: "მრგვალი"), რომელიც გამოიყენებოდა ახ.წ. V საუკუნემდე, როცა სირიული ქრისტიანული ეკლესია დაიყო 2 მიმდინარეობად: ნესტორიანელობად და იაკობიტობად, ანუ მარონიტობად;
2. **აღმოსავლეთსირიული**, იგივე **მანდჰაია** "აღმოსავლური", **ნესტორიანული, ანუ ქალდეური, ან ასირიული;**
3. **დასავლური**, იგივე **სერტო** "ასო", **იაკობიტური, ანუ მარონიტული.**

§3. ებრაული სადამწერლობო სისტემა

ძველებრაული დამწერლობა შეიქმნა არაუგვიანეს ძვ.წ. X საუკუნისა. იგი კონსონანტური იყო და არის – მასში საგანგებო ასოებით გადმოიცემოდა და გადმოიცემა მხოლოდ თანხმოვნები. ძველებრაულ დამწერლობას იყენებდნენ როგორც ებრაელები, ისე სამარიელები.

ძვ.წ. V საუკუნიდან თანდათან შეწყდა ამ დამწერლობის გამოყენება ებრაელთა მიერ, ვინაიდან ბაბილონის ტყეობის პერიოდში ებრაელები გადავიდნენ ბაბილონში გავრცელებული არამეული დამწერლობისაგან მომდინარე **კვადრატული ფორმის მქონე** ახალ კონსონანტურ დამწერლობაზე, რომელსაც ებრაულ ენაზე **ქეთავ მერუბა** ეწოდება და დღესაც იხმარება ებრაულად წერისათვის.

ძველებრაულ დამწერლობას დღემდე იყენებენ სამარიელები (ამჟამად შემორჩენილია 1000-მდე სამარიელი) და არამეელთა ნაწილი.

თანამედროვე კვადრატულ ებრაულ დამწერლობაში, ანუ ქეთავ მერუბაში 22 ასოა, რომელთაგან ზოგ ასოს მატრეს ლექციონის წესის მიხედვით ამჟამად ორმაგი ფუნქცია აკისრია:

ასოები **א** (ალეფ), **ה** (ჰეი), **ו** (ვავ) და **י** (იუდ) თავდაპირველად ხან თანხმოვნებს აღნიშნავდა, ხან კი – შესაბამისად გრძელ **ა, ე, უ** და **ი** ხმოვნებს, ამჟამად კი – ჩვეულებრივი სიგრძის **ა, ე, უ, ი** ხმოვნებსაც.

იმავე ებრაულ დამწერლობაში ყველა არაგრძელი ხმოვნის გადმოსაცემად გამოიყენება დიაკრიტიკული ნიშნების სისტემა **ნეკუდოთი**, რაც გულისხმობს წერტილების დასმას ასოს თავზე, ან ქვემოთ.

ასო	ასოს სახელი	ასო	ასოს სახელი
א	ალეფ	ל	ლამედ
ב	ბეთ	מם	მემ
ג	გიმელ	נן	ნუნ
ד	დალეთ	ס	სამეხ
ה	ჰეი	ע	აინ
ו	ვავ	ף פ	პე
ז	ზაინ	ץ צ	ცადე

ח	ხეთ	ק	ქოფ
ט	თეთ	ר	რეშ
י	იოდ	ש	შინ
כך	ქაფ	ת	თავ

ებრაული დამწერლობა ქვთავ მერუბა

§4. არაბული სადამწერლობო სისტემა

არაბული დამწერლობა შეიქმნა ახ.წ. IV საუკუნეში არამეული დამწერლობისაგან მომდინარე **ნაბათეური** დამწერლობის საფუძველზე დაჰიდების სახელმწიფოს დედაქალაქ **ალ-ჰირაში** (მდებარეობდა ამჟამინდელი ერაყის სამხრეთში, მდ. ეუფრატის ნაპირზე).

ამ დამწერლობით შესრულებული ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ტექსტი 512 წლის სამენოვანი (არაბულ-სირიულ-ბერძნული) წარწერაა. 651 წელს ეს დამწერლობა გამოყენებულ იქნა მაჰმადიანთა წმინდა წიგნის **ყურანის** ჩასაწერად.

არაბულ დამწერლობაში სულ 28 ასოა, რომელთაგან 22 ასო აღებულია არამეული დამწერლობიდან და დამატებულია 6 ასო იმ ბგერების გადმოსაცემად, რომლებიც არ არსებობს არამეულ ენაში, მაგრამ მოეპოვება არაბულ ენას. ამ 28 ასოდან მხოლოდ ერთი ასო აღნიშნავს ხმოვანს (გრძელ ა ბგერას), დანარჩენები კი მხოლოდ თანხმოვნებს გადმოსცემენ.

არაბულ ენას მოეპოვება როგორც გრძელი, ისე მოკლე ხმოვნები. მათგან 3 გრძელი ხმოვანი გადმოიცემა საგანგებოდ შექმნილი დამოუკიდებელი ასოებით:

- გრძელ ა ხმოვანს გამოხატავს ასო **ალიფი**, რომელიც არცერთი სხვა ბგერის აღმნიშვნელად არ გამოიყენება;

- გრძელ **უ** ხმოვანის გადმოსცემს ასო **ვაჟ**, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ინგლისურ-გერმანული **w** ბგერის ტოლფარდი უმარცვლო **უ** თანხმოვნის აღნიშვნაა;
- გრძელ **ი** ხმოვანის გადმოსცემს ასო **ჲა**, რომლის ძირითადი ფუნქცია უმარცვლო **ჲ** (იოტა) თანხმოვნის აღნიშვნაა.

დანარჩენი მოკლე ხმოვნები, ჩვეულებრივ, არ იწერება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არაბულ დამწერლობაში არ არსებობს შესაბამისი ასოები, მაგრამ ენაში ჩნდება საჭიროება სიტყვათა ზუსტად გადმოცემისა (მაგალითად, ყურანის ტექსტსა და ლექსიკონებში, საზოგადოების უმრავლესობისათვის უცნობი ცნებების გადმოცემისას, უცხო ქვეყნებისა და უცხოურ გეოგრაფიულ ობიექტთა დასახელებისას, პირთა სახელებისა და გვარების მოხსენიებისას და ა.შ.). ასეთი შემთხვევებისათვის არაბულ დამწერლობას შემუშავებული აქვს მოკლე ხმოვანთა დამატებითი (დიაკრიტიკული) ნიშნების საშუალებით აღნიშვნის საკუთარი სისტემა – **ჰარაქათი**, რაც შემდეგს გულისხმობს:

- თუ თანხმოვანს მოსდევს მოკლე **ა** ხმოვანი, ამ ბგერის წინა თანხმოვნის აღმნიშვნელი ასოს თავზე იწერება პატარა დახრილი ხაზი, რომელსაც **ფათჰა** ეწოდება;
- თუ თანხმოვნის შემდეგ გამოითქმის **ი** ხმოვანი, მაშინ ამ ხმოვნის წინ მდგომი თანხმოვნის ამსახველი ასოს ქვეშ იწერება პატარა დახრილი ხაზი, რომელსაც **ჭასრა** ეწოდება;
- თუ თანხმოვნის მომდევნო ბგერა არის **უ** ხმოვანი, მაშინ მის წინ მდგომი თანხმოვნის აღმნიშვნელი ასოს თავზე წერენ მძიმის მსგავს პატარა ნიშანს, რომელსაც **დამმა** ჰქვია;
- თუ თანხმოვანს არ მოსდევს ხმოვანი, მაშინ თანხმოვნის გამომხატველი ასოს ზემოთ იწერება პატარა რგოლი, რომელსაც **სუქუნი** ეწოდება.


გარდა ამ 3 დამატებითი ნიშნისა, რომლებიც ხმოვნებს აღნიშნავენ, არაბულ დამწერლობაში არსებობს სხვა ფუნქციების მქონე დამატებითი ნიშნებიც.

ზემოთ თქმული იმას ნიშნავს, რომ **არაბული დამწერლობა საკმაოდ ძნელი შესასწავლია, რაც კიდევ უფრო რთულდება იმის გათვალისწინებით, რომ ასოთა**

უმრავლესობას აქვს დაწერილობის 4-4 ვარიანტი, რომელთა გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოზიცია უჭირავს ბგერას სიტყვაში: სიტყვის დასაწყისშია იგი წარმოდგენილი, სიტყვის შუაში, ბოლოში, თუ ცალკე დგას.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, არაბული დამწერლობის სხვადასხვა ვარიანტი დღემდე გამოიყენება როგორც 18 არაბულენოვან ქვეყანაში გავრცელებული არაბული ენის, ისე ზოგი სხვა ენის ბგერათა ჩასაწერად. მაგალითად, არაბული ასოები იხმარება ისეთი ენებისთვისაც, როგორიცაა: **სპარსული, ანუ ფარსი** (ირანში), **ურდუ** (პაკისტანში), **ქურთული** (ირანსა და სირიაში), **პუშტუ** და **დარი** (აღანეთში), **პენჯაბური, ქაშმირული, სინდჰი** (ინდოეთში), **ჰაუსა** (ნიგერიაში, ნიგერში, სუდანში, კამერუნში, ბენინში, განასა და ბურკინა-ფასოში).

გარდა ამისა, არაბულ ენასა და დამწერლობას ისლამურ ღვთისმსახურებაში იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების მაჰმადიანები.



არაბული ანბანი (განლაგება – მარჯვნიდან მარცხნივ)

***

არამეული, სირიული, ებრაული და არაბული დამწერლობების მონაცემები ცხადად გვიჩვენებენ, რომ **კონსონანტური დამწერლობა, ერთი მხრივ, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო** აღსანიშნისა (ბგერისა) და აღმნიშვნელის (ასოს) მიმართების თვალსაზრისით, მაგრამ **მისი მთავარი ნაკლი ხმოვნებისათვის დამოუკიდებელ ასოთა არარსებობა იყო,** რაც იწვევდა და ამჟამადაც იწვევს ნაწერი ტექსტის ბუნდოვანებასა და ორაზროვნებას.

მართალია, ებრაელებმაც, არაბებმაც და ასირიელებმაც (აისორებმაც) ადრიდანვე დაიწყეს ამ ნაკლის გამოსწორებაზე ზრუნვა და ჯერ შექმნეს მატრეს ლექციონის პრინციპი, შემდგომ კი გამოიგონეს დიაკრიტიკული ნიშნებით ხმოვანთა აღნიშვნის საკმაოდ რთული წესები, რამაც ოდნავ შეამსუბუქა ტექსტის ზუსტად ჩაწერისა და კითხვის პრობლემა. ეს პრობლემა პირველად წარმატებით იქნა გადაჭრილი ბერძნულ დამწერლობაში (მისი დახასიათება იხ. ქვემოთ).

თავი VII
არამეულის გავლენით შექმნილი აღმოსავლური სადამწერლობო სისტემები[12]

§1. ინდური სადამწერლობო სისტემა

ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ინდური სადამწერლობო სისტემა წარმოიქმნა არამეული დამწერლობისაგან, რაზეც მიანიშნებს ინდურ დამწერლობაში არსებულ ასო-ნიშანთა დიდი ნაწილის მსგავსება არამეულ ასოებთან.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ინდოელ მეცნიერთა ნაწილი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ინდური დამწერლობა ორიგინალურია და წარმოიშვა ინდოეთშიეე. მათი აზრით, ინდური სადამწერლობო სისტემის სათავეა ძვ.წ. III-II ათასწლეულებში არსებული **წინარეინდური დამწერლობა**, რომლის ნიმუშები მიკვლეულია პაკისტანში **ჰარაპას** და **მოჰენჯო-დაროს** ნაქალაქარებში.

უფრო გაერცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ამჟამინდელი ინდური სადამწერლობო სისტემა ეფუძნება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში შექმნილ და ძვ.წ. VI საუკუნიდან რეალურად დადასტურებულ დამწერლობას, რომელსაც **ბრაჰმი** ეწოდება.

ძვ.წ. III საუკუნიდან ახ.წ. VII საუკუნემდე ინდოეთის ჩრდილო-დასაელეთ ნაწილსა და შუა აზიაში გამოიყენებოდა აგრეთვე არამეული დამწერლობისაგან წარმოქმნილი დამწერლობა **ქაროშთი**, რომელიც თანდათან გამოდევნა **ბრაჰმიმ**. ვარაუდობენ, რომ ბრაჰმი მის მიერ განდევნილი ქაროშთისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ტიპოლოგიურად ბრაჰმი **აბუგიდას ტიპის მარცვლოვანი დამწერლობა** იყო. სწორედ ბრაჰმის მეტ-ნაკლები ცვლილებების შედეგად განვითარდა კონკრეტული ენების დამწერლობათა დიდი ჯგუფის 3 ძირითადი შტო, რომელთა ნაწილი ამჟამად უკვე აღარ გამოიყენება, ხოლო მეორე ნაწილი დღესაც ფუნქციონირებს ინდოეთში, პაკისტანში და ინდოეთის ახლოს მდებარე ბანგლადეშში, ნეპალში, შრი-ლანკაში, ტიბეტში, მიანმარში (ბირმაში), ტაილანდში, კამპუჩიაში (კამბოჯაში), ლაოსში, ფი-

[12] თავის ავტორი – გ. გვანცელაძე.

ლიპინებში, ინდონეზიაში. ყველა მათგანი მარცვლოვანია. ეს დამწერლობები იყოფა 3 დიდ შტოდ: **ჩრდილოეთისა, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისა.**


შენიშვნა: ინდური სადამწერლობის სისტემის წეერი ანბანებიდან 2014 წელს **მსოფლიოს ულამაზეს დამწერლობათა ხუთეულში** ქართულ დამწერლობასთან ერთად შეიდა ინდური სადამწერლობო სისტემის წარმომადგენელი 4 ანბანი. ხუთეული ასე გამოიყურება:

1. **ბირმული დამწერლობა** (გავრცელებულია მიანმარში, ანუ ბირმაში);
2. **სინჰალური დამწერლობა** (შრი-ლანკაში კუნძულ ცეილონზე);
3. **ქართული დამწერლობა;**
4. **ტაგალოგის (ტაგალური),** იგივე **ბაიბაინის დამწერლობა** (ფილიპინებში);
5. **ჰანაცარაკა (ცარაკანი),** ანუ **დენთავიანჯანას დამწერლობა** (ინდონეზიაში).

აქვე მოკლედ დაეახასიათებთ 2014 წელს მსოფლიოს ულამაზეს დამწერლობათა ხუთეულში ქართულ ანბანთან ერთად შესულ 4-ვე ანბანს, რომლებიც ინდურ სადამწერლობო სისტემას განეკუთვნებიან:

ბირმული დამწერლობა. დასახელდა ხუთეულის **პირველ ნომრად.** გავრცელებულია მიანმარში (ყოფილი ბირმა). აბუგიდას ტიპის მარცვლოვან-კონსონანტური დამწერლობაა. XII საუკუნიდან, კერძოდ, 1113 წლიდან გამოიყენება მიანმარში გავრცელებული 8 ენისათვის.

შედგება 45 გრაფემისაგან, რომელთაგან 34 ნიშანი მარცვალს აღნიშნავს, ხოლო 11 – ხმოვანს. 7 ხმოვნის გადმომცემ გრაფემას ემატება ტონის აღმნიშვნელი 14 დიაკრიტიკული ნიშანი.




ბირმული ანბანი

სინჰალური დამწერლობა. დასახელდა მსოფლიოს ულამაზეს დამწერლობათა ხუთეულის **მესამე ნომრად,** ქართული ანბანის შემდგომ.

გავრცელებულია კუნძულ ცეილონზე, შრი-ლანკას სახელმწიფოში. დამწერლობა შეიქმნა ახ.წ. VII საუკუნეში ჩრდილოინდური და სამხრეთინდური ვარიანტებისაგან.

შედგება 51 გრაფემისაგან, რომელთაგან 15 საბაზო გრაფემა ხმოვნებსა და დიფთონგებს აღნიშნავს, დანარჩენი 36 გრაფემა კი – მარცვლებს.

ტაგალოგის (ტაგალური), იგივე **ბაბაადნის დამწერლობა.** დასახელდა



სინჰალური ანბანი


მსოფლიოს ულამაზეს დამწერლობათა ხუთეულის **მეოთხე ნომრად**.

გავრცელებულია ფილიპინების რესპუბლიკაში, მთავარ კუნძულ ლუსონზე.

ტაგალური ენა ფილიპინების სახელმწიფო ენაა (მისი ვარიანტია ოფიციალური ენა **ფილიპინო**).

ამ დამწერლობის ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ტექსტი თარიღდება X საუკუნით.

შედგება 14 საბაზო გრაფემისაგან, რომლებიც მხოლოდ **ა** ხმოვნის შემცველ მარცვლებს აღნიშნავენ, 3 სხვა ხმოვნის აღსანიშნად კი გამოიყენება 3 დიაკრიტიკული ნიშანი, ანუ **კუდლითები**. გარდა ამისა, მხოლოდ თანხმოვნის სახით გრაფემის წასაკითხად მარცვლის აღმნიშვნელი გრაფემის ქვემოთ იწერება პატარა ჯვარი.



ტაგალური ანბანი


ჰანაცარაკას (ცარაკანის), ანუ **დენთავიანჯანას დამწერლობა**. დასახელდა მსოფლიოს ულამაზეს დამწერლობათა ხუთეულის **მეხუთე ნომრად**.

გამოიყენება ინდონეზიაში, კერძოდ, იავის, ბალისა და ლომბოკის კუნძულებზე გაერცელებული კაეი ენისათვის.

სახელწოდება **ჰანაცარაკა** მომდინარეობს ანბანის პირველი ხუთი ასოს სახელებისაგან (**ჰა, ნა, ცა, რა, კა**).

შედგება 20 ძირითადი, საბაზო გრაფემისა და მრავალი დამატებითი ნიშნისაგან.

შექმნილია დაახლოებით ახ.წ. 900 წელს.



პანაცარაკას ანბანი

§2. სანსკრიტი და მისი დამწერლობა დევანაგარი

ინდური სადამწერლობო სისტემის ზემოთ დასახელებული სამი შტოს ყარიანტებიდან სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კულტურის, რელიგიისა და ფილოსოფიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს **სანსკრიტზე** შესრულებულმა ტექსტებმა. ამის გამო აქ უპრიანია მოკლედ მიმოვიხილოთ მსოფლიო ციველიზაციის ერთ-ერთი უძველესი ენა **სანსკრიტი** და ის დამწერლობა, რომელსაც იგი ეფუძნებოდა.

სახელწოდება **სანსკრიტი** ძველინდური ენიდან, ანუ სანსკრიტიდან ითარგმნება როგორც "განწმენდილი; კურთხეული; გამდიდრებული". ამ სახელს უპირისპირდება ტერმინი **პრაკრიტი**, რაც "დიალექტს, კილოს" ნიშნავს.

სანსკრიტზე დაწერილია უამრავი მსოფლიო მასშტაბის წიგნი. მათგან უძველესი თხზულებებია:

- ძვ.წ. 1700-1100 წლებში შექმნილი ინდუისტური რელიგიის წმინდა წიგნები, ანუ **ვედები** (სიტყვა **ვედა** სანსკრიტიდან ითარგმნება როგორც "მოძღვრე-

ბა, ცოდნა"), მაგალითად, საგალობელთა კრებული **რიგვედა**, მსხვერპლშეწირვის ვედები **იაჯურვედა**, სიმღერათა ვედები **სამავედა** და ფიცის ვედები **ათჰარვავედა**;

- რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის თხზულებები **უპანიშადები**;
- მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეული თხზულება, ინდური ხალხური ეპოსი **მაჰაბჰარატა**;
- მსოფლიოში **პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი, პანინის** მიერ შედგენილი სანსკრიტის გრამატიკა (ძვ.წ. V ს.) და მრავალი სხვა.

გარდა ინდუისტური რელიგიური ლიტერატურისა, სანსკრიტზე იწერებოდა აგრეთვე ისეთი რელიგიების წმინდა წიგნები, როგორებიცაა **ჯაინიზმი** და **ბუდიზმი**.

მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, სანსკრიტი ამჟამად მკვდარი ენაა, მაგრამ ეს მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან სანსკრიტზე ღღესაც მეტყველებენ არა მარტო ინდოეთში მოსახლე სხვადასხვა ეროვნების ინდუისტი სასულიერო პირები (**ბრამინები**), არამედ ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქერალასა და კარნატაკის შტატების მოსახლეობის ნაწილი. ამ ენაზე იბეჭდება გაზეთები და წიგნები. უფრო მეტიც, სანსკრიტს სხვა 22 ენასთან ერთად მინიჭებული აქვს ინდოეთის ერთ-ერთი ოფიციალური ენის სტატუსი.


სანსკრიტისათვის საუკუნეთა წინ გამოყენებული **მარცელოვანი** დამწერლობა **დევანაგარი** "ღმერთების დამწერლობა", ან "ქალაქური დამწერლობა", რომელიც ბრაჰმისაგან მომდინარეობს, ამჟამად იხმარება ჰინდი ენაზე, აგრეთვე ჩრდილოეთ ინდოეთსა და ნეპალში გავრცელებული მრავალ სხვა ენაზე წერისათვის.

სანსკრიტი და მისი დამწერლობა დევანაგარი მთელ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ისეთივე საერთაშორისო ურთიერთობის, ვაჭრობის, კულტურის, მეცნიერებისა და რელიგიის ენა (ლათინურად **lingua franca**) იყო, როგორც დასავლეთ ევროპაში ლათინური ენა და დამწერლობა, აღმოსავლეთ ევროპასა და წინა აზიაში ბერძნული ენა და დამწერლობა, ხოლო დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში – არაბული ენა და დამწერლობა.

რაც შეეხება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართების საკითხს დეევანაგარში, მის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: დეევანაგარი **აბუგიდას, ანუ თანხმოვნურ-მარცვლოვანი ტიპის** დამწერლობაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ დამწერლობაში არსებობს დამოუკიდებელი ასოები და ძირითადი, **საბაზო ასოებიც,** რომლებიც გადმოსცემენ რომელიმე თანხმოვანს საბაზო ა ხმოვანთან ერთად და ცალკე მდგომ ხმოვნებსაც.

ძირითადი, ანუ საბაზო ასო აღნიშნავს მხოლოდ ა ხმოვნის შემცველ შემდეგ მარცვლებს: **ქა, ჭა, გა, ჯა, ფა, ფჰა**[13] და ა.შ. როცა სურთ აღნიშნონ იგივე თანხმოვნები სხვა ხმოვნებთან ერთად (მაგალითად, მარცვლები **ქე, ქი, ქო, ქუ...**), ანდა მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარი კომპლექსები ხმოვანთა გარეშე (მაგალითად, **მბ, ბმ, ზმ, მზ...**), გამოიყენება ა ხმოვნის შემცველი მარცვლის აღმნიშნელი საბაზო ასოს სახეცვლილი ვარიანტები, ანდა ძირითად ასოს ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, ან მარცხნიდან ემატება სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნები. ზოგ ენაში არსებობს დამატებითი ნიშნები ხმოვნის ტონის აღსანიშნავადაც.

მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარი ბგერათკომპლექსები აღინიშნება მრავალრიცხოვანი **ლიგატურებით, ანუ დამოუკიდებელ ასოთა შერწყმით მიღებული განსხვავებული ფორმის მქონე ნიშნებით** (შდრ. ლიგატურა & ინგლისურ ანბანში, რომელიც გადმოსცემს მაკავშირებელ სიტყვას **and** "და"). მთლიანობაში დეევანაგარი და მისგან მომდინარე ანბანების უმრავლესობა მეტად რთული სისტემის მქონეა და საკმაოდ ძნელია მათი შესწავლა.



[13] **ჭა, ჯა, ჩა, ჯჰა, თა, ბა, ფა** და სხვანი ინდურ ენათა უმრავლესობაში ორ-ორი ბგერისაგან კი არ შედგება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს, არამედ მძლავრი ფშვინვის დამატებით წარმოთქმული სპეციფიკური თანხმოვნებია, რომელთაც **ასპირირებული (გაფშვინვიერებული) ბგერები** ეწოდება.

ზედა ნაწილში: ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოები დევანაგარში და მათი ლათინური ტრანსკრიფცია;

ქვედა ნაწილში: ფ თანხმოვნის კომბინაციები სხვადასხვა ხმოვნებთან და მათი ტრანსკრიფცია

§ 3. მონღოლური სადამწერლობო სისტემა

მონღოლური ენისათვის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა წარმომავლობის 10-მდე დამწერლობა გამოიყენებოდა. ზოგი მათგანი სხვა ენებისთვისაც იხმარებოდა. ამ დამწერლობათაგან უძველესია ძველმონღოლური კლასიკური დამწერლობა **მონგოლ ბიჩიგი** ("მონღოლური დამწერლობა"), რომლის მოდიფიცირებულ ვარიანტებზე დღესაც წერენ ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები **მონღოლები, ოირატები და ევენკები**. გარდა ამისა, მონღოლეთში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ძველმონღოლური დამწერლობა ოფიციალურ ანბანად გამოცხადდა, თუმცა მას ჯერ კიდევ იშვიათად იყენებენ.

მონგოლ ბიჩიგი შეიქმნა დაახლოებით 1204 წელს, როცა ჩინგიზ-ხანმა ტყვედ აყვანილ უიღურ სწავლულს **ტატატუნგუს** დაავალა, შეექმნა ანბანი მონღოლური ენისათვის. ტატატუნგუმ ბრძანება შეასრულა: მან სირიული (ასირიული) დამწერლობისაგან მომდინარე უიღურული დამწერლობა მოარგო მონღოლურ ენას.



მონგოლ-ბიჩიგით ჩაწერილი სიტყვა "მონგოლ"

კლასიკური მონღოლური დამწერლობისაგან მომდინარეობს 1648 წელს ბუდისტი ბერის **ზაია-პანდიტა ოირატელის** მიერ შექმნილი ანბანი **ტოდო-ბიჩიგი** "მკაფიო დამწერლობა", რომელიც უფრო ზუსტად ასახავდა მონღოლური ენის ბგერით თავისებურებებს. ეს ახალი ვარიანტი მონღოლური ენის გარდა იხმარებოდა მონღოლეთში **ტიბეტურ ენასა და სანსკრიტზე**, აგრეთვე კავკასიის ჩრდილოეთით, მდინარე ვოლგის მარჯვენა მხარეს გაერცელებულ მონღოლური ჯგუფის **ყალმუხურ ენაზე**. წერისთვისაც 1924 წლამდე, როცა ეს ენა გადაიყვანეს ლათინურ საანბანო სისტემაზე, მრგვიანებით კი სლავურ დამწერლობაზე (კირილიცაზე).

ძველმონღოლური დამწერლობის კიდევ ერთი ვარიანტი **ვაგინდრა** 1905 წელს შექმნა ბურიატმა ბერმა **აღვან დორჟიევმა** ბურიატული ენისათვის. ვაგინდრას მთავარი სიახლე იყო სიმბოლოთა მრავალვარიანტულობის გამარტივება. ეს ანბანი XX საუკუნის 20-იან წლებში გაუქმდა.

ნარევი კუთხოვანი დამწერლობა **პაგბა** (სხვაგვარად **დერველჯინ-ბიჩიგი,** ანუ **ხორ-იდგი**) შეიქმნა დაახლოებით 1269 წელს ჩინეთის მმართველის, იუანების დინასტიის დამაარსებლის **ხუბილაი-ხანის** განკარგულებით. ხანს სურდა ისეთი ანბანის შექმნა, რომელიც მოერგებოდა მის იმპერიაში მოსახლე 3 ძირითადი ეთნოსის ენებს: **მონღოლურს, ჩინურსა და ტიბეტურს**. მისი ბრძანება აღასრულა ტიბეტელმა ბერმა **ჩოგიალ პაგბამ (პაგბა ლამამ)**, რომელმაც ახალი ანბანის საფუძვლად გამოიყენა აბუგიდას ტიპის **ტიბეტური დამწერლობა** და მონღოლური და ჩინური ენების ბგერათა გადმოსაცემად დაუმატა საგანგებო ნიშნები. ეს ანბანი გაუქმდა 1368 წელს, როცა დაემხო იუანების დინასტია. მიუხედავად ამისა, XX საუკუნემდე ტიბეტელები მაინც იყენებდნენ პაგბას როგორც ტიბეტური ანბანის ესთეტიკურად ლამაზ ვარიანტს. ვარაუდობენ, რომ პაგბამ უშუალო გავლენა მოახდინა კორეული დამწერლობის ხანგილის შექმნაზე.

XVII საუკუნის მიწურულს მონღოლმა სწავლულმა, ბუდისტმა ბერმა **ბოგდო ძანაბაძარმა** შექმნა კიდევ ერთი დამწერლობა **სოდომბო**, რომელიც აგებულია აბუგიდას მარცვლოვან პრინციპზე. ეს ვარიანტი გამოიყენებოდა **მონღოლურად, ტიბეტურად და სანსკრიტზე** წერისათვის. მონღოლებისათვის სახელწოდება **სოდომბო** მნიშვნელოვანი ეთნიკური სიმბოლოა და მას დღემდე გადმოსცემს ამავე სახელწოდების მქონე საგანგებო ნიშანი (იხ. ქვემოთ), რომელიც გამოსახულია მონღოლეთის გერბზე, დროშაზე, ფულის კუპიურებზე, საფოსტო მარკებზე. სოდომბოს ანბანით იწერებოდა სვეტებად. იმავე ბოგდო ძანაბაძარმა შექმნა სოდომბოს კიდევ ერთი ვარიანტიც, რომლითაც იწერებოდა არა სვეტებად, არამედ ჰორიზონტალურად.

ზემოთ დასახელებული **მონღოლური ანბანებიდან ყველა წარმოქმნილია არამეული სადამწერლობო სისტემისაგან, თუმცა არცერთი მათგანი არ მოდის უშუალოდ არამეულისაგან:**

არამეული დამწერლობისაგან წარმოქმნილი სირიული ანბანი უდევს საფუძვლად ძველმონღოლურ ანბანს მონგოლ-ბიჩიგს, ტოდო-ბიჩიგსა და ვაგინდრას, ხო-

ლო პაგბა და სოდომბო იმაეე არამეულ დამწერლობას უკავშირდება, ოღონდ არა სირიული დამწერლობის, არამედ ინდური დამწერლობის ტიბეტური ვარიანტის მეშვეობით.

§ 4. ეთიოპური სადამწერლობო სისტემა

წარმოშობის წყაროს თვალსაზრისით ცალკე დგას ეთიოპური სადამწერლობო სისტემა, ვინაიდან იგი, **ერთი მხრივ, სამხრეთარაბული დამწერლობებისაგან მომდინარეობს**, მაგრამ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართების მხრივ **ინდური სადამწერლობო სისტემის დრავიდული**[14] **ვარიანტის გავლენით კონსონანტური ტიპიდან გარდაიქმნა სილაბური ტიპის დამწერლობად.**

თანამედროვე ეთიოპიისა და ამ სახელმწიფოსაგან ცოტახნის წინ გამოყოფილი ერითრეის ტერიტორიაზე ისევე, როგორც ჩრდილოეთ აფრიკის ზოგ მეზობელ ქვეყანაში ძვ.წ. IX საუკუნიდან გამოიყენებოდა სამხრეთარაბული დამწერლობა, რომელსაც მალე განუვითარდა მრავალი ვარიანტი იმ სემიტურ ენათა სპეციფიკის გამო, რომელთათვისაც იგი იხმარებოდა. უკვე ძვ.წ. VII-VI საუკუნეებიდან ამ მრავალგვარ ვარიანტს დამოუკიდებელი ერთეულის სახით გამოეყო ეთიოპური დამწერლობისაკენ **გარდამავალი ვარიანტი**, რაზეც ცხადად მიანიშნებს ეთიოპიისა და ერითრეის ტერიტორიაზე მიკვლეული წარწერების სპეციფიკა.

ახ.წ. IV საუკუნისათვის ამ გარდამავალმა დამწერლობამ უკვე საბოლოოდ დაასრულა ევოლუცია და ჩამოყალიბდა **ძველეთიოპურ დამწერლობად**, რომელიც გამოიყენებოდა კლასიკური ეთიოპური ენის **გეეზის** ბგერათა აღსანიშნად. ამ რეფორმის განმახორციელებლად მიიჩნევა აქსუმის სამეფოს მეფე **ეზანა** (ახ.წ. 320-360 წწ.).

გეეზი ეწოდება იმ ენას, რომელზეც ლაპარაკობდნენ თანამედროვე ეთიოპელთა წინაპრები დაახლოებით XIII საუკუნემდე და რომელიც დღესაც იხმარება ეთიოპური მონოფიზიტური ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ღვთისმსახურებისათვის. გეეზი ჰქვია აგრეთვე იმ **კონსონანტურ დამწერლობასაც**, რომელიც მომდინა-

[14] **დრავიდები** ცხოვრობენ ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. მათ ძველთაგანვე ჰქონდათ მჭიდრო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები აფრიკასთან, კერძოდ, ეთიოპიასთან.

რეობს სამხრეთარაბულ დამწერლობათაგან და დღემდე გამოიყენება ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის საჭიროებათათვის.

ძველეთიოპური დამწერლობა, ანუ გეეზის ანბანი თავის მხრივ მოგვიანებით საფუძვლად დაედო თანამედროვე **ეთიოპური,** ანუ **ამჰარული (ამარინია)** და მის მეზობლად გავრცელებული რამდენიმე სემიტური ენის – **ტიგრინიას, ტიგრეს, გურაგეს, მეკენის, ბილინის, ორომოსა** და სხვათა დამწერლობებს. საყურადღებოა, რომ თუ ძველეთიოპური დამწერლობა, ანუ გეეზის ანბანი არამეული, არაბული, ებრაული, სირიული სადამწერლობო სისტემების მსგავსად კონსონანტური ტიპისა იყო, მისგან მომდინარე ზემოთ დასახელებულ ეთიოპურ სადამწერლობო სისტემაში შემავალი ამჰარული, ტიგრინიას, ტიგრეს, გურაგეს, მეკენის, ბილინის, ორომოსა და სხვათა დამწერლობები **ინდური სადამწერლობო სისტემის ზეგავლენით მარცვლოვანი ტიპისა გახდა, რაც განვითარებაში უკუსვლის იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო სადამწერლობო სისტემების ისტორიაში.**

გეეზის ანბანში თანხმოვანთა აღმნიშვნელი 29 ასო იყო და არის, რომელთაგანაც 24 მომდინარეობს სამხრეთარაბული ასოებისაგან. ასოთა დიდი ნაწილის სახელწოდებანი ემთხვევა, ან ჰგავს ქანაანური (წინარესინაური) დამწერლობის ასოთა სახელებს, რის საფუძველზეც მკვლევრები ვარაუდობენ, რომ გეეზის წარმოქმნის ერთ-ერთი წყარო **ქანაანური ანბანიც** უნდა ყოფილიყო.

ამჟამინდელ ეთიოპურ სადამწერლობო სისტემაში, ანუ **ფიდალში** შემავალი ყველა დამწერლობა **სილაბური ტიპის აბუგიდას ქვეტიპისაა:**

მათში **საბაზო ასოები** აღნიშნავენ არა თანხმოვნებს, როგორც ეს გეეზში იყო, არამედ **მარცვლებს, რომელთა პირველი წევრი თანხმოვანია, ხოლო მეორე წევრად გამოდის უმლაუტიზებული ა ხმოვანი** (გერმანული ენის ä ხმოვნის მსგავსი, ა და ე ხმოვნებს შორის გარდამავალი ბგერა). დანარჩენი 6 ხმოვნის შემცველ მარცვალთა აღსანიშნად იხმარება საბაზო ასოთა ვარიანტები. **ეთიოპურ სადამწერლობო სისტემაში სილაბოგრამათა რაოდენობა 300-ს აღწევს,** რაც აძნელებს ამ ანბანების შესწავლას.

ასე გამოიყურება სხვადასხვა ხმოვნის შემცველი ამჰარული ასოების ნაწილი: **ჰ – ሀ; ჰუ – ሁ; ჰა – ሃ; ჰი – ሂ; ჰე – ሄ; ჰ@ (ნეიტრალური ხმოვნით) – ህ; ჰო – ሆ.**

თანამედროვე ეთიოპურ, ანუ ამჰარულ სადამწერლობო სისტემას ხუმრობით "ყავის დამწერლობებსაც" უწოდებენ.

		ə	u	i	a	e	ɨ	o
Hōi	h	ሀ	ሁ	ሂ	ሃ	ሄ	ህ	ሆ
Lāwi	l	ለ	ሉ	ሊ	ላ	ሌ	ል	ሎ
Ḥaut	ḥ	ሐ	ሑ	ሒ	ሓ	ሔ	ሕ	ሖ
Mai	m	መ	ሙ	ሚ	ማ	ሜ	ም	ሞ
Saut	š	ሠ	ሡ	ሢ	ሣ	ሤ	ሥ	ሦ
Rēṣ	r	ረ	ሩ	ሪ	ራ	ሬ	ር	ሮ
Sāt	s	ሰ	ሱ	ሲ	ሳ	ሴ	ስ	ሶ
Qāf	ḳ (q)	ቀ	ቁ	ቂ	ቃ	ቄ	ቅ	ቆ
Bēt	b	በ	ቡ	ቢ	ባ	ቤ	ብ	ቦ
Tāwi	t	ተ	ቱ	ቲ	ታ	ቴ	ት	ቶ
Ḫarm	ḫ	ኀ	ኁ	ኂ	ኃ	ኄ	ኅ	ኆ
Nāhas	n	ነ	ኑ	ኒ	ና	ኔ	ን	ኖ
Alf	ʾ	አ	ኡ	ኢ	ኣ	ኤ	እ	ኦ
Kāf	k	ከ	ኩ	ኪ	ካ	ኬ	ክ	ኮ
Wāwi	ʷ	ወ	ዉ	ዊ	ዋ	ዌ	ው	ዎ
Āin	ʿ	ዐ	ዑ	ዒ	ዓ	ዔ	ዕ	ዖ
Zai	z	ዘ	ዙ	ዚ	ዛ	ዜ	ዝ	ዞ
Jaman	ǰ	ጀ	ጁ	ጂ	ጃ	ጄ	ጅ	ጆ
Dant	d	ደ	ዱ	ዲ	ዳ	ዴ	ድ	ዶ
Gēml	g	ገ	ጉ	ጊ	ጋ	ጌ	ግ	ጎ
Tāil	ṭ	ጠ	ጡ	ጢ	ጣ	ጤ	ጥ	ጦ
Pait	p	ጰ	ጱ	ጲ	ጳ	ጴ	ጵ	ጶ
Ṣadai	ṣ	ጸ	ጹ	ጺ	ጻ	ጼ	ጽ	ጾ
Ṣappā	ḍ	ፀ	ፁ	ፂ	ፃ	ፄ	ፅ	ፆ
Af	f	ፈ	ፉ	ፊ	ፋ	ፌ	ፍ	ፎ
Pā	p	ፐ	ፑ	ፒ	ፓ	ፔ	ፕ	ፖ

Старый извод эфиопского письма

ძველი ეთიოპური სილაბარიუმი[15]
და საბაზო ასოთა სახელწოდებები

[15] **სილაბარიუმი** ეწოდება ისეთ ანბანს, რომელშიც გარკვეულ რიგზეა გაწყობილი მარცვალთა აღმნიშვნელი ასოების, ანუ სილაბოგრამების ერთობლიობა.

თავი VIII.
ბერძნული სადამწერლობო სისტემა, მისგან მომდინარე ეტრუსკული ანბანი, ლათინური და სლავური საანბანო სისტემები[16]

§1. ბერძნული სადამწერლობო სისტემა

ეგეოსის, იონიისა და ხმელთაშუა ზღვებში გაფანტულ მრავალრიცხოვან კუნძულებზე ადრეულ ეპოქებში გაერცელებული იყო საკმაოდ მაღალი დონის კულტურები. ზოგი მათგანი საკუთარი დამწერლობის საფუძველზე ვითარდებოდა, სხვები კი იყენებდნენ სხვა ეთნოსთა მიერ შექმნილ დამწერლობებს. მაგალითად, ძვ.წ. III-II ათასწლეულებში კუნძულ კრეტაზე არსებობდა **ე.წ. მინოსური ცივილიზაცია**, რომელიც იყენებდა კრეტულ დამწერლობას. ამ დამწერლობაში წარმოდგენილი იყო **3 ტიპის ნიშნები**:

1. რამდენიმე ასეული **იდეოგრამა**;
2. თანხმოვანი+ხმოვანი ტიპის **მარცვალთა აღმნიშვნელი ნიშნები (სილაბოგრამები)**;
3. **ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოები**.

მეორე და მესამე ტიპის ნიშანთა რაოდენობა 80-90 ერთეულს შეადგენდა. მთლიანობაში კრეტული დამწერლობა მეტად რთული იყო ნიშანთა სიმრავლის გამო, მაგრამ მის **დადებით მხარეს ხმოვანთა აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ასოების არსებობა წარმოადგენდა**.

დროთა განმავლობაში კრეტული დამწერლობა გადაიზარდა **ე.წ. ხაზოვან ა დამწერლობაში**. ამ უკანასკნელ ვარიანტზე შესრულებული ტექსტები უპირატესად გამოუწვავი თიხის ფირფიტებზეა გამოყვანილი და სამეურნეო შინაარსისაა (ესაა უმეტესწილად ნივთების აღრიცხვის ნუსხები). ამის მიუხედავად, ჯერაც არ არის დადგენილი, თუ რომელ კონკრეტულ ენაზე იწერებოდა ამ ანბანით.

[16] თავის ავტორი – თ. გეანცელაძე.

ხაზოვანი ა დამწერლობა ხმარებიდან გამოვიდა ძვ.წ. XVI საუკუნეში კრეტაზე აქაველი ბერძნების შეჭრისა და მათ მიერ კუნძულის დაპყრობის შემდეგ. ამ გამქრალი ანბანის მემკვიდრეები არიან **ხაზოვანი ბ დამწერლობა**, ჯერაც გაუშიფრავი **კვიპროსულ-მინოსური დამწერლობა**, უფრო გვიანდელი **კვიპროსული ანბანი** და **ტროას დამწერლობა**. დასახელებულთაგან ხაზოვანი ბ და ტროას წარწერები ბერძნული ენის დიალექტებზეა შესრულებული, ხოლო კვიპროსული – ბერძნულ და ეტეოკვიპროსულ ენებზე.

საკუთრივ ბერძნული სადამწერლობო სისტემა არ უკავშირდება არც ხაზოვან ა და ბ დამწერლობებს, არც კვიპროსულ-მინოსურ, კვიპროსულ და ტროას დამწერლობებს. იგი შეიქმნა ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში **უშუალოდ ფინიკიური დამწერლობისაგან**, რაზეც მრავალი ფაქტი მიუთითებს:

1. ასოთა მოხაზულობის მსგავსება-იდენტობა;
2. ასოთა ერთნაირი თანმიმდევრობა;
3. ასოთა უმრავლესობის ერთნაირი დასახელებანი: შდრ. ფინიკიური **ალეფ** "ხარი", **ბეთ** "სახლი", **გიმელ** "აქლემი"... და ბერძნული **ალფა, ბეტა, გა?ა...**;
4. ასოთა რიცხვითი მნიშვნელობანი და სხვ.

თანამედროვე ბერძნულ დამწერლობაში 24 ასოა, ძველბერძნულში კი კიდევ 6 ასო იყო, რომლებიც ამჟამად აღარ გამოიყენება.

მთავარი რევოლუციური სიახლე, რაც ბერძნულ დამწერლობაში გაჩნდა, ხმოვნებისა და თანხმოვნების დამოუკიდებელი ასოებით აღნიშვნა იყო, რამაც მთელ მსოფლიოში სათავე დაუდო დამწერლობათა ახალი ტიპის – კონსონანტურ-ვოკალური დამწერლობის წარმოქმნას.

ხმოვნების გადმოცემისათვის ბერძნებმა 2 ხერხი დაამკვიდრეს:

1. ხმოვანთა გადმოცემის ფუნქცია მიანიჭეს ფინიკიურ ენაში არსებულ, მაგრამ ბერძნული ენისათვის უცხო თანხმოვანთა აღმნიშვნელ ასოებს;

2. ხმოვნებისათვის შექმნეს ის ასოები, რომლებიც არ არსებობდა ფინიკიურ დამწერლობაში.

აქვე ისიც სათქმელია, რომ ბერძნულ დამწერლობაში დღემდეა 2 ასო, რომლებიც 2-2 ბგერას გადმოსცემენ: **ქსი** აღნიშნავს **ქს** ბგერათკომპლექსს, ხოლო **ფსი** – **ფს** ბგერათჯგუფს.

გარდა ამისა, ბერძნულ ანბანში გაჩნდა მახვილის 3 სახეობისა და ფშვინვის 2 სახეობის აღმნიშვნელი დამატებითი ნიშნებიც, რომლებიც ასოების თავზე იწერება.

ასო	ასოს სახელი	ასო	ასოს სახელი
Αα	ალფა	Νν	ნიუ
Ββ	ბეტა	Ξξ	ქსი
Γγ	გამა	Οο	ო მიკრონ
Δδ	დელტა	Ππ	პი
Εε	ე ფსილონ	Ρρ	რო
Ζζ	ძეტა	Σσς	სიგმა
Ηη	ეტა	Ττ	ტაუ
Θθ	თეტა	Υυ	ი ფსილონ
Ιι	იოტა	Φφ	ფი
Κκ	კაპა	Χχ	ხი
Λλ	ლამბდა	Ψψ	ფსი
Μμ	მიუ	Ωω	ო მეგა

თანამედროვე ბერძნული ანბანი

თითქმის ბერძნული დამწერლობის შექმნისთანავე გაჩნდა მისი 2 ვარიანტი: **დასავლური** და **აღმოსავლური**. ბერძნული დამწერლობის **დასავლური ვარიანტი** საფუძვლად დაედო ამჟამინდელი იტალიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში გავრცელებულ **ეტრუსკულ ანბანს**, რომლისგანაც თავის მხრივ წარმოიშვა **ლათინური ანბანი**, ლათინურისაგან კი – **ლათინური სადამწერლობო სისტემა** და სკანდინავიურ-გერმანული რუნული[17] დამწერლობანი.

ბერძნული დამწერლობის **აღმოსავლური ვარიანტისაგან** მომდინარეობენ **სლავური სადამწერლობო სისტემა, გოთური** და **კოპტური ანბანები**. მისი **გავლენა ემჩნევა** ქართულ, სომხურ და კავკასიის ალბანურ დამწერლობებსაც.

§2. ეტრუსკული ანბანი

ეტრუსკული კონსონანტურ-ვოკალური დამწერლობა შეიქმნა ძვ.წ. VII საუკუნეში **ეტრურიაში** (ამჟამად პროვინცია ტოსკანა იტალიაში) და მოქმედებდა ახ.წ. III საუკუნემდე ეტრურიასა და კუნძულ კორსიკაზე[18].

ძვ.წ. 700 წლისათვის ეტრუსკული დამწერლობა შეიცავდა ბერძნულიდან მომდინარე 26 ასოს, ხოლო კლასიკურ ეტრუსკულ დამწერლობაში, რომელიც ჩამოყალიბდა ძვ.წ. 400 წლისათვის, უკვე 21 ასო დარჩა, რადგან ამოღებულ იქნა ის ნიშნები, რომლებიც აღნიშნავდა ეტრუსკულ ენაში არარსებულ ბგერებს.

ჩვენს დრომდე მოღწეულია ეტრუსკული ანბანით შესრულებული დაახლოებით 9 ათასი ტექსტი (წარწერები საფლავის ქვებზე, ჭურჭელზე, სამკაულებზე...), თუმცა მათი ნაწილი გაშიფრული არ არის.

უძველესი წერილობითი ძეგლია **მარსილიანაში** მიკელეული ფირფიტა მასზე გამოსახული ეტრუსკული ანბანით (აბეცედარიუმი), რომელშიც ასოები განლაგებულია მარჯვნიდან მარცხნივ.


---

[17] **რუნული დამწერლობა, ანუ რუნები** ეწოდება თავისებური კუთხოვანი ფორმის მქონე ასოებს, რომლებსაც იყენებდნენ გერმანელი, შვედი, დანიელი, ნორვეგიელი და ისლანდიელი ტომები ხეზე, ლითონზე, ქვაზე წერისას...

[18] **ეტრუსკები** (თვითსახელწოდება: **რასენნა, რაშნა**) ცხოვრობდნენ ეტრურიასა და კუნძულ კორსიკაზე გალების ტომთა შესევამდე და რომის რესპუბლიკის ჩამოყალიბებამდე. მათ განვითარებული კულტურა პქონდათ. ეტრუსკებისაგან გადაიღეს რომაელებმა თაღოვანი შენობების აგების წესები, გლადიატორთა ბრძოლები, ეტლებით შეჯიბრი, დაკრძალვის წესები და სხვ. ეტრუსკული ენა მეცნიერთა ნაწილის აზრით ენათესაებოდა იბერიულ-კავკასიურ ენებს, მათ შორის ქართულსაც.



ეტრუსკული დამწერლობის 2 ვარიანტი



მარსილიანას ფირფიტა 26 ეტრუსკული ასოთი

ეტრუსკულ ენაზე ნაწერი ყველაზე ცნობილი ტექსტია **Liber linteus** "სელის წიგნი". იგი დაწერილია სელის ქსოვილის ნაჭრებზე, რომლებიც ზაგრების მუზეუმში (ხორვატია) დაცულ ქალის მუმიას ჰქონდა შემოხვეული. ტექსტი შეიცავს დაახლოებით 1200 სიტყვას, რომლებიც სრულად არ არის გაშიფრული. ამოკითხული ცალკეული **სიტყვებიდან** ჩანს, რომ ტექსტში აღწერილია გარკვეულ დღეებში **შესასრულებელი რიტუალები. როგორც ვარაუდობენ, "სელის წიგნი"** დამზადებული უნდა იყოს დაახლოებით ახ.წ. 250 წელს.

საყურადღებოა, რომ ეტრუსკული ენიდან ლექსიკის ერთი ნაწილი გადავიდა ლათინურ ენაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით ამჟამად გადაქცეულია საერთაშორისო ტერმინებად. ეს სიტყვებია: **persona** "პერსონა" (ეტრუსკული სიტყვისაგან **phersu** "ნიღაბი"), **satelitum** "თანამგზავრი" (ეტრუსკული სიტყვისაგან **satnal**), **palatium** "სასახლე", **antenna** "ანტენა", **arena** "არენა", **elementum** "ელემენტი", **litera** "ასო" და ა.შ., აგრეთვე იტალიის ზოგი ქალაქის დასახელება (მაგალითად, პარმა...).

§3. ლათინური სადამწერლობო სისტემა

ლათინური ენა თავდაპირველად გაერცელებული იყო აპენინის ნახევარკუნძულის იმ ნაწილის მიმდებარედ, სადაც ამჟამად იტალიის ქალაქი ნეაპოლი მდებარეობს. მომდევნო ეტაპზე ლათინები მოძლიერდნენ და თანდათან დაიპყრეს თანამედროვე იტალიის მთელი ტერიტორია, რომელზეც გააერცელეს საკუთარი დედაენა. მათვე შექმნეს ძველი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო – **რომის იმპერია,** სადაც ასევე გავრცელდა ლათინური ენა.

ლათინური კონსონანტურ-ვოკალური დამწერლობა შეიქმნა ეტრუსკული დამწერლობის ზეგავლენით, უფრო ზუსტად, ლათინებმა თითქმის უცვლელად გადაიღეს ეტრუსკული ანბანი დაახლოებით ძ.წ. VII საუკუნეში.

თავდაპირველად არქაული ლათინური ანბანი 21 ასოს შეიცავდა. ეს ასოები იყო:

A B C D E F Z H I K L M N O P Q R S T V X

ამ ვარიანტში ბერძნული **გამა, კოპა** და **კაპა** ასოთაგან მომდინარე ასოები **C, K** და **Q** აღნიშნავდა **კ** და **გ** თანხმოვნებს. მოგვიანებით **C** ასოს მოხაზულობის ცვლილების გზით **გ** ბგერის აღსანიშნად შეიქმნა ახალი ასო **G**. ასო **Z** ერთხანს ამოღებული იყო ანბანიდან, მაგრამ შემდეგ ისევ აღადგინეს. გარდა ამისა, ლათინურს დაემატა **Y**. დასახელებული და სხვა ცვლილებების შედეგად ანტიკურ პერიოდში კლასიკური ლათინური ანბანი უკვე შეიცავდა 23 ასოს.

XI საუკუნეში, როცა ლათინური ენა უკვე მკვდარი ენა იყო, მაგრამ ფართოდ გამოიყენებოდა დასავლეთ და ცენტრალური ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში რელიგიის, მეცნიერებისა და კულტურის ენად, გაჩნდა ახალი ასო **W**, ხოლო XVI საუკუნეში – ასოები **J** და **U**. ამრიგად, ლათინურ ანბანში ასოთა რაოდენობამ 26-ს მიაღწია.

ლათინური დამწერლობა თავდაპირველად ასომთავრული, ანუ კაპიტალური იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში არ არსებობდა ე.წ. პატარა ასოები და უკლებლივ ყველა ასო ერთი ზომისა და დიდი იყო. გვიანდელ შუა საუკუნეებში გაჩნდა პატარა ასოებიც. საბოლოოდ ლათინური ანბანი ასე გამოიყურებოდა:

Aa Bb Cc Dd Ee Ff Gg Hh Ii Jj Kk Ll Mm Nn Oo Pp Qq Rr Ss Tt

Uu Vv Ww Xx Yy Zz

შუა საუკუნეებში ლათინური ანბანის ბაზაზე გაჩნდა დამწერლობანი დასავლეთ და ცენტრალური ევროპის მრავალ ენაზე, ხოლო უფრო გვიან ახალი ანბანები შეიქმნა აზიის, აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანიის უამრავ ენაზეც. ამ ენებში არსებული იმ ბგერების აღმნიშვნელად, რომელთა შესატყვისი ასოები არ არსებობდა ლათინურ ანბანში, შემოღებულ იქნა ან ახალი ასოები, ანდა მოხდა უკვე არსებული ლათინური ასოების მოდიფიცირება დამატებითი დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით. ბევრ ენაში შემოღებულ იქნა აგრეთვე მახვილის აღმნიშვნელი ნიშნებიც. ლათინურ სადამწერლობო სისტემაზე დაფუძნებულ კონკრეტულ ენათა ანბანებიდან ყველაზე რთულად მიიჩნევა **ვიეტნამური დამწერლობა**, რომელიც XVII საუკუნეში შექმნა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა **ალექსანდრ დე როდმა**. წარმოვადგენთ სხვადასხვა ენისათვის შექმნილ ამ ახალ ასო-ნიშანთა ნაწილს:

Ā Ă Â Ã À Á Ä Å Ą Æ Ç Č Ć Đ Ē Ę Ğ Ģ Î Ì Í Ï Ī Ķ Ł Ñ Ö Ő Ó Ø

Œ ß Ş Š Ś Ţ Ū Ŭ Ú Ù Û Ž Ź Ż

ამჟამად ლათინურ სადამწერლობო სისტემაზეა დაფუძნებული მსოფლიოს ასეულობით ენის ანბანები. მათგან ზოგ ანბანში იმ ბგერათა გადმოსაცემად, რომელთა აღმნიშვნელი ნიშნები არ არსებობდა ლათინურ ანბანში, სპეციფიკურ ბგერებს გამოხატავენ ორი და მეტი ასოს კომბინაციით. მაგალითად, ინგლისურ ენაში **ш** თანხმოვანს ასახავს **sh** კომბინაცია, ფრანგულში **eau** კომბინაცია აღნიშნავს სპეციფიკურ **о** ხმოვანს, გერმანულში **ч** თანხმოვნის აღმნიშვნელია **tsch** ასოთა კომბინაცია და ა.შ.

§4. სლავური სადამწერლობო სისტემა

სლავური კონსონანტურ-ეოკალური სადამწერლობო სისტემა მომდინარეობს ბერძნული სადამწერლობო სისტემის აღმოსავლური ვარიანტისაგან. წარსულში არსებობდა მისი 2 სახეობა: **გლაგოლიცა** და **კირილიცა**.

გლაგოლიცას წარმოქმნის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის – ვარაუდობენ, რომ იგი უნდა გაჩენილიყო IX-X საუკუნეთა მიჯნაზე. რაც შეეხება **კირილიცას**, იგი **ძველსლავური, ანუ ძველბულგარული ენისათვის** შექმნეს ბერებმა **კირილემ** (ერისკაცობაში **კონსტანტინე**) და მისმა ძმამ **მეთოდემ** (ერისკაცობაში **მიხეილი**) X საუკუნის შუა ხანებში. მათ მიერ შექმნილი დამწერლობის სახელი **კირილიცა** მომდინარეობს **კირილეს** სახელისაგან. კირილე და მეთოდე სერბიის, ბულგარეთისა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების მიერ წმინდანებად არიან შერაცხულნი.


გლაგოლიცაში 41 ასო შედიოდა, რომელთა უმრავლესობა აღნიშნავდა ცალკეულ თანხმოვნებსა და ხმოვნებს, თუმცა იქვე იყო 4 ასო, რომლებითაც აღინიშნებოდა 2-2 ბგერისაგან შემდგარი კომბინაციები. გლაგოლიცას დიდხანს არ უარსებია.

გლაგოლიცას პირველწყაროს შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა დიდი სხვაობაა:

ერთნი გლაგოლიცას ორიგინალურ ანბანად მიიჩნევენ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან აშკარად ჩანს, რომ გლაგოლიცას 14 ასო უშუალოდ ბერძნულისაგან მომდინარეობს;

სხვა მეცნიერთა თვალსაზრისით, გლაგოლიცას დანარჩენი ასოები ბერძნული, ებრაულ-სამარიტული, კოპტური, გოთური, ალბანური, სომხური, ან ქართული სისტემებისაგან უნდა წარმოდგებოდეს.

ამ საკითხის შესახებ საყოველთაოდ მისაღები შეხედულება საბოლოოდ ჯერაც არ ჩამოყალიბებულა, თუმცა ჩანს, რომ ამ ანბანის შემქმნელი იცნობდა აღმოსავლურ სადამწერლობო სისტემებს.



გლაგოლიცა

გაცილებით უფრო ცხადია **კირილიცას** პირველწყაროს საკითხი. სრულიად აშკარაა, რომ ამ ანბანის 43 ასოდან 24 უშუალოდ ბერძნული მთავრული ასოების იდენტურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში ისინი სხვადასხვა ბგერას აღნიშნავენ. ამის შემჩნევა ნებისმიერ დაკვირვებულ ადამიანს შეუძლია. ამ მსგავსების თვალსაჩინოდ დასანახად წარმოვადგენთ ბერძნული და სლავური ანბანის რუსული ვარიანტის 17 საზიარო ასოს შედარებით ცხრილს:

N	ბერძნული	კირილიცა	N	ბერძნული	კირილიცა
1	A	A	10	O	O
2	B	B	11	Π	П
3	Γ	Г	12	P	P
4	Δ	Д	13	Σ	Σ
5	E	E	14	T	T
6	K	K	15	Y	У
7	Λ	Л	16	Φ	Ф
8	M	M	17	X	X
9	N, H	H			

შექმნის მომენტისათვის კირილიცა ემსახურებოდა **ძველსლავურ (ძველბულგარულ) ენას**, მაგრამ შემდგომში იგი გამოყენებულ იქნა ამ ენისაგან მომდინარე ახალი სლავური ენებისათვის, კერძოდ, ბულგარულისთვის, სერბულისთვის, მაკედონურისათვის, რუსულისათვის, უკრაინულისათვის, ბელარუსულისათვის და ა.შ.

ახალი ენების ბგერითი სისტემების უკეთ ასახვის მიზნით კირილიცაში გაჩნდა ახალი ასოები, ან უკვე არსებულ ასოებს დაემატა დიაკრიტიკული ნიშნები. ამან გამოიწვია კირილიცას გარდაქმნა დამოუკიდებელ სადამწერლობო სისტემად.

გვიანდელი შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის ჩათვლით კირილიცას **რუსული ვარიანტი** პოლიტიკური მოტივებით (გასარუსებლად) გამოყენებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ სხვადასხვა წარმოშობის ხალხთა ათეულობით ენისთვისაც. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, კერძოდ, 1936-1941 წლებში დაპყრობილ ხალხთა ენების უმრავლესობა ძალდატანებით გადაიყვანეს კირილიცაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მრავალმა ხალხმა უარი თქვა ამ დამწერლობაზე და გადავიდნენ ლათინურ საანბანო სისტემაზე.

კირილიცას რუსულმა ვარიანტმა რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება:

1. ჯერ კიდევ XII საუკუნეში ხმარებიდან გამოვიდა 3 ასო, რომელთა შესატყვისი ბგერები არ იყო რუსულ ენაში;
2. რუსეთის იმპერატორმა **პეტრე პირველმა** XVIII საუკუნის დასაწყისში გაატარა **ორთოგრაფიული რეფორმა**, რის შედეგადაც რუსულ ანბანში დაიხვეწა ზოგი ასოს მოხაზულობა (გრაფიკა). გარდა ამისა, გაუქმდა კიდევ რამდენიმე ზედმეტი ასოც. ამასთანავე სავალდებულოდ დადგინდა, რომ საერო შინაარსის ტექსტების საწერად გამოყენებულიყო რეფორმირებულ-გამარტივებული ანბანი, ხოლო სასულიერო შინაარსის ტექსტებისათვის – კირილიცას ტრადიციული ვარიანტი;
3. იმავე საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა ახალი ასო **Э**, ხოლო მოგვიანებით – **Ё**;
4. ამჟამინდელი სახე რუსულმა ანბანმა მიიღო 1918 წლის რეფორმის შედეგად,

როცა ანბანიდან ამოღებულ იქნა 4 ასო: **Ъ, і, ѵ** და **ѳ**.

თავი IX.
ჩინური და იაპონური სადამწერლობო სისტემები[19]

§1. ჩინური სადამწერლობო სისტემა

ჩინური სადამწერლობო სისტემა, ანუ **პინ ინი // ჰანზი // ჰანცზი** ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია მთელ მსოფლიოში. იგი **იდეოგრაფიული, ანუ იეროგლიფური ტიპის სისტემაა ფონეტიკური ტიპისათვის დამახასიათებელი თვისებებითურთ.**

ვარაუდობენ, რომ ჩინური დამწერლობა უნდა შექმნილიყო არაუადრეს ძვ.წ. XX საუკუნისა. 1962 წელს მდინარე ხუანხეს ნაპირას გათხრილი **ცზიახუს** ნაქალაქარში აღმოჩენილ იქნა კუს ბაკანზე შესრულებული პიქტოგრაფიული წარწერები, რომლებსაც არქეოლოგების ნაწილი ძვ.წ. VI ათასწლეულით ათარიღებს. ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს დიდი სხვაობა ცზიახუს პიქტოგრამებსა და ჩინური დამწერლობის იეროგლიფებს შორის, მაგრამ თუ ეს ვარაუდი გამართლდა, ჩინური დამწერლობა შუმერულზე ბევრად უფრო ასაკოვანი და მსოფლიოში ყველაზე ძველი დამწერლობა აღმოჩნდება.

თქმულების თანახმად, ჩინური დამწერლობა შეუქმნია მითიური იმპერატორის **ხუან დის** კარის მემატიანეს **ცან ცზეს**. ცნობა ამის შესახებ შემორჩენილია ძვ.წ. VI-V საუკუნეების დიდი ჩინელი მოაზროვნის **ლაო ცზის (ლაო ძის)** ნაშრომში **დაო დე ცზინ** "გზისა და ღირსების წიგნი".


ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ჩინური ტექსტები შესრულებულია კუს ბაკანზე, ან მსხვილფეხა პირუტყვის ბეჭზე და ისინი წინასწარმეტყველების შედეგების ჩანაწერებს წარმოადგენენ. ამგვარ ჩანაწერებს, რომელთაგან უძველესი ძვ.წ. XVII საუკუნიო თარიღდება, **ცზიაგუვენის** სახელით აღნიშნავენ.

ამჟამად ჩინური სადამწერლობო სისტემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმოდგენილია 2 ძირითადი სახეობით. ესენია: ძველებური ვარიანტი **ვენ იანი** და თანამედროვე სახეობა **ბაი ხუა**.

[19] თავის ავტორი – თ. გვანცელაძე.

ჩინური სადამწერლობო სისტემის ქვესახეობები წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ჩინეთის მეზობელ მრავალ ქვეყანაში: კორეაში, იაპონიაში, მონღოლეთში, მალაიზიაში, ვიეტნამში და ა.შ. იგი მეტ-ნაკლები სიხშირით დღემდე გამოიყენება ზოგ ქვეყანაში: იაპონიაში, ტაივანში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში, სინგაპურში და სხვ.

ჩინური სადამწერლობო სისტემის უკიდურესი სირთულე იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მასში **60 ათასამდე იეროგლიფია**, რომელთა დამახსოვრება ძალიან ძნელია, თუ შემსწავლელმა არ გაითვალისწინა იეროგლიფთა აგების თავისებურებანი. ამ დროს ყველაზე მომგებიანია იეროგლიფების დაყოფა **მარტივ**, ანუ **ვენ ჯგუფისა** და **რთულ**, ანუ **ცხი ჯგუფის** ნიშნებად. გარდა ამისა, წერის შესწავლას აიოლებს **300 საბაზო ელემენტის** ცოდნა, რომლებსაც მოსწაელეებს სკოლის დაწყებით კლასებშივე ასწავლიან.



ჩინური დამწერლობის 300 საბაზო ელემენტი
(დალაგებულია სირთულის ხარისხის ზრდის მიხედვით
მარცხნიდან მარჯვნივ წარმოდგენილ სვეტებად)

მეცნიერები **ჩინურ იეროგლიფებს** აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართების გადმოცემის თავისებურებათა საფუძველზე პირობით **6 ტიპად ყოფენ**. არსებითია ის ფაქტი, რომ ჩინურ დამწერლობაში ამჟამად წმინდა **პიქტოგრამებიცაა შემორჩენილი** მცირე ოდენობით, მაგრამ მათზე ბევრად მეტია პიქტოგრამებისაგან ნაწარმოები სხვადასხვა სირთულის მქონე ცნებათა აღმნიშვნელი **იდეოგრამები, ანუ იეროგლიფები**, ასევე **აფიქსების, ბგერებისა და დეტერმინატივების გადმომცემი ასოები**. გარდა ამისა, არსებობს მრავალი **დიაკრიტიკული ნიშანიც**.

ძველი ჩინური წერილობითი დოკუმენტების ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამჟამინდელ სადამწერლობო ნიშანთა უმრავლესობა თავდაპირველად რეალისტური ნახატების ტიპის ნამდვილი პიქტოგრამები იყო, რომელთა მოხაზულობა, ანუ გრაფიკული სახე დროთა განმავლობაში შეიცვალა სტილიზაციის, თუ წერის ტემპის აჩქარების ნიადაგზე. ამითაა გამოწვეული ის, რომ ჩინური იეროგლიფები დღეს ძალიან დაშორებულია თავდაპირველ არქეტიპებს. სანიმუშოდ განვიხილოთ ზოგი იეროგლიფის ისტორია:

ცნება **"პირი"** (სხეულის ნაწილი) თავდაპირველად აღინიშნებოდა ნახევარწრით, რომელსაც ქვედა ნაწილი უფრო მეტად ჰქონდა ჩამოშვებული. ეს პიქტოგრამა წააგავდა ადამიანის ბაგეებს, მაგრამ ცვლილებების შედეგად მისგან ჩამოყალიბდა თანამედროვე იეროგლიფი 口 "კოი" ("პირი"), რომლის თავდაპირველი იერსახე მხოლოდ მკვლევრებმა იციან;

"დგომას" თავდაპირველად აღნიშნავდა პიქტოგრამა, რომელიც გამოსახავდა ფეხებგაშლილად მდგომი ადამიანის ფიგურას, მაგრამ დროთა განმავლობაში მისგან ჩამოყალიბდა იმავე მნიშვნელობის მქონე თანამედროვე იეროგლიფი 立 "ლი", რომელიც სქემატურად გამოსახავს დგომის მნიშვნელობას;

"ბრძანების, განკარგულების" აღსანიშნად ძველად იხმარებოდა პიქტოგრამა, რომელიც წარმოადგენდა შენობის (სასახლის, ან ტაძრის) სახურავის ნახატს. იქვე ცალ მხარეს გამოსახული იყო ამ ნაგებობის წინ მდგომი ადამიანის ფიგურა 立, ხოლო მეორე მხარეს პირის პიქტოგრამა 口(იხ. ზემოთ). მთლიანობაში ეს რთული პიქტოგრამა გამოსახავდა მბრძანებლის სასახლესთან, ან ტაძართან მოწიწებით მდგომ ქვეშევრდომს, რომელიც ისმენდა თავისი ზემდგომის განკარგულებას. ამ სამელემენ-

ტიანმა გამოსახულებამ ცვლილებების შედეგად მიიღო იეროგლიფის შემდეგი სქემატური სახე – 忍, ეწოდება "მინ" და აღნიშნავს "ბრძანებას, განკარგულებას".

ჩინურ დამწერლობაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია **ფონოიდეოგრამებს,** რომლებიც შერეული ტიპის ნიშნებია. ისინი 2 ხერხითაა ჩამოყალიბებული:

ა. როცა ენაში არსებულ **სიტყვას უჩნდებოდა სრულიად ახალი მნიშვნელობა,** მაშინ ეს ახალი სიტყვა იწერებოდა დამწერლობაში უკვე არსებული იმ სიტყვის პიქტოგრამით, ან იეროგლიფით, რომლისგანაც ჩამოყალიბდა ახალი მნიშვნელობა. ამ პიქტოგრამის, ან იეროგლიფის გვერდით მიეწერებოდა დეტერმინატივი, რომელიც მიანიშნებდა, რომ წინა ნიშანს შეცვლილი აქვს მნიშვნელობა;

ბ. როცა **ჩნდებოდა ენაში უკვე არსებული სიტყვის სინონიმური სრულიად ახალი სიტყვა,** ამ ახალი სიტყვის აღსანიშნად გამოიყენებოდა მანამდე უკვე არსებული სიტყვის გადმომცემი პიქტოგრამა, ან იეროგლიფი და დამატებით იქვე იწერებოდა დეტერმინატივი, ან ფონეტიკური მახასიათებელი, რომლებიც მიანიშნებდნენ, რომ უნდა წაეკითხათ არა ადრე არსებული სიტყვა, არამედ მისი ახალი სინონიმი.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა იეროგლიფების წარმოთქმაც, მნიშვნელობაც და მოხაზულობაც. ამის გამო არსებობს უამრავი ახალი და ძველი ნიშანი, რომელთა სრულად ცოდნა ერთი პირისათვის შეუძლებელია. ამ მიზეზის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დადგენილია **სადამწერლობო ნიშანთა ცოდნის დონეები,** რაც შემდეგს გულისხმობს:

1. განათლების მინიმუმად მიიჩნევა 1500 ნიშნის ცოდნა სოფლად და 2000 ნიშნის ცოდნა ქალაქად;
2. გაზეთებისა და არასპეციალიზებული ჟურნალების წასაკითხად საკმარისია 3000 ნიშნის ცოდნა;
3. დიდი ერთტომეული განმარტებითი ლექსიკონები და ორენოვანი ლექსიკონები შეიცავენ ხშირად ხმარებული სიტყვების აღმნიშვნელ 6000-8000 ნიშანს. ამიტომ მათი გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმ პირს, ვინც იცის ამ რაოდენობის ნიშანი.

ჩინური სადამწერლობო ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი შემადგენელი ელემენტების ფორმითაც და რაოდენობითაც. ყველაზე მარტივი იეროგლიფები თი-

თო ელემენტისაგან შედგება. მაგალითად, ასეთებია: 一 (იკითხება როგორც უ), 丨 (იკითხება როგორც გუნ), 亅 (იკითხება როგორც ცზიუე), 丿 (იკითხება როგორც პე)..

ყოველი ადამიანი, ვინც აპირებს ჩინური დამწერლობის შესწავლას, ვალდებულია შეისწავლოს 300-მდე საბაზო ელემენტი მაინც, რომლებიც მონაწილეობენ ყველაზე ხშირად ხმარებული იეროგლიფების შემადგენლობაში (ამ ელემენტთა ცხრილი იხ. ზემოთ).

ნიშანთა სიმრავლემ თავისთავად წარმოშვა წერის დროს ნიშანთა შერწყმის აუცილებლობა. ამ გზით გაჩნდა ერთმანეთთან შერწყმულ ნიშანთა ერთობლიობა – **ლიგატურები**. მაგალითად, ურთულესი იეროგლიფია "მფრინავი დრაკონის სახე", რომელიც იკითხება როგორც **ოტოდო // დაიტო // ტაიტო**. იგი მიღებულია 3-3 იეროგლიფისაგან შემდგარი 2 ლიგატურული ნიშნისაგან – 龍 + 雲 და შეიცავს 84 ელემენტს. ბუნებრივია, 6-ვე იეროგლიფის შემადგენელი 84-ვე ელემენტის გამოკვეთილად წერა დიდ დროსა და დაკვირვებას მოითხოვს, ამიტომ მსგავს შემთხვევებში უპრიანია ნიშანთა და ელემენტთა რაოდენობის შეკვეცა და ნაკლები შრომა სათქმელის ლაკონური გრაფიკული ფორმით გადმოსაცემად.

ჩინური დამწერლობა რამდენიმეჯერ გამარტივდა: 1956, 1964 და 1977 წლებში, თუმცა ბოლო რეფორმა გაუქმდა 1986 წელს.



ჩინური ლიგატურა, რომლითაც უსურვებენ ფინანსურ წარმატებას

ჩინური დამწერლობა ძველთაგანვე გავრცელდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში – იაპონიაში, კორეაში, ვიეტნამში, მალაიზიაში, სადაც იგი დიდხანს გამოიყენებოდა ერთადერთ ოფიციალურ დამწერლობად. იმის გამო, რომ ჩინური დაწერილი ტექსტი და მისი წარმოთქმა არ არის ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში (ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება წაიკითხო სხვადასხვა ენაზე), სხვა ეროვნების ადამიანებს "ეადვილებოდათ" მისი სესხება საკუთარი დედაენისათვის. ამჟამად ჩი-

ნური დამწერლობის გავრცელების არეალი საკმაოდ შეზღუდულია, რისი მიზეზიც ამ დამწერლობის სირთულეა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩინურმა სადამწერლობო სისტემამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კორეული და იაპონური სადამწერლობო სისტემების ჩამოყალიბებაში.

§2. იაპონური სადამწერლობო სისტემა

იაპონიაში ჯერ კიდევ ახ.წ. III-V საუკუნეებში კორეიდან მოსულმა ბუდისტმა ბერებმა გაავრცელეს ჩინური დამწერლობა **კანძის** "ხანის [დინასტიის ჩინური] ასოების" სახელწოდებით და იგი დღემდე გამოიყენება. თავდაპირველად კანძით იწერებოდა ჩინურენოვანი ბუდისტური წიგნები. კანძი XIX საუკუნემდე იაპონიის ერთადერთი ოფიციალური დამწერლობა იყო, შემდგომ კი გამოიყენებოდა როგორც ერთ-ერთი სადამწერლობო ვარიანტი.

იაპონური ენის სპეციფიკის გასათვალისწინებლად და იაპონელ მომხმარებელთა მიერ ამ წიგნების წაკითხვის გაადვილების მიზნით შეიქმნა სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნების სისტემა **კამბუნი** "ჩინური წერა", რომელშიც იაპონური სიტყვები იწერებოდა ჩინური იეროგლიფებით, მაგრამ დიაკრიტიკული ნიშნების მეშვეობით იკითხებოდა იაპონურად.

შუა საუკუნეებიდან კანძი მნიშვნელოვნად გასხვავდებოდა ჩინური პირველწყაროსაგან, ვინაიდან იაპონელებმა მასში ჩაამატეს ახალი იეროგლიფები, რომელთა ერთობლიობას **კოკუძი** ეწოდება, ან შეცვალეს იეროგლიფების შინაარსი – მათი დიდი ნაწილი უკვე სხვაგვარად წარმოითქმოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში ჩინური იეროგლიფების გამოყენება შეიზღუდა, ამასთანავე შემცირდა კონკრეტული იეროგლიფების რაოდენობაც. კანძი დღესაც გამოიყენება იაპონიაში, ოღონდ მას უპირატესად ხმარობენ საკუთარი სახელების, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებისა და სხვათა გადმოსაცემად.

ამჟამად იაპონიაში ყველაზე აქტიურად გამოიყენება კანძის 3000-მდე იეროგლიფი, რომელთაგანაც სკოლებში სავალდებულოა 2136 იეროგლიფის შესწავლა.

კანძისაგან მომდინარეობს იაპონური ენისათვის შექმნილი **ორი მარცვლოვანი დამწერლობა,** ანუ **კანა: ჰირაგანა** და **კატაკანა,** რომლებიც იმდენად განსხვავდებიან მათი ჩინური პირველწყაროსაგან, რომ დამოუკიდებელ იაპონურ სადამწერლობო სისტემად ერთიანდებიან.

იაპონური სადამწერლობო სისტემის **ჰირაგანას** სახეობაში ყოველი სიმბოლო გადმოსცემს მოკლე ხმოვანს, მარცვლებს და ცალკე მდგომ თანხმოვნებს. ჰირაგანა იხმარება კანძიზე წერისას მაშინ, როცა მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს კანძის იეროგლიფები, ან როდესაც აუცილებელია ნაწილაკებისა და აფიქსების ჩაწერა.

ჰირაგანა გაჩნდა ჯერ კიდევ V საუკუნეში შექმნილი **მანიოგანას** სისტემისაგან, რომელშიც იაპონური სიტყვები იწერებოდა მსგავსი ჟღერადობის მქონე ჩინური სიტყვების გადმომცემი იეროგლიფებით.

მოგვიანებით გაჩნდა კანძიზე დამყარებული კამბუნის სისტემა, რომელშიც უკვე შემოღებულ იქნა სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნები იაპონური ენის თავისებურებათა გადმოსაცემად. კამბუნზე დაწერილი პირველი წიგნია ისტორიული თხზულება **კოძიკი** (მისი წერა დასრულდა 712 წელს).

თავდაპირველად ჰირაგანას მხოლოდ ქალები იყენებდნენ და ამის გამო **"დედაკაცურ დამწერლობას"** ეძახდნენ. სწორედ ამ დამწერლობითაა შექმნილი იმპერატორის სეფექალის **მურასაკი სიკიბუს** მიერ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე დაწერილი იაპონური კლასიკური რომანი **გენძი-მონოგატარი** "მოთხრობა გენძის შესახებ" და სხვა "ქალური" რომანები. ამჟამად მხოლოდ ჰირაგანათი იბეჭდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დაწერილი ლიტერატურა.

სადამწერლობო ვარიანტი **კატაკანა** გამოიყენება იმავე ერთეულების გადმოსაცემად, რასაც გადმოსცემენ ჰირაგანას სილაბოგრამები. ამ ვარიანტს, ჩვეულებრივ, იყენებენ იმ ენათაგან ნასესხები სიტყვების ჩასაწერად, რომლებიც არ ემყარებიან ჩინურ იეროგლიფებს. ამ სახეობაში, რომელიც შეიქმნა ბუდისტი ბერების მიერ VIII-XII საუკუნეებს შორის როგორც **კანძის დეტერმინანტ (განმსაზღვრელ) ნიშანთა სისტემა,** სილაბოგრამები უფრო კუთხოვანი ფორმისა და ბევრად მარტივია, ვიდრე ჰირაგანას ნიშნები, თუმცა ჰირაგანასა და კატაკანას სილაბოგრამების მოხაზულობის მსგავსება იოლად თვალშისაცემია.

HIRAGANA & KATAKANA

Phonetic sign	a	ka	sa	ta	na	ha	ma	ya	ra	wa	n
Hiragana	あ	か	さ	た	な	は	ま	や	ら	わ	ん
Katakana	ア	カ	サ	タ	ナ	ハ	マ	ヤ	ラ	ワ	ン
Phonetic sign	**i**	**ki**	**shi**	**chi**	**ni**	**hi**	**mi**		**ri**		
Hiragana	い	き	し	ち	に	ひ	み		り		
Katakana	イ	キ	シ	チ	ニ	ヒ	ミ		リ		
Phonetic sign	**u**	**ku**	**su**	**tsu**	**nu**	**fu**	**mu**	**yu**	**ru**		
Hiragana	う	く	す	つ	ぬ	ふ	む	ゆ	る		
Katakana	ウ	ク	ス	ツ	ヌ	フ	ム	ユ	ル		
Phonetic sign	**e**	**ke**	**se**	**te**	**ne**	**he**	**me**		**re**		
Hiragana	え	け	せ	て	ね	へ	め		れ		
Katakana	エ	ケ	セ	テ	ネ	ヘ	メ		レ		
Phonetic sign	**o**	**ko**	**so**	**to**	**no**	**ho**	**mo**	**yo**	**ro**	**o**	
Hiragana	お	こ	そ	と	の	ほ	も	よ	ろ	を	
Katakana	オ	コ	ソ	ト	ノ	ホ	モ	ヨ	ロ	ヲ	

ჰირაგანა და კატაკანა

თავი X.
კორეული სადამწერლობო სისტემა[20]

კორეელები ძირითადად ცხოვრობენ სამხრეთ კორეასა და ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე ჩინეთში, იაპონიაში, რუსეთის ფედერაციაში, შუა აზიის ქვეყნებში (ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში), აშშ-სა და კანადაში. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 78 მილიონს აღწევს.

კორეულ ენაზე წერისათვის V საუკუნის დასაწყისიდან დასტურდება ჩინური იეროგლიფებისაგან მომდინარე დამწერლობა **ჰანმუნი** ანუ **ჰანჩა // ჰანჩჯა // ჰანჯა** "ჩინური ნიშნები", ხოლო VII საუკუნიდან მის პარალელურად გავრცელებული იყო ასევე ჩინური იეროგლიფური დამწერლობის სახეობა, რომელსაც მოგვიანებით რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი გაუჩნდა. ამ რიგით მეორე დამწერლობის ვარიანტებს ზოგად სახელად **იდუ** ეწოდებოდა.

ჰანჯას დამწერლობაში ჩინურ გრაფემათა ნაწილი უცვლელად დარჩა, ნაწილის მოხაზულობა შეიცვალა, მაგრამ მათ გვერდით კორეელებმა შემოიღეს ორიგინალური 250-მდე გრაფემაც.

საკუთრივ კორეული დამწერლობა შექმნა კორეელ მწიგნობართა ჯგუფმა. მისი შემოღების თარიღად მიიჩნევა 1446 წლის 9 ოქტომბერი, როცა მეფე **ჩოსონ სიოჯონ დიდმა** (ნამდვილი სახელი: **ლი დო**) გამოსცა განკარგულება ახალი კორეული დამწერლობის **ჰანგიოლ**-ის ("დიადი დამწერლობის") შემოღების შესახებ. ეს განკარგულება (**ჰუნმინ ჩონიმ**-ი) და მისი განმარტებანი სწორედ ჰანგიოლზეა შესრულებული. სამხრეთ კორეაში ამჟამად 9 ოქტომბერი კორეული დამწერლობის ოფიციალური დღეა, ხოლო ჩრდილოეთ კორეაში ეს ზეიმი აღინიშნება 15 იანვარს.

XVI საუკუნეში ჰანგიოლის გამოყენება აკრძალა მეფე იონსანგუნმა. ეს აკრძალვა გრძელდებოდა 1895 წლამდე, როცა ჰანჯას ნაცვლად ჯერ წერის ნარევი ჩინურ-კორეული წესი დადგინდა: სიტყვათა ძირები იწერებოდა ჩინური იეროგლიფებით, ხოლო აფიქსები – ჰანგიოლით. ამ წესის შემოღებას დიდი პროტესტი მოჰყვა კორეულ საზოგადოებაში და დაიწყო ბრძოლა საკუთრივ კორეული დამწერლობის დასაცავად. ამ ბრძოლის შედეგად 1933 წელს საბოლოოდ შემოღებულ იქნა

[20] თავის ავტორი – გ. გვანცელაძე.

წერის ახალი წესი, რომელიც გულისხმობდა კორეულ ენაზე წერისათვის ჰანგიოლის დამწერლობის დაკანონებას. ეს წესი მოქმედებს დღემდე.


ჩრდილოეთ კორეაში დამწერლობა ჰანჯა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია პრაქტიკულად აღარ იხმარება, ხოლო სამხრეთ კორეაში მას დღესაც იყენებენ უპირატესად სამეცნიერო ლიტერატურაში, გაზეთების დასახელებაში, აგრეთვე რესტორნებისა და სხვა დაწესებულებათა აბრებზე.

ჰანმუნის, ანუ ჰანჯას დამწერლობაზე მდიდარი ბუდისტური და კონფუციანური რელიგიური, ფილოსოფიური, აგრეთვე მაღალი დონის საერო ლიტერატურაა შექმნილი.

თანამედროვე კორეული დამწერლობა, რომელსაც მრავალი სახელწოდება აქვს (**ჰანგიოლი // ჰანგილი // ჰანგული, ჰუნმინ ჩონიმი, ჩოსონ მუნჩა, ჩოსონგილი, ურიგილი, კუქსო, კუნმუნი**), ერთი შეხედვით ჩამოჰგავს ჩინურ იეროგლიფებს, მაგრამ იგი სულაც არ შედგება იეროგლიფებისაგან. სინამდვილეში ჰანგიოლი **მარცვლოვანებისაკენ მიდრეკილი კონსონანტურ-ვოკალური** ტიპის დამწერლობაა.

ჰანგიოლი შედგება 51 ელემენტისაგან, რომელთაც **ჩამო**, ანუ **ნასსორი** ეწოდება. ყოველი ჩამო წარმოადგენს ნიშანთა ჯგუფს, რომელთაც ერთი **საზიარო საბაზო ნიშანი** უდევს საფუძვლად. ეს იმას ნიშნავს, რომ წერის დროს ჩამოს საბაზო ასოს ირგვლივ, ან მის გვერდით ლაგდება ამ ჩამოს შემადგენელი სხვა ასოები. საყურადღებოა, რომ ამ დამწერლობაში წარმოთქმის (არტიკულაციური) თავისებურებებით მსგავსი ბგერები ერთიმეორის მსგავსი ასოებით აღინიშნება. მაგალითად, ასოები ㅣ და ㅜ შესაბამისად აღნიშნავენ **ო** და **უ** ხმოვნებს.

ჩამოს შიგნით გაერთიანებულ ასოებში ძირითად ასოზე დამატებულია **დიაკრიტიკული ნიშნები**, რომლებიც მიუთითებენ, თუ რა ფონეტიკური ნიშან-თვისებით (ბგერის მკვეთრობა, სიყრუე, აფრიკატობა, ტონი და სხვ.) ჰგავს ეს ვარიანტი საბაზო ასოთი აღნიშნულ ბგერას. სულ კორეულ დამწერლობაში 24 ბგერის გადმომცემი მარტივი **საბაზო ასო-ნიშანია** (14 თანხმოვანი ბგერისა და 10 ხმოვნისათვის). მათ გარდა მოიპოვება 27 ჩამოს რთული ასო-ნიშნები, ანუ **ლიგატურები**, რომლებიც აღნიშნავენ ორ-ორ, სამ-სამ ბგერას, ან ე.წ. ძლიერ (გაორმაგებულ) თანხმოვნებს. ლიგატურებში შემავალ ასოებს ეცვლებათ ფორმა იმის მიხედვით, თუ რომელი სხვა ბგერის გადმომცემი ასოს გვერდით უწევთ დგომა.



ჰანგიოლის "პერიოდული სისტემა"

ჰანგიოლის ერთი მთავარი მახასიათებელია ის, რომ ერთზე მეტი ბგერისაგან შემდგარი მარცვლებისა და მოკლე სიტყვების გადმოსაცემად ასოები მუდამ კი არ იწერება ერთმანეთის მიყოლებით, არამედ ერწყმიან ერთმანეთს, ან განლაგდებიან ერთმანეთზე რამდენიმე იარუსად და სწორედ ამ გზით მიღებული ლიგატურები ქმნიან იეროგლიფთა შთაბეჭდილებას. გრძელი სიტყვები იყოფა ჩამოებად, ანუ ასოთა ჯგუფებად. მაგალითად, მოქმედებს ასოთა განლაგების შემდეგი წესები:

წესი 1: წარმოსახული მართკუთხედის მარცხენა მხარეს იწერება მოკლე სიტყვის, ან ჩამოს პირველი ასო, რომლის მარჯვნივაც დგას მომდევნო ასო:

I ასო	II ასო

წესი 2: ორად გაყოფილი წარმოსახული მართკუთხედის ზედა ნაწილში იწერება პირველი ასო, მის ქვეშ განლაგდება მეორე ასო:

I ასო
II ასო

წესი 3: წარმოსახული მართკუთხედი გაყოფილია სამ ნაწილად – მის ზედა მარცხენა ნაწილში იწერება პირველი ასო, პირველი ასოს ქვეშ ჯდება მეორე ასო, ხოლო მესამე ასო დაიწერება ორ იარუსად განლაგებული პირველი და მეორე ასოების მარჯვნივ:

I ასო	III
II ასო	ასო

წესი 4: სამბგერიანი მარცვლის პირველი ასო იწერება წარმოსახული მართკუთხედის ზედა მარცხენა მხარეს, მის გვერდით დაჯდება მეორე ასო, ხოლო მესამე ასო ჩაიწერება მათ ქვემოთ:

I ასო	II ასო
III ასო	

წესი 5: სამბგერიანი მარცვლის ასოები ლაგდება წარმოსახული მართკუთხედის ზემოდან ქვემოთ: სულ ზემოთ – პირველი ასო, შუაში – მეორე, ხოლო ქვემოთ – მესამე ასო:


I ასო
II ასო
III ასო

წესი 6: ასოები ლაგდება 3 იარუსად – წარმოსახული მართკუთხედის სამად გაყოფილი ზედა მარცხენა იარუსი იწყება პირველი ასოთი, მის ქვემოთ დგას მეორე ასო, პირველი და მეორე ასოების მარჯვნივ – მესამე, ხოლო I, II და III ასოების ქვემოთ წარმოდგენილია მეოთხე ასო:

I ასო	III ასო
II ასო	
IV ასო	

ჩვეულებრივ, ჩამოების, ან მოკლე სიტყვების წერისას წარმოსახული მართკუთხედის შუა პოზიცია ხმოვნების აღმნიშვნელ ასოებს უჭირავთ ხოლმე.

აქვე ნიმუშად წარმოვადგენთ დამწერლობის აღმნიშვნელი სიტყვა **ჰანგეულ**-ის კორეულ დაწერილობას:



რაც შეეხება კორეულ დამწერლობათა წარმომავლობას, მათგან ლოგოგრაფიული ტიპის დამწერლობა **ჰანჯა**, როგორც ზემოთაც ითქვა, წარმოადგენს ჩინური იეროგლიფების გადამუშავებულ ვარიანტს და ძალზე ახლოს უდგას ჩინური სადამწერლობო სისტემის 5 ქვესახეობას: **კანძის, ჩუინს, კიდანს, ტინომსა და ჩურჩუანს**.

ჰანგიოლის წარმომავლობის საკითხი დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული. ამის შესახებ არსებობს 20-მდე სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთაგან ერთერთი მხარს უჭერს ჰანგიოლის სრულ ორიგინალურობას, სხვები კი ამ დამწერლობის პირველწყაროდ სხვადასხვა ანბანს ასახელებენ: ჩინურს, ტიბეტურს, ინდურს, მონღოლურს და ა.შ. **ყველაზე რეალური** ჩანს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ჰანგიოლის შემქმნელნი ეყრდნობოდნენ ინდურ დევანაგარის, ტიბეტურ და მონღოლურ პაგბას სახეობის დამწერლობებს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასო-ნიშანთა ნაწილის მსგავსება ინდურ და ტიბეტურ ასოებთან, მონღოლური პაგბას ასოთა განლაგების წესებთან მსგავსება და სხვ.

თავი XI.


ამერიკელ ინდიელთა დამწერლობები[21]

ამერიკის კონტინენტზე ევროპელთა გამოჩენამდე ინდიელთა ზოგიერთი ტომი იყენებდა **დამწერლობამდელ საინფორმაციო საშუალებებს**, მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში, ახლანდელი პერუს, ეკვადორის, ბოლივიის, არგენტინის, კოლუმბიის მიწებზე მოსახლე **კეჩუას ტომი** და **ინკები**, რომლებსაც საკმაოდ მაღალი დონის კულტურა ჰქონდათ, იყენებდნენ კვანძურ "დამწერლობას" **კიპუს**. როგორც ვარაუდობენ მკვლევრები, კიპუს მხოლოდ ნივთების რაოდენობის აღსანიშნად იყენებდნენ, ხოლო თხრობითი (ნარატიული) ტექსტის გადმოსაცემად იგი არ გამოდგებოდა.

იგივე კეჩუას ტომი და ინკები ინფორმაციის შესანახად და გადასაცემად იყენებდნენ აგრეთვე ქსოვილებსა და თიხის ნაკეთობებზე გამოყვანილ რთულ პირობით საინფორმაციო სისტემას, რომელსაც კეჩუას ენაზე **ტოკაპუ // ტუკაპუ** ეწოდება.

ტოკაპუს გარდა საყურადღებოა აგრეთვე ეროვნულ სამოსზე გამოხატული პირობითი ნიშნებიც. არსებობს მოსაზრება, რომ ტოკაპუ იდეოგრაფიული ტიპის დამწერლობის ნაშთია.

აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე მცხოვრებ **მიკმაკების** ტომის ინდიელებსაც ჰქონდათ მეტად საინტერესო დამწერლობა, რომელიც ამერიკაში ევროპელთა შეჭრის შემდეგ მალე გამოვიდა ხმარებიდან. ფიქრობენ, რომ მიკმაკების დამწერლობა იდეოგრაფიულ-იეროგლიფური ხასიათისა იყო.



მიკმაკების ანბანით ნაწერი ტექსტი

არსებობდა კიდევ რამდენიმე სხვა დამწერლობა, მაგრამ მათი უმრავლესობის ადგილი მალე დაიკავეს ევროპული ენების – ესპანურის, ინგლისურის, პორტუ-

[21] თავის ავტორი – გ. გვანცელაძე.

გალურის ანბანებმა, რის გამოც ამ ადგილობრივი დამწერლობების შესახებ ინფორმაცია საკმარისი არ არის. ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლანდელი მექსიკის ტერიტორიაზე ევროპელთა შეჭრამდე არსებულ ორ უნიკალურ დამწერლობას: **აცტეკებისა** და **მაიას** ანბანებს.

აცტეკები ცხოვრობდნენ თანამედროვე მექსიკის ცენტრალურ ნაწილში. მაიი დამწერლობა ტიპოლოგიური თვალსაზრისით განეკუთვნებოდა **იდეოგრაფიულ-მარცვლოვან** ნარევ ტიპს. როგორც ვარაუდობენ, აცტეკებმა დამწერლობა შექმნეს მათ მიერ დაპყრობილი **მიშტეკების** მიბაძვით, რომელთა წიგნები აცტეკებს მოუსპიათ, თუმცა იგივე ბედი ეწია თვით აცტეკების წიგნებსაც, რომლებიც ესპანელებმა დაწვეს. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ესპანურ-აცტეკურმა ორენოვანმა ტექსტებმა და აცტეკურმა წარწერებმა სხვადასხვა ნივთებზე.

აცტეკური დამწერლობა წარმოადგენდა მომხდარი ამბების გამოსახულებებს (პიქტოგრამებს), თუმცა მასში ბგერწერის ელემენტებიც იყო, ხოლო საგანგებო ნიშნები გამოიყენებოდა მხოლოდ პირსახელებისა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოსაცემად. ამ თავისებურების გამო **აცტეკურ დამწერლობაზე შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი თხრობითი ტექსტების ჩაწერა**, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. კიდევ ერთი ნაკლოვანება ის იყო, რომ **ერთი და იგივე ნიშნები სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა წაკითხულიყო**. აცტეკური დამწერლობის გამოყენებით შესრულებული ტექსტები ძირითადად აღწერენ ლაშქრობებსა და ომებს, მმართველთა დინასტიურ მიმართებებს, გადმოსცემენ ასტრონომიულ, ასტროლოგიურ და მითოლოგიურ რეალიებს.

ამერიკელ ინდიელთა დამწერლობებიდან ყველაზე დახვეწილი იყო **მაიას დამწერლობა**, რომელიც გავრცელებული ყოფილა ახლანდელი **მექსიკის სამხრეთის შტატების, გვატემალისა და ჰონდურასის ტერიტორიებზე** ძვ.წ. III საუკუნიდან XVI საუკუნემდე. ეს დამწერლობა შეიცავდა როგორც სიტყვა-ცნებათა გადმომცემ **ლოგოგრამებს (იდეოგრამებს), ისე მარცვალთა აღმნიშვნელ სილაბოგრამებს**.

მიიჩნევა, რომ მაიას დამწერლობა ემსახურებოდა მაიას ენათა ჯგუფის რამდენიმე ენას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მას იყენებდნენ მაიას იმპერიის მთავარ ენაზე **ჩოლტი**-ზე საწერად. ჩვენს დრომდე მოღწეულია ამ დამწერლობით შესრულებული 7 ათასამდე ტექსტი.

მაიას დამწერლობის ყოველი ნიშანი ხან სიტყვას აღნიშნავდა, ხან – მარცვალს. არცთუ იშვიათად ერთი და იგივე ნიშანი გადმოსცემდა ერთზე მეტ სიტყვას, ანდა სხვადასხვა ნიშანი გამოითქმოდა ზუსტად ერთნაირად, რაც ართულებდა წერასაც და კითხვასაც.

მოხაზულობის მხრივ ნიშნები წარმოადგენდა კიდეებმომრგვალებულ კვადრატებს. ნიშნები იყო მიწაომოქმედებასთან დაკავშირებული საგნების, ადამიანის სხეულის ნაწილების, ცხოველთა, მცენარეთა, შენობების, წყლის, მზის, მთვარის, წვიმის სტილიზებული გამოსახულებები. ჩვეულებრივ, ნიშნები ცალკე არ იწერებოდა: იქმნებოდა კორეული **ჩამოს მსგავსი** ნიშანთა ჯგუფები (ბლოკები) და ყოველი კვადრატი აერთიანებდა ორ-ორ, ან მეტ ასეთ მაიას "ჩამოს". ყოველი ბლოკის შიგნით იეროგლიფები იწერებოდა მარცხნიდან მარჯვნივ, შემდეგ კი – ზემოდან ქვემოთ.

თავი XII.

სომხური სადამწერლობო სისტემა[22]

სომხური დამწერლობა ანბანური ტიპის, უფრო ზუსტად, **კონსონანტურ-ვოკალური** დამწერლობაა. სომხური ტრადიციის თანახმად, იგი 405 წელს შექმნა სომეხმა განმანათლებელმა, ბერმა **მესროპ მაშტოცმა** (361-440 წწ.).

სომხური ანბანი ამჟამად გამოიყენება ორ სალიტერატურო ენაზე – აღმოსაველურ სომხურსა და დასავლურ სომხურზე წერისათვის.

თავდაპირველად მასში 36 ასო იყო, XII საუკუნეში კი 3 ასო დაემატა. ამჟამად სომხურ ანბანში 39 ასოა, ამათგან 7 ხმოვანია, დანარჩენი 32 კი – თანხმოვანი.

სომხურად სიტყვა „ანბანი“ არის **այբուբեն** (აიბუბენ) სომხური ანბანის პირველი ორი ასოს **այբ** და **բեն** სახელწოდებათა მიხედვით. სომხური დამწერლობა რიცხვების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი სომხური ტექსტი თარიღდება 480 წლით.

განსხვავებით მრავალი სხვა დამწერლობისაგან, სომხურ ანბანს მისი არსებობის მანძილზე სახე თითქმის არ შეუცვლია. მას აქვს 2 მთავარი ქვესახეობა: **ერკათაგირი** (ასომთავრული, დიდი ასოები) და **ბოლორგირი** (ნუსხური, პატარა ასოები), რომელთაგანაც პირველი უფრო ადრინდელია. გვიანდელ შუა საუკუნეებში არსებობდა აგრეთვე ბოლორგირის, ანუ ნუსხურის სტილური ვარიანტები: **ნოტრგირი** (მდივან-მწიგნობრული) და **შლაგირი** (გაკრული ხელწერა). მიუხედავად ამ ვარიანტების არსებობისა, სომხური სადამწერლობო სისტემა მაინც ერთადერთი ტიპოლოგიური ერთეულისაგან შედგება.

სომხური დამწერლობის წარმოშობისა და დათარიღების შესახებ არსებობს სომეხ მეცნიერთა მცირე ჯგუფის ვარაუდი, რომ მესროპ მაშტოცი არ ყოფილა სომხური დამწერლობის შემქმნელი, მან მანამდე უკვე არსებული ანბანი შეავსო გარკვეული გრაფემებით, მაგრამ ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს ფაქტობრივი მასალა. უფრო გავრცელებული და რეალობასთან ახლომდგომია შეხედულება, რომლის მიხედვით, V საუკუნემდე სომხური დამწერლობა არ არსებობდა და მისი შექმნა მთლიანად მესროპ მაშტოცის დამსახურებაა.

[22] თავის ავტორი – თ. გვანცელაძე.

ერთი აზრი არ არსებობს არც სომხური დამწერლობის წარმომავლობის საკითხში. ამ პრობლემის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან ყველაზე საფუძვლიანად მიიჩნევა 4 ვარაუდი, რომელთა მიხედვით, სომხური სადამწერლობო სისტემა მომდინარეობს:

1. არამეული დამწერლობის ერთ-ერთი განშტოებისაგან;
2. ბერძნული დამწერლობის დასავლური ვარიანტისაგან;
3. ეთიოპური დამწერლობისაგან;
4. ბერძნული, ეთიოპური (ან რომელიღაც სემიტური ენის) და ქართული დამწერლობებისაგან.

საყურადღებოა, რომ პირველი, მესამე და მეოთხე თვალსაზრისებიც გულისხმობს ბერძნული სისტემის გავლენას. ჩვენი აზრით, სომხურ დამწერლობას მართლაც ეტყობა ბერძნული სისტემის გავლენა, მაგრამ იგიეე შეიძლება ითქვას არამეულის გავლენაზეც, რაზეც მიანიშნებს ზოგიერთი ასოს სახელწოდების მსგავსება არამეული ასოების სახელებთანაც. ამიტომ უფრო მართებული ჩანს იმის დაშვება, რომ **სომხური დამწერლობა შექმნილია ბერძნული და არამეული სისტემების ერთდროული ზეგავლენით, თუმცა იმის გამო, რომ სომხურ ასოთა ნაწილი მოხაზულობით ძალიან ჰგავს ეთიოპურ საბაზო სილაბოგრამათა ჯგუფს, არ გამოირიცხება არც ეთიოპური დამწერლობის გავლენაც.** რაც შეეხება ქართული და სომხური დამწერლობების მიმართების პრობლემას, ამ საკითხს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

სომხურ ანბანში ერთი შეხედვით რამდენიმე შემთხვევაში თითო ბგერას ერთზე მეტი ასო გადმოსცემს, მაგრამ ეს ზედაპირული შთაბეჭდილებაა:

1. ასო **Էէ** – **ე** რეალურად იმით განსხვავდება მასზე წინმდგომი **Եե** – **ეჩ** ასოსაგან, რომ **ეჩი** აღნიშნავს ჩვეულებრივ **ე** ხმოვანს, ხოლო **ე** გამოხატავდა **ეი** დიფთონგს (შდრ. ქართ. **ჱ**);
2. ასო **Ըը** – **ეთ** აღნიშნავს არა **ე** ხმოვანს, არამედ ე.წ. ნეიტრალურ **ჲ** ხმოვანს, რომელსაც ინგლისური ენის საერთაშორისო ტრანსკრიფციაში **ə** ნიშნით გადმოსცემენ;
3. ასო **Ռռ** – **რა** გადმოსცემს ე.წ. კოშტ (მაგარ) **რ** ბგერას, ხოლო **Ր ր** – **რე** ასო აღნიშნავს ე.წ. რბილ **რ** თანხმოვანს;

ასო Իի — ინ ჩეჩნურ-ინგუშური ი ხმოვნის ნიშანია, ხოლო Իւ - ვინ ძველქართული ჳ ასოს მსგავსად აღნიშნავდა ვი, ან უ დიფთონგებს.

Աա - აბ	Ծծ - წა	Ջջ - ჯე
Բբ - ბენ	Կկ - კენ	Ռռ- რა
Գգ - გიმ	Հհ- ჰო	Սս- სე
Դդ - და	Ձձ- ძა	Վվ- ვევ
Եե - ეჩ	Ղղ- ღად	Տտ- ტვინ
Զզ - ზა	ՃՃ- ჭა	Րր- რე
Էէ - ე (Ꭼ)	Մմ- მენ	Ցց- ცო
Ըը - ეთ	Յյ- ი	Իւ- ვინ
Թթ - თო	Նն- ნუ	Փփ- ფვირ
Ժժ - ჟე	Շշ- შა	Քք- ქე
Իի - ინ	Ոո- ვო	և- ევ
Լլ - ლვინ	Չչ- ჩა	Օօ- ო
Խխ- ხე	Պպ- პე	ՖՖ- ფე

სომხური აიბუბენი

სომეხი მეცნიერის, აკად. **გურგენ სევაკის** დაკვირვებით, სომხურ ასომთავრულში, ანუ ერკათაგირში გამოიყოფა ასოთა ჯგუფები, რომლებშიც შედის ერთმანეთის მსგავსი ფორმების მქონე ნიშნები. ამ მიგნებაზე დამყარებით და კვლევის ახალი მიმართულებით წარმართვის საფუძველზე ქართველმა დამწერლობათმცოდნე **რამაზ პატარიძემ** დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სომხური ერკათაგირის შემადგენლობაში მართლაც არის ასოთა 3 ძირითადი ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობისაა:

1. ერთ ჯგუფში ერთიანდება **ნალისებური** ფორმის ასოები;
2. მეორე ჯგუფს ქმნიან **რკალისებური** ასოები;
3. მესამე ჯგუფია **კუთხოვანი** ასოები.

ქართველი მეცნიერის აზრით, მათგან ნალისებური ფორმის მქონე პირველი ჯგუფის გრაფემები, რომელთაგანაც 3 უკვე დიდი ხანია აღარ გამოიყენება, უნდა მომდინარეობდნენ აბუგიდას ტიპის ეთიოპური დამწერლობის პირველი საბაზო *ሀ* (გამოითქმის როგორც მარცვალი *hä*) სილაბოგრამისაგან. ეს ასოებია:

Ս (ს), Մ (მ), Ա (ა), Ո (ე), Ռ (რ), Թ (თ), Ն (ნ), Ե (ე), Կ (კ), Ր (რ), Բ (ბ), Ը (ნეიტრალური ხმოვანი), Վ (ვ), Դ (დ), Ղ (ღ), Պ (პ), Ժ (ჟ), Գ (გ), Տ (ტ).

საბაზო ეთიოპური *ሀ* ელემენტისაგან წარმოქმნილ ამ ასოებს ის განასხვავებს ერთიმეორისაგან, რომ, ჯერ ერთი, ეთიოპურ საბაზო ასოს ქვედა ნაწილი ამოტრიალებულია, ან სარკისებურადაა შებრუნებული, მეორე მხრივ კი სხვადასხვა მხრიდან მიერთებული აქვთ დამატებითი ელემენტები. რ. პატარიძე მოცემულ ჯგუფს **სემურ** (ანუ **სემიტურ**) **ჯგუფს** უწოდებს, ვინაიდან ეთიოპური ენა სემიტურ ენათა ოჯახის შემადგენლობაში შედის.

მეორე ჯგუფი 8 ასოსაგან შედგება. ესენია:

Շ (შ) – Չ (ჩ), Ց (ც) – Ձ (ძ), Ծ (წ) – Ճ (ჭ), Ջ (ჯ) – Հ (ჰ).

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ამ მეორე ჯგუფში შემავალ გრაფემათა 4-ეე წყვილის წევრები მოხაზულობის მიხედვით ერთმანეთის ვარიანტებია. რ. პატარიძის დაკვირვებით, ამ ასოებს საფუძვლად ქართული ასომთავრულის Շ (ა) ასო უდევს, ხოლო მათი განლაგება სომხური ანბანის შიგნით თავისებურად მისდევს

შესაბამის ქართულ ასოთა განლაგებას ასომთავრულში. ამის გამო დასახელებულ 9 ასოს მეცნიერი **ქართულ ჯგუფს** უწოდებს.

მესამე ჯგუფში ერთიანდება **კუთხოვანი ტიპის** ბერძნული წარმოშობის ასოები:


Ⴊ (ძვ. ქართ. ჯ), Ⴋ (ძვ. ქართ. ზ), Ⴌ (რბილი ლ), Ⴍ (ხ),

Ⴎ (ფ) და Ⴏ (ქ), აგრეთვე Ⴀ (ო).

შდრ. ბერძნული: **Η, Ξ, Λ, Χ, Φ, Ο.**

განმარტებას მოითხოვს ქ ბგერის გადმომცემი სომხური Ք ასოს წარმომავლობის საკითხი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთლიანად სომხური **ერკათაგირის შექმნის თარიღის** დასადგენად:

როგორც ცნობილია, ძველბერძნულ ენაში ასო **Χ** იკითხებოდა როგორც ქ ბგერა, ხოლო ბიზანტიური პერიოდის ბერძნულში იგი უკვე ხ ბგერას გადმოსცემდა. ბიზანტიურ პერიოდამდე, კერძოდ, პირველ საუკუნეშივე **Χ** ასო ჯვარცმული ქრისტეს სახელის სიმბოლო გახდა, ვინაიდან ქრისტეს სახელის ბერძნული ვარიანტი **ΧΡΙΣΤΟΣ** "ქრისტოს" ამ ბგერით იწყებოდა. II საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ სიმბოლოს ხაზების გადაკვეთის ადგილას შეურწყა იესოს სახელის პირველი ბგერის აღმნიშვნელი **Ι** ასოც, ანუ **Χ** გრაფემა ვერტიკალურად გაყო **Ι** ასომ. IV საუკუნის შუა წლებამდე ამ სიმბოლოს **Ι** ასოს ზედა წვეროში დაემატა **Ρ** ბგერის გადმომცემი **Ρ** ასოს ზედა შეკრული რკალი. დაახლოებით 350 წელს ამ უკვე გართულებულ სიმბოლოს შუაში ჩაემატა ჯვარცმის მიმნიშნებელი ჰორიზონტალური ხაზი, ხოლო დაახლოებით 355 წელს იგი გამარტივდა – ჩამოსცილდა **Χ** ასოს ელემენტები და მან მიიღო ის ფორმა, რაც თითქმის უცვლელად იქნა ნასესხები სომხურ დამწერლობაში ქ თანხმოვნის აღმნიშვნელი Ք ასოს სახით (მონოგრამის ცვლილებები იხ. ქვემოთ).



ჯვარცმული იესო ქრისტეს სიმბოლოს ცვლილებანი (რ. პატარიძის მიხედვით)

ეს ფაქტი ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ **სომხური დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარე ასოების ჩათვლით ვერ შეიქმნებოდა ახ. წ. 355 წელზე ადრე.** ამ ვა-

რაუდს მხარს უჭერს მესროპ მაშტოცის დაბადებისა და მოღვაწეობის დროის მონაცემები – მესროპი დაიბადა 361 წელს, ხოლო გარდაიცვალა 440 წელს, ანუ მას შემდგომ, რაც ბერძნულში საბოლოო სახე მიიღო ჯვარცმული იესო ქრისტეს სიმბოლომ.

მაშასადამე, უეჭველად ირკვევა, რომ **სომხურ სადამწერლობო სისტემას საფუძვლად უნდა ედოს ეთიოპური, ქართული და ბერძნული სისტემები, მაგრამ არსებობს სერიოზული მონაცემები საიმისოდაც, რომ არ გამოირიცხოს არამეული დამწერლობის გავლენაც**, რაზეც ასოთა ნაწილის ის დასახელებანიც მიგვანიშნებენ, რომლებიც ჰგვანან არამეულ-სემიტურ სახელებს, მაგრამ არ დასტურდება არც ეთიოპურ, არც ქართულ და არც ბერძნულ სისტემებში, შდრ.:

სომხ. **გიმ** – სემიტ. **გიმელ**, სომხ. **ვეჵ** – სემიტ. **ვაგ**, სომხ. **და** – სემიტ. **დალეთ**, სომხ. **ზა** – სემიტ. **ზაინ**, სომხ. **რე** – სემიტ. **რეშ**, სომხ. **ნუ** – სემიტ. **ნუნ**.

ვიდრე მსჯელობას განვაგრძობდეთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი საზოგადო გარემოება: უშუალოდ არამეული დამწერლობისაგან მომდინარე დამწერლობებში (ებრაულში, ასირიულში, არაბულში...) ასოთა განლაგების თანმიმდევრობა, ანუ ანბანთრიგი ემთხვევა ფინიკიურ ანბანთრიგს: ამ ანბანებში ჯერ წარმოდგენილია ფინიკიური ანბანის ასოების ანალოგები ფინიკიური ანბანთრიგის დაცვით, ბოლოში კი თავსდება ის ასოები, რომლებიც არ იყო არც ფინიკიურში და არც არამეულში. მცირედი სხვაობით იგივე წესი დაცულია უშუალოდ ფინიკიური სისტემისაგან წარმოქმნილ ბერძნულ დამწერლობაშიც.

რაც შეეხება ბერძნულისაგან მომდინარე დამწერლობებს (ეტრუსკულს, ლათინურს, სლავურს...), მათში დაცულია ბერძნულის ანბანთრიგი, ოღონდ ბერძნულისაგან განსხვავებულ სპეციფიკურ ბგერათა აღმნიშვნელი ასოები განლაგებულია ძირითადად ანბანის ბოლოში.

კონსონანტურ და კონსონანტურ-ვოკალურ დამწერლობათა შორის სხვაობას ამ მხრივ მხოლოდ სომხური ანბანი გვიჩვენებს:

სომხურ ერკათაგირში ბოლომდე დაცული არ არის არც სემიტური ანბანთრიგი და არც ბერძნულ ასოთა თანმიმდევრობა – აქ სომხური ენისათვის დამახასიათებელი იმ სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელი ასოები, რომლებიც არ არსე-

ბობს არც სემიტურ ენებსა და არც ბერძნულ ენაში, გაფანტულადაა ჩასმული სემიტურ-ბერძნული წესით განლაგებულ ასოებს შორის.

რამ გამოიწვია ანბანთრიგის ამგვარი განსხვავება სომხურ აიბუბენში? ეს საკითხი დამაჯერებლად გაარკვია **რამაზ პატარიძემ**. მისი მოსაზრება ამგვარია:

სემიტური დამწერლობების საფუძველზე განვითარებულ **ვოკალიზებულ (ხმოვნებიან) დამწერლობებში არსად დასტურდება ფინიკიური ანბანის 22-ვე ასო:** ბერძნულში მათი რაოდენობა 19-ია, კლასიკურ ეტრუსკულში – 16, კლასიკურ ლათინურში – 19, კოპტურში – 20, ხოლო ქართულ ასომთაერულში 21 ასოა და ა.შ.

დგინდება, რომ **რეალურად აიბუბენის შემადგენლობაში შედის 21 სემიტური წარმოშობის ასო, რაც ემთხვევა ქართული ანბანის მონაცემებს.** მეტიც შეიძლება ითქვას: **აიბუბენისა და ქართული დამწერლობის სემიტური წარმომავლობის ასოების რიგიც თითქმის სრულად ემთხვევა ერთმანეთს** – სომხურში ეს ასოები ასეა განლაგებული:

ა, ბ, გ, დ, ე, ზ, ₾, თ, ჟ, ი, კ, ლ, მ, ი, ნ, ო, პ, რ (კოშტი), ს, ვ, ტ

შდრ. შესაბამისი ქართული ასოების განლაგება:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ₾, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ი, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ.

თუ დავაკვირდებით, იოლად შევნიშნავთ, რომ სომხურში ქართულისაგან განსხვავებული ადგილი 3 გრაფემას უჭირავს. ეს ასოებია: **ვ, ჟ, ი.**

რამაზ პატარიძის ვარაუდით, ამ სამი გრაფემისათვის ადგილის მოცელა სომეხი აეტორის **თვითნებობაა.** ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ **მიზანი ქართულ ანბანთან სომხური აიბუბენის კავშირის შეფარვა უნდა ყოფილიყო.**

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ **სომხურ დამწერლობაში სრულიად უეჭველად ჩანს გრაფემათა 3 მთავარი ჯგუფი: სემიტური, ბერძნული და ქართული წარმომავლობის გრაფემები.**

სემიტური ტიპის ასოები რიგის მიხედვით ფინიკიურ-ბერძნულის ანბანთრიგს იცავენ, ოღონდ მათ შორის გაბნეულად ჩასმულია საკუთრივ სომხური სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელი ასოების ნაწილი, ქართული წარმოშობის ასოები მოსდევს ამ ტიპის ასოებს, ხოლო ბოლოში განთავსებულია ბერძნული ასოები.

სომხური **ასოების სახელწოდებებში,** ანუ გრაფონიმებში გატარებულია სილაბური, ანუ მარცვლოვანი პრინციპი, როცა ასოს სახელი წარმოადგენს ღია, ან დახურულ მარცვალს. ცხადად ჩანს, რომ ისინი შექმნილია სემიტური, ბერძნული, ლათინური და ქართული გრაფონიმების ზეგავლენით.

ქართული გრაფონიმებისაგან მომდინარეობს შემდეგ ასოთა სახელწოდებანი: სომხ. **ბენ** – ქართ. **ბანი,** სომხ. **ʒე** (ეძე) – ქართ. **ʒ** (ეძ), სომხ. **ინ** – ქართ **ინი,** სომხ. **კენ** – ქართ. **კანი,** სომხ. **მენ** – ქართ. **მანი,** სომხ. **ჲი** – ქართ. **ჲე,** სომხ. **რა** – ქართ. **რაე,** სომხ. **ფჲურ** – ქართ. **ფარი,** სომხ. **ჭა** – ქართ. **ჭარი.**

სომხური ერკათაგირის ასოები **წარმოსახული მაღალგვერდებიანი მართკუთხედის ორხაზოვან სისტემაში** იწერება. მისი ნიშნები მიღებულია ხაზების, რკალებისა და წრეების კომბინაციით, თუმცა ასოების ძირითად ნაწილებს არცთუ იშვიათად წანაზარდი ელემენტებიც ახლავს.

რაც შეეხება ბოლორგირს, ანუ ნუსხურ ვარიანტს, მისი ასოები მარცხნიდან მარჯვნივაა დახრილი, ხოლო ვერტიკალური ხაზები ჰორიზონტალურზე უფრო სქელია.

სომხურ ენაზე ძველთაგანვე მდიდარი ლიტერატურაა შექმნილი, მათ შორის ისტორიული, რელიგიური, ფილოსოფიური და მხატვრული შინაარსისა. ბევრი მათგანი გაფორმებულია მაღალი ხარისხის მინიატურებით.

ძველსომხურ ხელნაწერთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლექცია დაცულია სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში არსებულ ხელნაწერთა საცავში **მატენადარანში.**

თავი XIII

კავკასიის ალბანელთა დამწერლობა[23]

კავკასიის ალბანელები ცხოვრობდნენ ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვრისა და არაქსის შესართავიდან მტკვრის ორიეე მხარეს, ახლანდელ ქალაქ შემახიდან კასპიის ზღვამდე. ალბანელების ჯგუფი ბინადრობდა აგრეთვე დაღესტნის სამხრეთ ნაწილშიც.

ტერმინი **ალბანია (Albania)** ლათინური წარმომაელობისაა და ნიშნავს "მთიან მიწას, მთიანეთს". ეს სახელი ამჟამად ეწოდება ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქვეყანას, რომელიც ესაზღვრება საბერძნეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, სერბეთსა და მონტენეგროს (ყოფილ ჩერნოგორიას).

კავკასიელ და ბალკანელ ალბანელებს წარმოშობის მხრივ საერთო სრულებით არაფერი აკავშირებს: **ბალკანელი ალბანელები** (თვითსახელწოდება **შკიპერ**) **ინდოევროპული** მოდგმის ხალხია, ხოლო **კავკასიელი ალბანელები**, რომელთა თვითსახელწოდება უცნობია, **ქართველთა მონათესავე იბერიულ-კავკასიური** წარმოშობის ხალხი იყო.

ქართულ ისტორიულ წყაროებში კავკასიის ალბანეთს **რანი** ერქვა, ხოლო სპარსულ, არაბულ და სირიულ წყაროებში – **არანი**, სომხურ წერილობით წყაროებში კი მის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა სახელწოდება **აღვანქ**.

ბერძენი ავტორი **სტრაბონი** ამ ქვეყნის მოსახლეობად 26 ტომს უთითებდა. ამ ტომების გაერთიანების შედეგად ძ.წ. II საუკუნეში წარმოიქმნა **რანის სამეფო**, რომლის შემადგენლობაშიც მცირე ხნით შედიოდა ქართული მხარე **ჰერეთი**. ამ სამეფოს დედაქალაქი იყო **კაბალაკი**.

ახ.წ. I-II საუკუნეებში ალბანეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილზე დასახლდნენ **მასქუთების**, ანუ **მასაგეტების** ტომები და შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი კასპიის ზღვის ახლოს, დარუბანდთან მდებარე **ჩორი // ჩოლი** იყო, რომელიც იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამებაშიც" იხსენიება. ერთ-

[23] თავის აეტორები – გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე.

ერთი ვერსიის მიხედვით, ქრისტიანობა ალბანელთა შორის უქადაგია წმიდა ნინოს, სხვა ცნობით კი უფლის ძმის იაკობის მოწაფეს ელიშეს // ელისეს.

ალბანელი ეპისკოპოსის **მოსე კალანკატუელის** მატიანის მიხედვით, მტკერის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა ალბანელთა მხარეები **არცახი** (ახლანდელი მთიანი ყარაბაღი) და **უტიქი** (ახლანდელი ბარის ყარაბაღი). V საუკუნის დასაწყისში დედაქალაქი გამხდარა მტკერის მარჯვნივ მდებარე **ფაიტაკარან-ბაილაკანი**, ხოლო იმავე საუკუნის შუა წლებში დედაქალაქად გამოცხადდა ქალაქი **ბარდავი // ბარდა // პარტავი** (ამ ქალაქის სახელს უკავშირდება ქართული გვარი **ბარდაველიძე**).

V საუკუნის მეორე ნახევარში სპარსელებმა გააუქმეს ალბანელთა სამეფო, რომელიც მალევე აღადგინა მეფე **ვაჩაგან III**-მ, მაგრამ VI საუკუნეში იგი კვლავ დაიპყრეს სპარსელებმა, ხოლო VII საუკუნის ბოლოს – არაბებმა, რომლებმაც დაპყრობილი ქვეყანა გააერთიანეს **არმენიის** სახელწოდებით შექმნილ ერცველ პოლიტიკურ წარმონაქმნში. ამ დაპყრობებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რანის **მართლმადიდებლური ქრისტიანობის** აღმსარებელი ადგილობრივი მოსახლეობა – სპარსელებისა და არაბებისათვის მიუღებელი იყო მართლმადიდებლობა, ვინაიდან იგი ასოცირდებოდა სპარსელთა და არაბთა მეტოქე ბიზანტიის სახელმწიფო რელიგიასთან. სამაგიეროდ **ჯერ სპარსელები, შემდგომ კი არაბები მფარველობდნენ ბიზანტიასთან კონფესიურად დაპირისპირებულ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას**. ამან ის გამოიწვია, რომ რანის მოსახლეობაში, ერთი მხრივ, დაიწყო ისლამის ძალდატანებით დანერგვა, მეორე მხრივ კი – არაბები არ ეწინააღმდეგებოდნენ სომხური ეკლესიის მიმძლავრებას რანელ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე.

მოსე კალანკატუელის მატიანის ცნობით, VII საუკუნის ბოლოს **უტიქის**, ანუ **გარდმანის** კათალიკოსად აღსაყდრებულა დიოფიზიტი (მართლმადიდებელი) **ნერსესი**, რომელსაც მხარს უჭერდა დედოფალი **სპარამი**. სომეხ კათალიკოს **ელიას** არ მოსწონებია დიოფიზიტების გაძლიერება რანში და არაბ ამირასთან დაუსმენია ნერსესი და სპარამი, ისინი ბიზანტიურ სარწმუნოებას ავრცელებენ, ხოლო ნერსესი ბიზანტიის იმპერატორს იხსენიებს ლოცვებშიო. განრისხებულმა ამირამ ჯარი გაგზავნა ქალაქ ბარდავში, რომელსაც სომეხი კათალიკოსიც თან ჩაჰყვა. არაბებმა შეიპყრეს ალბანელი კათალიკოსი ნერსესი და დედოფალი სპარამი, ისინი ერთმანეთს ჯაჭვით გადააბეს. ნერსესი წამების დროს გარდაიცვალა. არაბებმა და სომხებმა თავი მოუყარეს ალბანურ ენაზე დაწერილ, თუ თარგმნილ რელიგიურ ლიტე-

რატურას და ისინი მდინარეში გადაყარეს. ამ დროიდან დაიწყო მართლმადიდებლობის სასტიკი დევნა და ისლამისა და სომხური გრიგორიანობის ძალდატანებით დანერგვა:

699 წელს სომეხთა კათალიკოს ელიას თავმჯდომარეობით გამართულ კრებაზე გადაწყდა, რომ უტიქის კათალიკოსად უეჭველად გრიგორიანელი სასულიერო პირი უნდა არჩეულიყო და იგი უნდა ეკურთხებინა სომეხთა კათალიკოსს; აიკრძალა ალბანურ ენაზე წირვა-ლოცვა და გაბატონდა სომხურ ენაზე ღვთისმსახურება.

უკვე IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა ალბანელთა ნაწილის მასობრივი **ისლამიზაცია** და გრძელდებოდა მეორე ნაწილის **არმენიზაცია**. ამის შედეგად ნელნელა იკლო ალბანურ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობამ, რასაც თან მოსდევდა ეროვნული თვითშეგნების (იდენტობის) ცვლაც. თუმცა დროდადრო იცვლებოდა ვითარება. კერძოდ:

X საუკუნეში რანის დედოფალმა **დინარამ** შეძლო მართლმადიდებლობის აღდგენა რანსა და ჰერეთში, ხოლო აქაური ეკლესია შეუერთა ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას;

1010 წელს შეიქმნა **ჰერეთისა და რანის სამეფო**, რომელშიც შედიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე **რანიც**;

1104 წელს **დავით აღმაშენებელმა** ეს სამეფო საქართველოს სამეფოს შემოუერთა. ამის შემდგომ ქართველი მეფის ტიტულატურა ასე ჟღერდა: **მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა**.

რაც შეეხება მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რანის ნაწილებს – **არცახს, უტიქს, ხაჩენს**, ისინი კვლავ სომხური ეკლესიის გაელენის სფეროში დარჩა, რამაც გამოიწვია ამ მხარეების მოსახლეობის მიერ დედაენის საბოლოო დაკარგვა და მათი მთლიანი გასომხება.

მას შემდეგ, რაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ერთიანი ქართული სამეფო დაიშალა ჯერ ორ, შემდეგ კი სამ სამეფოდ, ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაძლიერდა უპირატესად ირანის ტერიტორიიდან შემოჭრილი სპარსული და მომთაბარე თურქული მოსახლეობის დასახლება, რამაც საბოლოოდ შეცვალა ენობრივი და ეროვნული ვითარება ისტორიული ალბანეთის მხარეებში:

ჯერ მტკვრის მარჯვენივ მდებარე მხარეთა გასომხებული მოსახლეობის ნაწილი გათურქდა, შემდეგ კი იგივე პროცესები დაიწყო მტკვრის მარცხენა მხარესაც, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ალბანელი ხალხის არსებობას.

მკვლევართა თვალსაზრისით, ისტორიული ალბანელების ამჟამინდელ მემკვიდრეებად მიიჩნევა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სამი დასახლებული პუნქტის – **ნიჯის, ოღუზის** (ყარაბაღის ომამდე ეწოდებოდა **ვართაშენი**) და **მირზაბელუს** მოსახლეობა, რომელიც საკუთარ ეროვნებას **უდი // უტი** სახელით აღნიშნავს (შდრ. ძველ წყაროებში მოხსენიებული **უტიქ**-ის მხარის სომხური მრავლობითი რიცხვის **-ქ** სუფიქსით გაფორმებული სახელწოდება).

უდიების ერთი ნაწილი, დაახლოებით 400 კაცამდე 1921 წლიდან ცხოვრობს საქართველოში, კერძოდ, ყვარლის რაიონის ჭიკაანის თემში შემავალ სოფელ **ზინობიანში** (ყოფილი **ოქტომბერი**). მათი წინაპრები **ზინობი სილიკაშვილის** ინიციატივით გადმოსახლდნენ 1920-1922 წლებში ვართაშნიდან.

კონფესიური თვალსაზრისით ზინობიანელი და ვართაშნელი უდიები **მართლმადიდებელი ქრისტიანები (დიოფიზიტები)** არიან, ნიჯელნი და მირზაბელუელნი – **გრიგორიანელი ქრისტიანები (მონოფიზიტები)**. ყარაბაღის ომის დროს მონოფიზიტი უდიების უმრავლესობამ დატოვა სამშობლო და რუსეთში გადასახლდა.

ამჟამად უდიების საერთო რაოდენობა 8 ათას კაცამდე აღწევს.


უდიური ენა ქართული ენის მონათესავე ენაა. იგი შედის **იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფში**. ამ ენას მოეპოვება საკმაოდ რთული ბგერიითი შემადგენლობა: **აქვს 51 ბგერა,** მათგან 13 ხმოვანი და 38 თანხმოვანი. გამოიყოფა 2 დიალექტი: **ნიჯური** და **ვართაშნული**. საქართველოში მცხოვრები ზინობიანელი უდიების მეტყველება ვართაშნულ დიალექტს განეკუთვნება.

ამჟამად უდიურ ენას დამწერლობა არ მოეპოვება, მაგრამ მიიჩნევა, რომ ძველ ალბანელთა დამწერლობაზე შესრულებული ჩვენს დრომდე მოღწეული ტექსტების ენა ძალზე ახლოსაა უდიურ ენასთან.

ალბანური ანბანი, რომელშიც ყოველ ასოს სომხურად მიწერილი აქვს მათი სახელწოდებანი, 1937 წელს აღმოაჩინა **ილია აბულაძემ** XV საუკუნის სომხური ენის გრამატიკის ტექსტში, სადაც ასეთივე წესით წარმოდგენილია ბერძნული, ლა-

თინური, ქართული, სირიული, კოპტური და არაბული ანბანები. ეს მონაცემები გამოიკვლია **აკაკი შანიძემ** და პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ალბანური ენის ბგერითი შედგენილობა უნდა ემთხვეოდეს უდიური ენისას.

1956 წელს სომეხმა მკვლევარმა ა. **კურდიანმა** მიაკვლია ალბანური ანბანის ასეთსავე ვარიანტს, ხოლო 1948-1952 წლებში აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში წყალსაცავის შენების დროს აღმოჩნდა რამდენიმე ალბანურენოვანი წარწერა.



ალბანური ანბანი XV საუკუნის სომხურ ხელნაწერში

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1994 წელს ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე მდებარე წმიდა ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში აკად. **ზაზა ალექსიძის** მიერ მიკვლეულ 170-გვერდიან **პალიმფსესტს**, რომლის **ზედა ტექსტი დაწერილია ქართულ ენაზე, ნუსხური დამწერლობით, ხოლო ქვედა ტექსტი — ალბანური ასოებით.** ქართველი და გერმანელი მეცნიერების ერთობლივი შრომის შედეგად უდიური ენის მონაცემების მეშვეობით ამჟამად უკვე ამოკითხულია 100-მდე გვერდი.

წიგნის ალბანური ნაწილი წარმოადგენს **ლექციონარს**[24] და **იოანეს სახარების** ტექსტს. როგორც ვარაუდობენ, ალბანური ხელნაწერი უნდა დაწერილიყო ალბანეთში, ხოლო ალბანური ეკლესიის სომხურ ეკლესიასთან მიერთებისა და მართლმადიდებელთა დევნის დაწყების შემდგომ, ანუ VIII საუკუნის დასაწყისის მერე იგი უნდა მოხვედრილიყო საქართველოში.

მეორე მოსაზრების მიხედვით, პალიმფსესტის ქვედა ტექსტი ალბანურ ენაზე დაიწერა პალესტინის ერთ-ერთ ალბანურ მონასტერში და იქიდან მოხვდა ქართულ სასულიერო პირთა ხელში.

ცნობები იმის შესახებ, რომ კავკასიის ალბანელებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, არის რამდენიმე ძველსომხურ ტექსტში, ზოგიერთ თხზულებაში კი ისიც წერია, ალბანელებსა და ქართველებს **მესროპ მაშტოცმა** შეუქმნა დამწერლობაო.

მეორე ჯგუფის წყაროებია: **კორიუნის "მაშტოცის ცხოვრება", მოვსეს ხორენაცის "სომხეთის ისტორია", ეროვნებით ალბანელი მოსე კალანკატუელის** (სომხურად: **მოვსეს კაღანკატუაცი**) **"ალვანთა ქვეყნის ისტორია", ღევონდის თხზულება, დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მასალები, ეღიშეს, სებეოსის, ანანია შირაკაცისა** და სხვათა თხზულებანი.

ამათგან ზოგ წყაროში აღინიშნება, რომ ალბანელებს დამწერლობა მესროპ მაშტოცმა შეუქმნა, მაგრამ **ღევონდი, ეღიშე, ანანია შირაკაცი და დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მასალები მესროპს არ ასახელებენ ალბანური დამწერლობის შემქმნელად**, რაც ფრიად საყურადღებოა, რადგან ზოგი ამ ცნობის ავტორი მესროპ მაშტოცის თანამედროვე იყო და უეჭველად უნდა სცოდნოდათ სომეხი განმანათლებლის ასეთი ღვაწლის შესახებ, თუკი ეს მართლა მოხდა.

ქართველმა მეცნიერებმა **ივანე ჯავახიშვილმა, რამაზ პატარიძემ, ზაზა ალექსიძემ, რომან ლოლუამ** დაასაბუთეს, რომ სომხურ წყაროთა ცნობების წინააღმდეგობრიობა გამოწვეულია იმით, რომ VII საუკუნეში მომხდარი განხეთქილება რელიგიურ საკითხებზე სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის აისახა ამ საუკუნის შემდგომ შედგენილ სომხურ ხელნაწერთა ტექსტებში შეტანილ ნაყალბევ ცნობებში, თითქოსდა მესროპ მაშტოცმა შექმნა არა მარტო სომხური, არამედ ქართული

[24] **ლექციონარი** ეწოდება კრებულს, რომელიც ლიტურგიისათვის განკუთვნილ **ბიბლიის** მონაკვეთებს შეიცავს. ლექციონარი შეიძლება ორ ტომადაც იყოს დაყოფილი: წერილთა კრებულად (ეპისტოლარიუმი) და სახარების ნაწილად (ევანგელიარიუმი).

და ალბანური დამწერლობებიც. ამ ცნობებს აბათილებს მრავალი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელთა ნაწილის შესახებ ზემოთ იყო საუბარი, როცა განვიხილავდით სომხური დამწერლობის ისტორიას. დავასახელებთ ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ფაქტსაც:

1. **ივ. ჯავახიშვილმა** დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ მესროპ მაშტოცის მოწაფე **კორიუნის** თხზულებაში ამგვარი ცნობა თავდაპირველად არ იყო, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ იმავე V საუკუნეში მოღვაწე სომეხი ავტორი **ლაზარ ფარპეცი** არ იხსენიებს ამგვარ ფაქტს, არადა იგი ხშირად ემყარება კორიუნის ცნობებს. ივ. ჯავახიშვილმა ისიც დაამტკიცა, რომ ცნობები, თითქოსდა მესროპმა შექმნა ქართული და ალბანური დამწერლობებიც, დასტურდება **მხოლოდ VII საუკუნის შემდგომ** შედგენილ ხელნაწერებში;
2. **ზაზა ალექსიძემ** ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ **"ეპისტოლეთა წიგნში"** აშკარად გვიანდელი ჩანართია ბოლო ნაწილი წინადადებისა: "საერთო ღვთისმსახურება დაგეიწესეს ჯერ ნეტარმა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა **და წიგნის ცოდნა სარწმუნოების გასაძლიერებლად**". ტექსტის ბოლო ფრაზა სინტაქსურად არ ეხამება ამ წინადადების წინა ნაწილს. გარდა ამისა, ამ ეპისტოლეს იმოწმებს X საუკუნის სომეხი ავტორი **უხტანესი**, მაგრამ მის მიერ ციტირებულ ტექსტში ეს წინადადება საერთოდ არ წერია;
3. XIII საუკუნის სომეხი მემატიანის **მხითარ აირივანეცის** თხზულებაში **ქართული დამწერლობის შემქმნელად მეფე ფარნავაზია დასახელებული**, ხოლო ალბანური დამწერლობის მესროპ მაშტოცის მიერ შექმნაზე სრულებით არაფერია აღნიშნული;
4. **ივ. ჯავახიშვილის** დამაჯერებელი ანალიზით გაირკვა, რომ **სომხური და ქართული დამწერლობების შექმნის პრინციპები ძირეულად განსხვავდება ერთიმეორისაგან**. გარდა ამისა, როგორც **რ. პატარიძემ** გაარკვია, სომხური ერკათაგირი აშკარად მომდინარეობს ეთიოპურ-სემიტური, ქართული და ბერძნული დამწერლობებისაგან. ამის საპირისპიროდ ქართული დამწერლობა უფრო ახლოსაა ჩრდილოეთ სემიტურ, კერძოდ, არამეულ ანბანთან, თუმცა მასაც ემჩნევა ბერძნულის გავლენა;
5. **რომან ლოლუას** მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ **ალბანური ანბანის შექმნა უნდა დაწყებულიყო მესროპ მაშტოცამდე**, მაგრამ მას საბოლოო სახე უნდა მიეღო მაშტოცის შემდგომ.


ალბანური დამწერლობის კვლევის ამჟამინდელ ეტაპზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ალბანური დამწერლობა იყო **კონსონანტურ-ვოკალური ტიპისა და შეიცავდა 52 გრაფემას**. ამ ასოთა ამოცნობა სხვადასხვაგვარად სცადეს ი. აბულაძემ, აკ. შანიძემ, ა. აბრამიანმა, გ. კლიმოვმა, ს. მურავიოვმა, მ. ღუკასიანმა, ზ. ალექსიძემ და სხვებმა, მაგრამ ბოლო დრომდე სადავო იყო, თუ რომელ ბგერებს აღნიშნავდა 17 ასო. ეს საკითხი 2010 წელს წარმატებით გადაჭრა **რომან ლოლუამ**.

რომან ლოლუას აზრით, ალბანურ დამწერლობას ცხადად ეტყობა **ბერძნული დამწერლობის გავლენის** კვალი, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:


1. ასოების ჯგუფი განლაგებულია ბერძნული ანბანის რიგის მიხედვით;
2. წერის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ;
3. არსებობს სპეციალური გრაფემები ხმოვნებისათვის;
4. **უ** ხმოვნის აღსანიშნად გამოიყენება **დიგრამა**, ანუ 2 ასო;
5. გრაფემებს აქვთ რიცხვითი მნიშვნელობები.

იმავე მკვლევრის დასკვნით, ალბანურ დამწერლობას ასევე ცხადად ემჩნევა **სომხური დამწერლობის გავლენაც**, რაზეც შემდეგი ნიშნები მიუთითებს:

1. ბერძნული ანბანთრიგის მიხედვით განლაგებულ ასოებს შორის დგანან იმ ბგერათა გადმომცემი ასოები, რომლებიც არ მოეპოვება ბერძნულ ენას;
2. სომხური და ალბანური ენებისათვის საზიარო, მაგრამ ბერძნულისაგან განსხვავებული ბგერების აღმნიშვნელ ასოთაგან სრულად ემთხვევა 5-5 ასოს ადგილმდებარეობა, არ ემთხვევა 4-4 ასოს ადგილი, ხოლო 5 ალბანური ასოს ბგერითი მნიშვნელობა ჯერ კიდევ დასადგენია.



კაკასიის ალბანური ანბანის ფონეტიკურ მნიშვნელობათა სისტემა



შენიშვნა. * (ვარსკვლავი) ალბანოლოგებს ასოზეპირად ეჩვენებათ ისეთად ვასიერთებულ ხმოვნებში დიდხანს ვერ ერკვეოდნენ ან ვერ ხედავდნენ.

* (ვარსკვლავი) ფონეტიკურ მნიშვნელობათა ცხრილში ჩვენ მიერ ნაკარნახევ გრაფემის ეროვნულ ლიტერატურაში აღნიშნულ ფონეტიკურ მნიშვნელობასთან შედარებით.

' დაკლიტიკურად ნიშნავს უთანხმოვნოდ ბგერებისათვის ვიდრე ნებით.

ალბანური ანბანის ბგერითი მნიშვნელობანი რ. ლოლუას მიხედვით

როგორც რ. ლოლუა მიიჩნევს, ალბანური დამწერლობა გრაფიკული (მოხაზულობის) თვალსაზრისით **უეჭველად ორიგინალური დამწერლობაა**, თუმცა მასში შეინიშნება **საერთო ელემენტები როგორც ქართულ ასომთავრულთან (უფრო მეტად), ისე სომხურ ერკათაგირთან (უფრო ნაკლებად)**:

1. ერთმანეთს ჰგავს ქართული ასომთავრულისა და ალბანური ანბანის რამდენიმე ასოს მოხაზულობა;
2. ერთმანეთს უახლოვდება ასოთა ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზების მქონე ასოთა წილი ქართულ ასომთავრულსა და ალბანურ ანბანში, რაც დამწერლობის **მონუმენტურობას** უზრუნველყოფდა: ასომთავრულში 37 ასო-

დან 19 ასოს (ე.ი. ნახევარზე მეტს) ჰქონდა ზედა, ან ქვედა ჰორიზონტალური ხაზი, ალბანურ ანბანში ასეთი ელემენტი ჰქონდა 52 ასოდან 30-ს, ანუ ნახევარზე მეტს, ხოლო ერკათაგირში ასეთი ელემენტი ჰქონდა 36-დან 11 ასოს, ანუ მესამედზე ნაკლებს;

3. ასომთავრულსა და ალბანურ დამწერლობაში ვერტიკალური ხაზისა და წრის (რგოლის) კომბინაციითაა მიღებული ასოთა დიდი ნაწილი: ასომთავრულში ხაზოვან-რგოლურ პრინციპზე იყო აგებული 37-დან 21 ასო, ალბანურში – 52-დან 28 ასო, ხოლო ერკათაგირში ასეთი ელემენტი მხოლოდ ბერძნულიდან მზამზარეულად გადმოღებულ ერთადერთ ასოს ჰქონდა.

ზემოთ წარმოდგენილი და სხვა ფაქტები იძლევა იმის სრულ საფუძველს, რომ დავასკვნათ:

კავკასიის ალბანური ანბანი არ მომდინარეობს სომხური ერკათაგირისაგან და იგი ვერ მიიჩნევა მესროპ მაშტოცის მიერ შექმნილ დამწერლობად, თუმცა თქმული არ გამორიცხავს სომხური დამწერლობის ზეგავლენას ალბანური ანბანის ცალკეულ ნიშან-თვისებათა გაჩენაზე.

ამიტომ მისაღებია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, **ალბანურ დამწერლობას ცხადად ეტყობა ბერძნული და ქართული დამწერლობების გავლენა, ხოლო მისი საბოლოო სახე უნდა ჩამოყალიბებულიყო სომხური ერკათაგირის შექმნის შემდგომ, ანუ V საუკუნეში, ან უფრო გვიან.**

თავი XIV.
ქართული სადამწერლობო სისტემა[25]

§1. ქართული სადამწერლობო სისტემა და მისი ვარიანტები

ჩვენში გავრცელებული ერთ-ერთი თვალსაზრისით, არსებობს ქართული სადამწერლობო სისტემის 3 სახეობა: **ასომთავრული (ანუ მრგლოვანი), ნუსხა-ხუცური (ანუ ნუსხური)** და **მხედრული**, მაგრამ ამ მოსაზრების ავტორები არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა პერიოდში არსებობდა ქართული სადამწერლობო სისტემის ის ვარიანტებიც, რომლებიც გამოიყენებოდა ქართველთა მეზობელი ზოგიერთი ხალხის ენებისთვისაც. ასეთ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს **ოსური და აფხაზური ენებისათვის შექმნილი სახეობები იმ დამატებითი ნიშნებითურთ, რომლებიც საჭირო იყო ამ ორი ენის ქართულისაგან განსხვავებული ბგერების გადმოსაცემად**. ამის გამო უფრო მართებულია ჩავთვალოთ, რომ ქართული სადამწერლობო სისტემა ისტორიულად წარმოდგენილი იყო 5 ვარიანტად:

1. **ასომთავრული,** ანუ **მრგლოვანი;**
2. **ნუსხა-ხუცური,** ანუ **ნუსხური;**
3. **მხედრული;**
4. **ოსური;**
5. **აფხაზური.**

ასომთავრულსა და ნუსხა-ხუცურს განმაზოგადებელ სახელად **ხუცურ დამწერლობას** უწოდებენ, ვინაიდან წარსულში ამ ვარიანტებს უპირატესად რელიგიური შინაარსის წიგნებისათვის იყენებდნენ.

უდავოა, რომ ზემოთ დასახელებული 5 ვარიანტიდან უძველესია ასომთავრული (მრგლოვანი), რომლისგანაც ჩამოყალიბდა ნუსხა-ხუცური, ნუსხა-ხუცურის განვითარების შედეგია მხედრული, ხოლო მხედრულის საფუძველზე შეიქმნა ოსური და აფხაზური ვარიანტები.

აქვე უნდა ვახსენოთ დაღესტანში გავრცელებული **ხუნძური ენისათვის** ასომთავრული და ნუსხური დამწერლობების დამატებითი ნიშნების გარეშე გამოყენების ფაქტებიც. ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შექმნის, აგრეთვე

[25] თაეის ავტორები – გ. გვანცელაძე და თ. გვანცელაძე.

ხუნძური ენისათვის ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცურის გამოყენების ზუსტი თარიღების შესახებ წერილობით წყაროებში ჯერჯერობით არ გამოვლენილა მონაცემები, ხოლო ოსური და აფხაზური ვარიანტების შექმნის დრო ზუსტადაა ცნობილი, კერძოდ:

ოსური ენისათვის მხედრული ანბანი პირველად გამოყენებულ იქნა XIX საუკუნის 10-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კარზე აღზრდილი ოსი განმანათლებლის **იოანე იალღუზიძის (გაბარაევის)** მიერ (1770-1830 წწ.), როცა მან ოსურ ენაზე თარგმნა და გამოსცა რამდენიმე რელიგიური შინაარსის წიგნი და დაწერა ისტორიული პოემა **"იალღუზიანი"**. მოგვიანებით, XIX საუკუნეში იყო რამდენიმე მცდელობა, გამოეყენებინათ ქართული მხედრული ანბანი ჩრდილოეთ კავკასიაში ოსურ ენაზე ქრისტიანული ღვთისმსახურების შესასრულებლად, შემდეგ კი ოსურ ენაზე მხედრულით დიდხანს არაფერი დაწერილა. ოსური ენისათვის მხედრულის მეორედ გამოყენება დაიწყო 1938 წელს, როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შემავალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მცხოვრები ოსებისათვის იმავე მხედრულის საფუძველზე შეიქმნა ახალი დამწერლობა, რომელიც გამოიყენებოდა 16 წლის განმავლობაში, 1954 წლის გაზაფხულამდე. ამ ახალ დამწერლობაში რამდენიმე სპეციფიკური ოსური ბგერის აღსანიშნად გამოყენებულ იქნა 5 დამატებითი ასო-ნიშანი: **ჲ, ჯ, ჹ, ჳ, ჶ**.

აფხაზური ენისათვის 1937 წლის 5 დეკემბერს ქ. სოხუმში აფხაზ და ქართველ მეცნიერთა, აფხაზ მწერალთა, პედაგოგთა და ჟურნალისტთა მონაწილეობით გამართულ საგანგებო თათბირზე დამტკიცდა ასევე ქართული დამწერლობის მხედრული ვარიანტის საფუძველზე **დიმიტრი გულიას, სიმონ ჯანაშიასა და აკაკი შანიძის** მიერ შექმნილი აფხაზური ანბანი, რომელიც გამოიყენებოდა 1938-1954 წლებში. აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად გამოყენებულ იქნა 6 დამატებითი ასო-ნიშანი: **ჲ, ჹ, ჯ, ჳ, ჴ, ჵ**.

ხუნძური ენისათვის ქართული ასომთავრული და ნუსხური დამწერლობების შემოღების ზუსტი თარიღი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. დაღესტანში მიკვლეულია 100-ზე მეტი წარწერა და რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც შესრულებულია უპირატესად ქართულ ენაზე, თუმცა გამოვლინდა

მხოლოდ ხუნძურ ენაზე შედგენილი ერთი წარწერა და ერთდროულად ორსავე ენაზე შედგენილი ორი წარწერა.

ხუნძური სიტყვების ჩასაწერად გამოყენებულია როგორც ასომთავრული, ისე ნუსხა-ხუცური დამწერლობები დამატებითი ნიშნების გარეშე.

ეს წარწერები თარიღდება VIII-XIV საუკუნეებით. შინაარსის მიხედვით ისინი ან სამშენებლო-ქტიტორული, ანდა სავედრებელი ხასიათისაა.

ამჟამად დაღესტანში მიკვლეულ ქართულ და ქართულ-ხუნძურ წარწერებს წარმატებით იკვლევს ხუნძი მკვლევარი **შაჰბან ჰაფიზოვი.**

საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ასომთავრულით და ნუსხურით შესრულებული რამდენიმე წარწერა აღმოჩნდა **ჩეჩნეთსა და ინგუშეთშიც.** მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩეჩნეთში გამოვლენილი ათზე მეტი წარწერა საყოფაცხოვრებო ნივთებზე (ფიალებზე, დოქებზე...): ესაა ქართული ასოებით ჩაწერილი ჩეჩნური მამაკაცის სახელები, რაც იმას ნიშნავს, რომ **წარსულში ყოფილა მცდელობები, ჩეჩნური სიტყვების საწერად ქართული დამწერლობის გამოყენებისა.**

§2. უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები

XX საუკუნის 80-იან წლებამდე მიიჩნეოდა, რომ ქართულ ენაზე შესრულებული უძველესი ტექსტები იყო პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად, იუდას უდაბნოში (უფრო ზუსტად, **ბირ-ელ-ყუთში**) იტალიელი არქეოლოგის **ვირჯილიო კორბოს** მიერ გამოვლენილი წმიდა თეოდორეს სახელობის ქართული ეკლესიის ასომთავრულით შესრულებული 3 წარწერა, რომლებიც ფერადი ქვებით (მოზაიკით) არის გამოყვანილი. ერთი მათგანი მოღწეულია დაუზიანებლად, მეორე და მესამე კი — ფრაგმენტების სახით.

მკვლევრების ნაწილი პალესტინის პირველ წარწერას, რომელშიც იხსენიებიან ანტონი აბაა[26], მოზაიკის ხელოსანი იოსია და იოსიას მშობლები, ათარიღებს 532-552 წლებით, მეორე და მესამე წარწერებს კი დაახლ. 440-იანი წლებით.

[26] სირიულად აბბა "მამას" ნიშნავს.

დამწერლობათმცოდნე **ელენე მაჭავარიანის** აზრით, პალესტინის მეორე და მესამე წარწერები შესრულებულია 433 წელს.

არსებობს სერიოზული საფუძვლები საიმისოდ, რათა პალესტინის (ბეთლემის) წარწერებიდან მე-2 და მე-3 წარწერები მაინც დათარიღდეს მე-4 საუკუნის 90-იანი წლებით. მკვლევარმა **ბესიკ სურცილავამ** ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ამ ორ წარწერაში ცოცხლად იხსენიებიან **მარუანი** (იგივე **პეტრე იბერი**), **მამამისი** და **პაპამისი**. ამ სამი ადამიანიდან ყველაზე ადრე, IV საუკუნის 90-იან წლებში გარდაცვლილა პეტრე იბერის პაპა, მეფე **ბაკურ დიდი**, რაც იმას ნიშნავს, რომ **პალესტინის ეს წარწერები შედგენილია მესროპ მაშტოცის მიერ 405 წელს სომხური დამწერლობის შექმნამდე, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა მეფე ბაკური, ანუ 390-400 წლებს შორის**. ჩვენი მხრივ უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს ფაქტი გულისხმობს **ქართულ ენაზე დამწერლობის არსებობას IV საუკუნის უფრო ადრინდელ პერიოდშიც, კერძოდ, ამ საუკუნის 50-იანი წლებიდან მაინც** – შორეულ პალესტინაში ქართული დამწერლობის გამოყენებამდე მას უეჭველად უნდა ჰქონოდა საქართველოში ხმარების ხანგრძლივი ტრადიცია.

პალესტინის წარწერებზე უფრო გვიანდელად მიიჩნევა **ბოლნისის სიონის** წარწერები, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლებამდე უძველეს ქართულ წარწერებად იყო მიჩნეული. მათგან ერთ-ერთი აკად. **აკაკი შანიძემ** 492-493 წლებით დაათარიღა. მოგვიანებით გადაისინჯა მაიი თარიღი. კერძოდ: **ე. მაჭავარიანი** და **მ. მღებრიშვილი** მათ 478-493 წლებით ათარიღებენ, **რ. ჰატარიძე** კი მიიჩნევს, რომ ერთი წარწერა შესრულებულია 357 წელს, მეორე – 392 წელს.

ოუ ადრე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებად პალესტინისა (ბეთლემისა) და ბოლნისის წარწერები ითვლებოდა, ეს მოსაზრება შეცვალა 1984 წელს დუშეთის რაიონის სოფელ **დავათში** აღმოჩენილმა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში ჩაშენებულმა სტელამ, ანუ ქვის სვეტმა. ეს ქვის სვეტი შედგება ერთმანეთისადმი ვერტიკალურად განლაგებული ორი ჩაღრმავებული მონაკვეთისაგან:

ზედა ნაწილზე ამოკვეთილია ორი მთავარანგელოზის გამოსახულება: **მიქაელი** (აწერია ქარაგმით: **მ̃ლ**) და **გაბრიელი**. მათ ხელთ უპყრიათ გრაგნილი, რომელზედაც სრულადაა ამოკაწრული ქართული ასომთავრული ანბანის ყველა ასო ანუ **ქართული აბეცედარიუმი**. ასოები განლაგებულია 6 სტრიქონად.

სვეტის ქვედა ნაწილზე გამოსახულია საერო სამოსში გამოწყობილი ორი პიროვნება – ორი ხელისუფალი. რაკი მთავარანგელოზები ფრთებდაშვებულნი არიან, ჩანს, ისინი ქვემოთ გამოსახულ პიროვნებებს აუწყებენ ღვთის ნებას (ღვთის გადაწყვეტილებას).

სტელის ზედა ნაწილზე ამოვეთილ ანბანში 3 ასოს – **კ**-ს, **ტ**-სა და **ჭ**-ს თავზე უზის ქარაგმის ნიშანი ტილდა, რაც წამკითხველს მიანიშნებს, რომ აქ ამ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობაა საქურადღებო. **კ** ასო ძველქართულ სისტემაში 20-ის სიმბოლო იყო, **ტ** – 300-ისა, **ჭ** კი – 5000-ისა. ამ რიცხვით მნიშვნელობათა ჯამი 5320-ს უდრის, ხოლო თუ გაეითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე 5604 წელი მოითვლებოდა, მაშინ 5604 – 5320 = 284. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დავათის ქვის სვეტის ანბანში მინიშნებულია **284 წელი**, რაც ემთხვევა ძვ.წ. 284 წელს, როცა მეფობდა **ფარნავაზ მეფე**, რომელსაც ქართული ტრადიციით მიეწერება ქართული დამწერლობის შექმნა.

დავათის ქვაჯვარზე კოდირებულია მეორე თარიღიც – **311 წელი**. აქვე მინიშნებული პირველი თარიღი – ძვ. წ. 284 წელი ფარნავაზ მეფის მიერ ოფიციალური სახელმწიფო დამწერლობის შემოღების წელი უნდა იყოს, მეორე თარიღი, ახ. წ. 311 წელი კი – ქართული დამწერლობის აღორძინების დრო.

მიაჩნიათ, რომ დავათის სტელაზე ამოკაწრული ანბანი 367 წელსაა შესრულებული, ხოლო მთლიანად სვეტის გამოსახულებას ათარიღებენ 362-381 წლებით.

დავათის სტელაზე ქართულ ასომთავრულ ანბანთან ერთად გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის აღორძინების თავისებური სცენა, რომლის მიზანი უნდა იყოს ქართული მწიგნობრობისა და წიგნის მთლიანად ჩაყენება ქრისტიანულ ეკლესიისა და ქვეყნის სამსახურში.

რ. პატარიძის აზრით, **დავათის სვეტის ხატი** და **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“** იგივეობრივი შინაარსის ძეგლებია. ორივე მათგანით ირკვევა, რომ ქართული წელთაღრიცხვა თავის დასაბამს იღებს ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღების დროიდან. სრულიად უეჭველია, რომ დავათის სტელას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქეს ქართული დამწერლობის ისტორიის რკეევის საქმეში.

ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 80-90-იან წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად **ნეკრესის წარწერების** აღმო-

ჩენას აკად. **ლევან ჭილაშვილის** მიერ. წარსულში ნეკრესი (ყვარლის რაიონი) წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს.

ნეკრესის ნაქალაქარში გამოელინდა სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა შემცველი სამი ფენა:

ქვედა ფენა წარმართობის დროინდელი სამლოცველო იყო სამარხებითურთ. ეს ფენა თარიღდება ძვ. წ. IV-II საუკუნეებით;

მეორე ფენა მაზდეანთა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველოა. დაახლ. ძვ.წ. II საუკუნეში აქ დაარსებულა ქ. ნეკრესი მაზდეანთა დიდი ტაძრითურთ, რომელიც მოქმედებდა ახ.წ. II-III საუკუნეებამდე. იქვე ყოფილა მაზდეანთა საფლავების წარწერიანი ქვები, რომლებიც მოგვიანებით გამოუყენებიათ მესამე ფენის შემადგენელი შენობების ასაგებად;

მესამე – ზედა ფენა შედარებით გვიანდელია, დაახლ. ახ.წ. IV-V საუკუნეებისა. იგი წარმოდგენილია მარნისა და დარღვეული სამარხების სახით. ზედა ფენის სასახლეების სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ წარწერიანი ქვები (მაზდეანთა საფლავის ქვები). **ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით, ნეკრესის წარწერები შესრულებული ჩანს სხვადასხვა დროს, დაახლ. ძვ.წ. IV – ახ.წ. III საუკუნეებს შორის.** მეცნიერთა ერთი ნაწილი არ იზიარებს ამგვარ დათარიღებას.

ნეკრესის წარწერებმა პირველად დოკუმენტურად დაადასტურა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა რეალურად არსებობდა ქრისტიანობამდელ პერიოდში და, შესაძლოა, იგი გამოიყენებოდა ძვ.წ. IV საუკუნიდან თუ არა, ქრისტიანობამდე გავრცელებამდე მაინც. ამით ამოიცსო ის ხარვეზი, რაც არსებობდა მანამდე, სანამ არ იყო მიკვლეული ახ.წ. V საუკუნემდე შექმნილი წერილობითი ძეგლები

ნეკრესის წარწერების აღმოჩენამ პალესტინის (ბეთლემის) მე-2 და მე-3 წარწერებთან ერთად საბოლოოდ და დოკუმენტირებულად უარყო ქართული დამწერლობის შექმნის სომხური მითი, რომლის მიხედვითაც ქართველებს დამწერლობა თითქოსდა მესროპ მაშტოცმა შეუქმნა – ეს სომეხი მოღვაწე ახ.წ. IV-V საუკუნეებში ცხოვრობდა, ქართული დამწერლობა კი მის მიერ სომხური დამწერლობის შექმნამდე კარგახნით ადრე რეალურად არსებობდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ სრულ, ან ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერება "ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი მატიანის ავტორის **ლეონტი მროველის** ცნობა **ფარნავაზ მეფის** ღვაწლის შესახებ:

"ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავითგანი. ამან განავრცო ენაჲ ქართული და არღარაჲ იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან (//მაშინ) შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული".

ქართული დამწერლობის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგი სხვა სახის წერილობითი მასალა. ეგულისხმობთ უძველეს **პალიმფსესტებს**, ანუ ისეთ ხელნაწერებს, რომლებიც თავიდან ერთ ტექსტს შეიცავდა, დიდი ხნის გასვლის შემდგომ კი ეს ადრინდელი ტექსტი მორეცხეს, ან გადაფხიკეს და ტყავზე ახალი ტექსტი დაწერეს ისე, რომ ადრინდელი ტექსტი მეტ-ნაკლებად ჯერ კიდევ იკითხება.

პალიმფსესტებიდან უძველესად მიიჩნევა **ხანმეტი ტექსტების შემცველი 2 ხელნაწერი**, რომლებიც დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და შეიცავს სახარების ტექსტს. აღნიშნულ ტექსტს ზოგი მეცნიერი ახ.წ. IV საუკუნეში შექმნილად მიიჩნევს.

ამ რამდენიმე წლის წინ იერუსალიმში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ფურტაველი ეპისკოპოსის **იოჰანე ქართველის** საფლავის ქვის წარწერა, რომელიც სავარაუდოდ V-VI საუკუნეებით თარიღდება. წარწერა გამოიკვლია **გიორგი გაგოშიძემ**.

§3. ქართულ ასოთა ცვლილებანი დროში

ტერმინი **ასომთავრული** დასტურდება XVI საუკუნიდან და აღნიშნავს ქართული სადამწერლობო სისტემის უძველეს სახეობას, რომელიც შექმნიდან უწყვეტად მოქმედებს დღემდე – მას ამჟამადაც იყენებს ქართული ეკლესია ფრესკების, ხატებისა და წიგნების ტექსტებში.

ასომთავრული	ნუსხური	მხედრული	რიცხვ. მნიშვნელობა	ასომთავრული	ნუსხური	მხედრული	რიცხვ. მნიშვნელობა
ⴀ	ⵀ	ა	1	ⴖ	ⵖ	ს	200
ⴁ	ⵁ	ბ	2	ⴗ	ⵗ	ტ	300
ⴂ	ⵂ	გ	3	ⴘ	ⵘ	ჳ	-
ⴃ	ⵃ	დ	4	ⴙ	ⵙ	უ	400
ⴄ	ⵄ	ე	5	ⴚ	ⵚ	ფ	500
ⴅ	ⵅ	ვ	6	ⴛ	ⵛ	ქ	600
ⴆ	ⵆ	ზ	7	ⴜ	ⵜ	ღ	700
ⴇ	ⵇ	ჱ	8	ⴝ	ⵝ	ყ	800
ⴈ	ⵈ	თ	9	ⴞ	ⵞ	შ	900
ⴉ	ⵉ	ი	10	ⴟ	ⵟ	ჩ	1000
ⴊ	ⵊ	კ	20	ⴠ	ⵠ	ც	2000
ⴋ	ⵋ	ლ	30	ⴡ	ⵡ	ძ	3000
ⴌ	ⵌ	ჲ	40	ⴢ	ⵢ	წ	4000
ⴍ	ⵍ	ნ	50	ⴣ	ⵣ	ჭ	5000
ⴎ	ⵎ	ჲ	60	ⴤ	ⵤ	ხ	6000
ⴏ	ⵏ	ო	70	ⴥ	ⵥ	ჴ	7000
ⴐ	ⵐ	პ	80	⴦	ⵦ	ჵ	8000
ⴑ	ⵑ	ჟ	90	ⴧ	ⵧ	ჰ	9000
ⴒ	ⵒ	რ	100	⴨	⵨	ჯ	10000

ქართული დამწერლობის 3 ძველი გრაფიკული ვარიანტი


ასომთავრული ქართული დამწერლობის ერთადერთი ვარიანტი იყო დაახლოებით IX საუკუნემდე, როცა მის პარალელურად გამოყენებას იწყებს ნუსხური დამწერლობა.

სიტყვა **ასომთავრული** მიანიშნებს იმაზე, რომ მასზე წერისას ასოები მთავრული, ე.ი. კაპიტალურ-მონუმენტური იყო. იგი არ იყოფოდა დიდ და მცირე ასოებად და ყველა გრაფემას ერთი ზომა ჰქონდა. ყველა ასო, ორის გარდა, იწერებოდა წარმოსახული კვადრატის ორ ხაზს შორის. ანბანის ამ სახეობაში არცერთო ასო არ არის დახრილი არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.


ტერმინ **ასომთავრულის** სინონიმია **მრგლოვანი**, რაც ამ სახეობის ასოთა მრგვალ ფორმებზე მიუთითებს. სახელი **მრგლოვანი** უფრო ადრე იხმარებოდა, ვიდრე **ასომთავრული**.

დაახლოებით VII საუკუნიდან ზოგი მრგლოვანი ასოს გრაფიკული ფორმები ცვლილებებს განიცდის და იქმნება ადრე არსებულ ასოთა ვარიანტები, ანუ **ალოგრაფები**. კერძოდ, ამ პერიოდიდან ასოთა მოხაზულობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

- შვიდი ასოს (Ⴑ – ბ, Ⴒ – ჟ, Ⴓ – კ, Ⴔ – ყ, Ⴕ – შ, Ⴖ – წ, Ⴗ – ჭ) ზედა ნაწილში შეკრული წრე გაიხსნა და მისი ადგილი ცალ მხარეს გახსნილმა რკალმა დაიკავა;
- Ⴚ – დ ასოს, რომელიც ადრე ყელის გარეშე იწერებოდა, მოგვიანებით ზედა ჰორიზონტალურ ხაზსა და წრეს შორის პატარა ყელი გაუჩნდა;
- დაიწყო ასოთა თანაბარი სიმაღლის მოშლაც – ზოგიერთ ასოს (**ბ, გ, ჯ, ფ, ქ, ჯ, წ, ჭ**) ვერტიკალური ღერძი დაუგრძელდა და ვეღარ თავსდებოდა ორხაზოვან სისტემაში.



ასომთავრულის, ანუ მრგლოვანის გრაფემათა განაწილება წარმოსახულ კვადრატში



ასომთავრულის გრაფიკული სისტემა ელენე მაჭავარიანის მიხედვით

სწორედ ამგვარმა ცვლილებებმა და წერის ტემპის აჩქარებამ, აგრეთვე საწერი მასალის ხასიათმა, სწრაფი წერის დროს ხელის აწევის რაოდენობათა შემცირების მოთხოვნილებამ, წერა-კითხვის უფრო ფართოდ გავრცელებამ და წიგნზე

მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვიეს IX საუკუნისათვის ასომთავრულისაგან ნუსხური დამწერლობის ჩამოყალიბება.

ასომთავრულით ნაწერი უძველესი წერილობითი ძეგლებია ნეკრესის, პალესტინის (ბეთლემის), ბოლნისის წარწერები და ხანმეტი სახარება, აგრეთვე ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის V საუკუნის, მცხეთის ჯვრის მონასტრის, უკანგორის, წყისის, ურბნისის წარწერები, ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლები, სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი და სხვა.

ნუსხური დამწერლობის სახელწოდება მომდინარეობს **ნუსხა** სიტყვისაგან, რომლის მნიშვნელობები იყო: "სწრაფად ნაწერი; დედანი; სია, ჩამონათვალი".

ნუსხურით შესრულებულ უძველეს ნიმუშებად მიიჩნევა ატენის სიონის 835 წლის წარწერა და ასომთავრულით ნაწერი სინური მრავალთავის 864 წლის ნუსხური ანდერძ-მინაწერი. ამ მრავალთავის მინაწერის გრაფიკული ფორმები იმდენად სრულყოფილია, რომ, ზოგი მეცნიერის აზრით, ნუსხური დამწერლობა IX საუკუნეზე ადრე უნდა შექმნილიყო.

აღსანიშნავია, რომ ნუსხური სახეობა, ერთი მხრივ, აშკარად ასომთავრულისაგან მომდინარეობს, მაგრამ ამასთანავე ძალიან განსხვავდება ასომთავრულისაგან. საქმე ისაა, რომ თუ ასომთავრულში ასოები მონუმენტური და სიმეტრიული იყო, ნუსხურს ეს თვისება უკვე აღარ აქვს. მასში ასოები იწერება არა წარმოსახული კვადრატის ორ წარმოსახულ ხაზს შორის, არამედ **წარმოსახული მაღალგვერდებიანი მართკუთხედის ოთხ წარმოსახულ ხაზს შორის,** ხოლო გრაფემათა თანაბარზომიერება შეცვალა სხვადასხვა ზომის ასოებმა, ანუ **გაჩნდა წერის ახალი წესი — ასოთა ტოლმეტობა.**

ასომთავრულისაგან ნუსხურის განმასხვავებელი ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ნუსხურში ცხრა ასო (ა, თ, ი, ლ, ი, ო, პ, ღ, ჰ) დაპატარავდა და მეორე და მესამე, ანუ წარმოსახულ შუა ხაზებში მოთავსდა;
- თექვსმეტი ასო (ბ, გ, ე, ვ, ჟ, ტ, ჯ, ფ, ყ, შ, ც, წ, ჭ, ხ, ჴ, ჯ), რომელთაც კიდური დაუგრძელდა, მეორე, მესამე და მეოთხე ხაზებს შორის განაწილდა;

- შეიდი ასო (**დ, ზ, მ, ნ, რ, ს, ძ**) პირველ, მეორე და მესამე ხაზებს შორის იწერებოდა;
- ერთდროულად ზედა და ქვედა დაგრძელებული კიდურები მხოლოდ ოთხ ასოს (**ფ, კ, ქ, ჩ**) აქეს და ოთხხაზოვან ბადეს მთლიანად ავსებს.


ასოთა ტოლმეტობა ივანე ჯავახიშვილს წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდა, ვინაიდან ეროი და იმავე ზომის ასოები თვალს ღლის და მათ გარჩევას აძნელებს, სხვადასხვა ზომისანი კი, პირიქით, კითხვას აადვილებენ. გარდა ამისა, **ვერტიკალური ხაზებიცა და მთლიანად ასოებიც დაიხარა მარცხნიდან მარჯვნივ**. დახრილობა ძლიერდება იმ ასოებში, რომელთაც ზედა, ან ქვედა კიდურები აქვთ. გარდა ამისა, ნუსხური ასოები კუთხოვანი მოყვანილობისაა, რის გამოც ნუსხურს **კუთხოვან დამწერლობასაც** უწოდებენ.

ნუსხური ასოები გადაბმით იწერება. აღსანიშნავია, რომ ნუსხური დამწერლობის ასოთა მოხაზულობას გამარტივებისაკენ მიდრეკილება ემჩნევა მაშინ, როცა ასომთავრული ასოები ხელის რამდენიმე აღებით იწერებოდა. ნუსხურ ასოებში იგრძნობა ასოთა ერთიანი კონტურის შექმნის ტენდენცია, რაც კიდევ უფრო თვალშისაცემია ნუსხურის გამარტივებით მიღებულ მხედრულ დამწერლობაში. **ასომთავრულისაგან ნუსხურის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწრაფი წერის მოთხოვნილებას მიიჩნევენ.**

ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშებია ატენის სიონის 735 და 835 წლების წარწერები, სინური ლექციონარი, სინური ოთხთავი (978 წელი), ოშკის ბიბლია (978 წელი), ჭილ-ეტრატის იადგარი და სხვა.

ზოგ ხელნაწერში ტექსტის ნაწილი ნუსხურია, ნაწილი კი ასომთავრული (მაგალითად, სვანური მრავალთავი), ზოგ შემთხვევაში ასომთავრულით გადაწერილ ხელნაწერ ტექსტებში ცალკეული გამორჩენილი, ან დაზიანებული სიტყვები აღდგენილია ნუსხური დამწერლობით.

რაც შეეხება ტერმინს **ნუსხა-ხუცური**, მას იყენებენ იმის ხაზგასასმელად, რომ ნუსხური წარმოადგენს **ხუცური (ანუ სასულიერო) დამწერლობის**, ე.ი. ასომთავრულისა და ნუსხურის ერთ-ერთ სახეობას.




ნუსხურით ნაწერი ხელნაწერის ფრაგმენტი.

ყოველი სტრიქონის პირველი, ანუ საზედაო ასოები ასომთავრულია

მხედრული დამწერლობა ნუსხურის განვითარების ნაყოფია. მისი გამოყენებით შესრულებული უძველესი ტექსტები უკვე X საუკუნიდან სისტემატურად გვხვდება.

მხედრული ვარიანტი ნუსხური ასოების კიდევ უფრო გამარტივების გზითაა მიღებული.

მხედრულის ადრეული ნიმუშებიდან უძველესად ატენის სიონის ერთ–ერთი წარწერა ითვლება, რომელსაც **ზაზა ალექსიძე** და **გურამ აბრამიშვილი** 982–986 წლებით ათარიღებენ. უძველესია აგრეთვე XI საუკუნეში შესრულებული ბაგრატ IV-ის ორი სიგელი (შიომღვიმისა და ოპიზისა).



მეფე ბაგრატ IV-ის ხელრთვა XI საუკუნის სიგელზე

მხედრული დამწერლობით შესრულებული ადრეული ძეგლები ძირითადად იურიდიულ საბუთებში, ხელნაწერთა მინაწერებსა და წარწერებშია წარმოდგენილი.

ტერმინი **მხედრული** პირველად XIV საუკუნეში დასტურდება. ეს სიტყვა გამოიყენება **ხუცურის** საპირწონედ – მინიშნებულია, რომ ხუცურით იწერებოდა უპი-

რატესად რელიგიური ტექსტები, ხოლო მხედრული საერო დანიშნულების დამწერლობა იყო. დროთა განმავლობაში მხედრულმა თანდათან ჩაანაცვლა ნუსხური. ზოგჯერ სასულიერო წიგნებიც იწერებოდა მხედრული ანბანით, რადგან საერო პირების ნაწილმა არ იცოდა ნუსხური.

ნუსხურ დამწერლობას ამჟამადაც იყენებენ რელიგიური ლიტერატურის გამოსაცემად.


ქართული ბეჭდური მწიგნობრული შრიფტები მხედრული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა: 1709 წელს კაეკასიაში დაბეჭდილი პირველი წიგნის – სახარების ქართული თარგმანის ძირითადი ტექსტი ნუსხურია, საზედაო ასოები კი – ასომთავრული.

მხედრულს ახასიათებს თითქმის კუთხოვანი ფორმების მქონე ნუსხურთან შედარებით ასოთა ფორმების მეტად მომრგვალება. **ნუსხურის მსგავსად, მხედრულშიც ასოები იწერება წარმოსახული მაღალგვერდებიანი მართკუთხედის ოთხხაზოვან ბადეში.**

თავიდან მხედრულის ასოთა მოხაზულობა ძალიან ჰგავდა ნუსხურს, მაგრამ შემდგომ მათი ფორმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამის გამო ძირითად ასოთა მოხაზულობები მკვეთრად დაშორდა ნუსხურს, შეიცვალა რამდენიმე ასოს განლაგება ოთხხაზოვან სისტემაში. მაგალითად:

- **ბანმა** ზემოთ აიწია და პირველ–მესამე ხაზებს შორის მოთავსდა;
- **დონმა** პირიქით — ქვემოთ ჩამოიწია და მესამე–მეოთხე ხაზებში მოექცა;
- **ვინის** სამი კბილი გაერთიანდა;
- **კანს** ზედა კიდური თანდათანობით დაუმოკლდა;
- **ლასს** პირველი კბილი ქვემოთ ჩამოუგრძელდა;
- **ონი** 180 გრადუსით ამოტრიალდა და სხვა.

მხედრულის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი წერის ტემპის აჩქარება და გადაბმული წერისკენ მიდრეკილება იყო. გარკვეული როლი შედარებით იაფი საწერი მასალის, კერძოდ, ქაღალდის ფართო გაერცელებამაც ითამაშა.



ასო <u>ლასის</u> ცვლილებები ასომთავრულიდან მხედრულამდე ე. მაჭავარიანის მიხედვით

შუა საუკუნეების მიწურულს იყო მცდელობა, მხედრულში შემოეღოთ სხვა ენებიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში დადასტურებული იმ ბგერათა აღმნიშვნელი ზოგი ასოც, რომლებიც არ ჰქონდა ქართულ ენას, მაგალითად, **ფ**, მაგრამ ეს ცდები წარუმატებლად დასრულდა. ასევე ვერ დამკვიდრდა ზოგი სხვა დამატებითი ასოც: **გ** (აღნიშნავდა ნეიტრალურ ხმოვანს), **უ** (აღნიშნავდა უმარცვლო **უ** ბგერას, ანუ **უ** ბრჭყვს), რომლებსაც ამჟამად იყენებენ ენათმეცნიერები ზოგ ქართულ დიალექტში არსებულ ბგერათა გადმოსაცემად.

XIX საუკუნის 60-იან წლებში **ილია ჭავჭავაძემ** და მისმა თანამოაზრე ახალგაზრდებმა, რომლებსაც "თერგდალეულებს" უწოდებდნენ, ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ იმდროინდელ ქართულ სამწიგნობრო ენაში გამოიყენებოდა ისეთი 5 ასო, კერძოდ: **ჰ** (ჰე, ჰეი), **ი** (იოტა, ანუ მოკლე ი), **ჯ** (ვიე), **ჴ** (ხარი) და **ჵ** (ჰოე, ანუ ოჰი), რომელთა შესატყვისი ბგერები უკვე აღარ წარმოითქმოდა ქართველთა უმრავლესობის მეტყველებაში. ამის გამო ამ ასოთა სწორად გამოყენება უჭირდა სამწიგნობრო ენის მომხმარებელთა უდიდეს ნაწილს: წერისას ან უადგილოდ, ზედმეტად იყენებდნენ დასახელებულ ასოებს, ან გამოტოვებდნენ ხოლმე.

მხედრულში დასახელებული 5 ასოს არსებობა წარმოქმნიდა არა მარტო აღნიშნულ პრობლემას, რაც სამწიგნობრო ენის სწავლებასა და მართლწერას ეხებო-

და, არამედ **წერისა და წარმოთქმის დაშორების პრობლემასაც**, რაც დღემდე სერიოზულ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მრავალ სხვა ენაზე, მაგალითად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად წერისა და მეტყველებისას. ამ მომენტის გათვალისწინებით ილია ჭავჭავაძემ და "თერგდალეულებმა" მოახდინეს ქართული სამწიგნობრო ენის უმნიშვნელოვანესი რეფორმა – ხმარებიდან ამოიღეს ზედმეტად ქცეული 5 ასო, რამაც **მოხსნა მანამდე არსებული ყველა პრობლემა: სწავლებისა, მართლწერისა, წერისა და წარმოთქმის დაშორებულობისა.**

ამ რეფორმის ნიადაგზე **ქართული სამწიგნობრო ენა იმ მცირერიცხოვან და უნიკალურ ენათა შორის აღმოჩნდა, რომლებშიც მოიპოვება ბგერათა და ასოთა ზუსტად ერთი და იგივე რაოდენობა, ხოლო უკლებლივ ყველა სიტყვა იწერება ზუსტად ისე, როგორც გამოითქმის და ნაწერი იკითხება ზუსტად ისე, როგორც იწერება.**

ილიასეულმა რეფორმამ თავდაპირველად ქართველ საზოგადო მოღვაწეთა უფროსი თაობის წარმომადგენლების განრისხება გამოიწვია. მათ მიიჩნიეს, რომ ახალმა თაობამ ხელყო ქართული სამწიგნობრო ენის სიწმინდე. გაიმართა "მამათა და შვილთა ბრძოლის" სახელით ცნობილი საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე დისკუსია, რაც საბოლოოდ ახალი თაობის სრული გამარჯვებით დასრულდა. ბოლოს უფროსი თაობის წარმომადგენლებმა მიიღეს ეს რეფორმა.

ცალკე უნდა შეეხოთ ქართულ სადამწერლობო სისტემაში **ლიგატურების** წარმოქმნის საკითხს. როგორც უკვე ითქვა, ლიგატურა ეწოდება ისეთ ერთმანეთს შერწყმულ ასო-ნიშანთა ჯგუფს, რომელიც ერთზე მეტ ბგერას აღნიშნავს. ამგვარი ნიშნები დასტურდება მსოფლიოს მრავალ დამწერლობაში, მათ შორის ქართულშიც, სადაც ისინი გაჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართულ სადამწერლობო სისტემას ასომთავრულის გარდა სხვა ვარიანტი არ მოეპოვებოდა. ქართული ლიგატურები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ანბანში არსებულ ასოთა ერთ ნიშნად შერწყმას.

მაგალითად, **V საუკუნის "ანაგ-კახაის" ძეგლსა და VI საუკუნეში მოჭრილ ქართულ მონეტაზე** წარმოდგენილია ლიგატურა  , რომელიც იკითხება როგორც **გნ** და მიღებულია შერწყმული ასომთავრული **გ** და **ნ** ასოებისაგან და ა.შ.

ლიგატურები დასტურდება მოგვიანებითაც, ნუსხურ და მხედრულ ვარიანტთა საფუძველზე. ერთ შემთხვევაში ლიგატურა იმდენად **მოსახერხებელი** გამოდგა, რომ ამ გზით ქართულ ანბანს სრულიად ახალი ასო-ნიშანი ჩაემატა: **უ** ხმოვანი

თავდაპირველად ბერძნული ანბანის მიბაძვით ორი ასოთი, ანუ დიგრამით იწერებოდა: **Ωϒ** (ოჳ), შდრ. **უ** ხმოვნის ბერძნული დიგრამული დაწერილობანი: **ΟΥ** და **ου** (ზოგ ენაში, მაგალითად, ფრანგულში **უ** ხმოვნის დიგრამით აღნიშვნა ამ ბგერის გადმოცემის ერთადერთი გზაა: **უ** იწერება როგორც **OU // ou**). დროთა განმავლობაში წერის ტემპის აჩქარებამ ავტომატურად წარმოშვა ქართულ'ში ლიგატურა, რომლისგანაც საბოლოოდ მივიღეთ მხედრულის **უ** ასო.

ქართულ დამწერლობაში სხვადასხვა პერიოდში არსებობდა **4 დეკორატიულ-სტილური ვარიანტი:**

1. **კიდურწაისრული;**
2. **კიდურწერტილოვანი;**
3. **კიდურყვავილოვანი** და
4. **დედაბრული.**

ამათგან პირველი სამი ვარიანტი ასომთაერულის დეკორატიულ-სტილური ქვესახეობებია, ხოლო მეოთხე – მხედრულისა.

კიდურწაისრული ასომთავრულის თავისებურება ისაა, რომ მასში ნებისმიერი ასოს კიდურა ნაწილზე და ქარაგმის აღმნიშვნელი ხაზის ორივე ბოლოში გამოჰყავდათ ისრისპირის მსგავსი წანაზარდი. ეს სახეობა გავრცელებული იყო X-XIII საუკუნეებს შორის.

კიდურწერტილოვან ასომთავრულში ნებისმიერი ასოს კიდურა ნაწილზე და ქარაგმის აღმნიშვნელი ხაზის ორივე ბოლოში წერდნენ მსხვილ წერტილებს. ქვაზე წერისას წერტილის ფოსოს ამოაღრმავებდნენ, ხოლო ეტრატზე, ან ქაღალდზე წერისას მელნით გამოჰყავდათ მსხვილი წერტილები. **კიდურწერტილოვანი ვარიანტით შესრულებული უძველესი ტექსტია იშხნის მცირე ტაძარზე გამოყვანილი გურგენ მეფეთა მეფის 1006 წლის წარწერა.** ეს სტილი დასტურდებოდა XVIII საუკუნის ჩათვლით.

კიდურყვავილოვანი ასომთავრული იმით განსხვავდება კიდურწერ-ტილოვანისაგან, რომ ამ ვარიანტში ასოების კიდეებსა და ქარაგმის ხაზის ბოლოებზე გამო-

ისახებოდა ფოთლის, ან ყვავილის სტილიზებული გამოსახულება. ეს ვარიანტი უკვე XI საუკუნიდან დასტურდება.

XIX საუკუნიდან საქართველოს ზოგიერთ მხარეში (გურიაში, აჭარაში...) თითქმის ჩვენს დრომდე გამოიყენებოდა მხედრული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი კიდევ ერთი გრაფიკული სტილი, რომელსაც აკად. სიმონ ჯანაშიამ **დედაბრული ხელი** უწოდა იმის გამო, რომ ამ ვარიანტზე უპირატესად ქალები წერდნენ. დედაბრულ ხელს ახასიათებს ასოთა კუთხოვანება, ასოთა ნაწილი ჰგაგს ადრეულ მხედრულ ასოებს, ზოგჯერ ჩართულია ნუსხური ასოებიც. არსებობს მოსაზრება, რომ დედაბრული ხელი უნდა გაჩენილიყო XIX საუკუნეზე გაცილებით ადრე.

XX საუკუნეში, კერძოდ, 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნების შემდგომ ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ქართველური დიალექტების, ქართულის მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა (იგულისხმება აფხაზურ-აბაზური, ჩერქეზული, ჩეჩნურ-ინგუშური და დაღესტნის ენები), აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე და მეზობელ ქვეყნებში გავრცელებულ სხვა ენათა (სომხურის, ოსურის, არაბულის, სპარსულის, თურქულის, სირიულის, ებრაულის) სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტად აღიარებამ თავისთავად წარმოშვა აუცილებლობა იმისა, რომ ქართულ ენაზე დაწერილ სამეცნიერო ნაშრომებში იმ ბგერათა აღსანიშნავად, რომლებიც არ მოეპოვება ქართულ ენას, შექმნილიყო მხედრულზე დაფუძნებული **სატრანსკიფციო სისტემა**, რომელშიც გამოყენებულია მხედრულ ასოებზე მიმატებული დიაკრიტიკული ნიშნები. ამ სისტემით აღინიშნებოდა და აღინიშნება 221 სპეციფიკური ბგერა. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ნიშანთა ნუსხას:

1. ა ასოსაგან მომდინარე: ა ⴰ ⴱ ⴲ ⴳ ⴴ ⴵ ⴶ ⴷ ⴸ ⴹ ⴺ ⴻ.
2. ბ ასოსაგან მომდინარე: ⴲ;
3. გ ასოსაგან მომდინარე: ⴳ ⴴ ⴵ ⴶ; ამავე გ ასოსაგან მომდინარეობს ⴼ.
4. დ ასოსაგან მომდინარე: ⴷ ⴸ ⴹ;
5. ე ასოსაგან მომდინარე: ⴻ ⴼ ⴽ ⴾ ⴿ ⵀ ⵁ ⵂ ⵃ;
6. ვ ასოსაგან მომდინარე: ⴽ ⵄ;

7. ზ ასოსაგან მომდინარე: ზ ზ ზ;

8. თ ასოსაგან მომდინარე: თ თ თ;

9. ი ასოსაგან მომდინარე: ი ი ი ი ი ი ი;

10. კ ასოსაგან მომდინარე: კ კ კ კ კ;

11. ლ ასოსაგან მომდინარე: ლ ლ ლ ლ ლ ლ ლ;

12. მ ასოსაგან მომდინარე: მ;

13. ნ ასოსაგან მომდინარე: არ არსებობს;

14. ო ასოსაგან მომდინარე: ო ო ო ო ო ო ო ო ო ო ო;

15. პ ასოსაგან მომდინარე: პ პ;

16. ჟ ასოსაგან მომდინარე: ჟ ჟ ჟ ჟ;

17. რ ასოსაგან მომდინარე: არ არსებობს;

18. ს ასოსაგან მომდინარე: ს ს ს ს ს ს ს ს ს ს;

19. ტ ასოსაგან მომდინარე: ტ ტ ტ;

20. უ ასოსაგან მომდინარე: უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ;

21. ფ ასოსაგან მომდინარე: ფ ფ ფ;

22. ქ ასოსაგან მომდინარე: ქ ქ ქ ქ ქ ქ ქ ქ;

23. ღ ასოსაგან მომდინარე: ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ;

24. ყ ასოსაგან მომდინარე: ყ ყ ყ ყ ყ ყ ყ ყ; ამავე ყ ასოსაგან მომდინარეობენ: ც ც ც;

25. შ ასოსაგან მომდინარე: შ შ შ შ შ შ შ შ;

26. ჩ ასოსაგან მომდინარე: ჩ ჩ ჩ ჩ ჩ ჩ ჩ ჩ;

27. ც ასოსაგან მომდინარე: ც ც ც ც ც ც ც ც;

28. ძ ასოსაგან მომდინარე: ძ ძ ძ ძ;

29. წ ასოსაგან მომდინარე: წ წ წ წ წ;

30. ჟ ასოსაგან მომდინარე: ჟ ჟ ჟ;

31. ხ ასოსაგან მომდინარე: ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ;

32. ჯ ასოსაგან მომდინარე: ჯ ჯ ჯ;

33. ჰ ასოსაგან მომდინარე: ჰ ჰ ჰ ჰ ჰ ჰ ჰ ჰ;

34. ჴ ასოსაგან მომდინარე: ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ ჴ;

35. ჵ ასოსაგან მომდინარე: ჵ ჵ;

36. ჶ ასო და მისგან მომდინარე: ჶ ჶ ჶ;

37. რუსული ф ასოსაგან მომდინარე: ф;

ამ სატრანსრიფციო ნიშნების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართულ სადამწერლობო სისტემას დიდი შესაძლებლობები აქვს და იგი წარმატებით ემსახურება ქართულ მეცნიერებასაც.

§4. ქართული დამწერლობის წარმომავლობის, შექმნის დროისა და შემქმნელის ვინაობის საკითხი

ქართული დამწერლობის წარმომავლობის, შექმნის დროისა და ავტორის ვინაობის საკითხზე წარსულში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობდა: ზოგი მკვლევარი ქართულ ანბანს არამეული, ეთიოპური, ფალაური, სომხური, ზენდავესტური (ან უბრალოდ ავესტური) დამწერლობებისაგან მომდინარედ მიიჩნევდა (ს. გორგაძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, დ. ფურცელაძე, ნ. ადონცი, ჰ. იუნკერი, ფრ. მიულერი, ი. ტეილორი...).

ამჟამად ამ მოსაზრებათაგან არცერთი არ არის გაზიარებული და არსებობს რამდენიმე **ქართული ვერსია** და **ერთი სომხური მითი**.

ბუნებრივია, დაისმის მთავარი კითხვები:

1. ვინ და როდის შექმნა ქართული დამწერლობა?
2. რა წყაროებს ემყარება სომხური მითი და ქართული ვერსიები?

3. რამდენად სანდოა ამ წყაროთა მონაცემები?
4. უჭერს თუ არა მხარს ამ ვერსიებსა და მითს თვით ქართული დამწერლობის უძველესი ისტორიული ვარიანტის – ასომთავრულის მონაცემები (ასოთა გრაფიკული ფორმები, მაოი ბგერითი და რიცხვითი მნიშვნელობანი, ასოთა სახელწოდებანი)?

ამ კითხვებზე ობიექტურ პასუხს გადამწყვეტი როლი ეკისრება პრობლემის გარკვევის საქმეში.

4.1. ქართული დამწერლობის შექმნის სომხური მითი და მისი კრიტიკული ანალიზი

სომხური მითის მიხედვით, ქაროველებისათვის დამწერლობა სომეხ განმანათლებელს **მესროპ მაშტოცს** (361-440 წწ.) შეუქმნია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ სომეხი მეცნიერების დიდი ნაწილი და უცხოელ მკვლევართა მცირე ჯგუფი.

დავიწყოთ მესროპ მაშტოცის ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ძველი წერილობითი წყაროების მიმოხილვით.

მესროპ მაშტოცის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ სომხურ და სხვა ენებზე არსებობს 30-მდე სხვადასხვა ძველი წერილობითი წყარო. მათგან ქრონოლოგიური თვალსაზრისით **პირველი ავტორი**, ვინც აღწერს მესროპის ბიოგრაფიას, არის თვით მაშტოცის მოწაფე და ბიოგრაფი **კორიუნი** (V ს. I ნახ.), რომელსაც ეკუთვნის თხზულება **"ცხოვრება მაშტოცისა"**. მიიჩნევა, რომ ეს თხზულება დაწერილი უნდა იყოს 443-454 წლებს შორის, თუმცა ჩვენს დრომდე **მოღწეულია მხოლოდ ამ თხზულების გვიანდელი, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეებში გადაწერილი 2 ხელნაწერი და XVII-XIX საუკუნეების რამდენიმე ხელნაწერი**, რაც ბუნებრივად წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად უცვლელადაა დაცული ამ ხელნაწერებში თხზულების თავდაპირველი, ავტორისეული ტექსტი.

სხვა წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია:

- **მოვსეს ხორენაცის** თხზულება "სომხეთის ისტორია". ამ ავტორს ზოგი მეცნიერი მესროპ მაშტოცის მოწაფედ მიიჩნევს, სხვები კი მას VII-XIX საუკუნეებს შორის მოღვაწე მემატიანედ მიიჩნევენ. თხზულების დრომდე

მოღწეული ხელნაწერებიდან უძველესია XIV საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერები;

- მესროპ მაშტოცის მოწაფის მოწაფის **ღაზარ (ლაზარ) ფარპეცის** "სომხეთის ისტორია" (V-VI სს.);
- ალბანელი ისტორიკოსის **მოსე კალანკატუელის** (სომხურად: **მოვსეს კალანკატუაცი**) სომხურ ენაზე შემონახული "ალბანთა ქვეყნის ისტორია", რომელიც დაწერილი უნდა იყოს VII-X საუკუნეებს შორის. ალბანური დედანი ჩვენამდე არ მოღწეულა;
- IX საუკუნის უცნობი ავტორის "წმიდა პატრიარქ საჰაკისა და ვარდაპეტ მაშტოცის ისტორია";
- **კარაპეტ სასნეცის** "წმიდა ვარდაპეტ მესროპის ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ" (XII-XIII სს.) და სხვ.

აკად. **ივანე ჯავახიშვილიდან** მოყოლებული ქართველმა მეცნიერებმა კრიტიკულად შეისწავლეს ამ სომხურ წყაროებში წარმოდგენილი ცნობები და მეტად საყურადღებო ფაქტები გამოავლინეს, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ **მითი მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის შესახებ თავდაპირველად არ ეწერა კორიუნის, მოვსეს ხორენაცისა და ლაზარ ფარპეცის თხზულებებში**. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ისიც, რომ **ეს მოსაზრება გაჩნდა რელიგიურ ნიადაგზე 608 წელს დასრულებული ქართველთა და სომეხთა განყოფის შემდგომ**, რასაც კულტურულ საკითხებზე გამართული მწვავე დისკუსიებიც მოჰყვა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ VII საუკუნის მერე სომეხი ავტორები ცდილობდნენ, ყოველნაირად "დავმტკიცებინათ" ქართველებისათვის ყოველივე სომხურის "უპირატესობა" ყოველივე ქართულზე. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დამწერლობის შემქმნელად სომეხი განმანათლებლის გამოცხადება დიდ იდეოლოგიურ კოზირად იქნებოდა მიჩნეული.

ივ. ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთა მიერ შენიშნული ეს გარემოებანი კონკრეტულ ფაქტებს ემყარება. სახელდობრ, ამას ადასტურებენ ზემოთ დასახელებულ სომეხ ავტორთა გვიან გადაწერილ ხელნაწერებში ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ გამოელენილი **ანაქრონიზმები**, ანუ **კონკრეტულ დროსთან შეუსაბამო დეტალები**, როცა ამბები და ამ ამბების მოქმედი პირები ვერ თავსდებიან მესროპ მაშტოცის თანამედროვეობის ფარგლებში.

მაგალითად, ამერიკელმა მეცნიერებმა **რიჩარდ ოვანისიანმა** და **რობერტ ტომსონმა** დაადგინეს, რომ **მოვსეს ხორენაცის "სომხეთის ისტორია"** საესეა ამგვარი ანაქრონიზმებით, რის გამოც რ. ოვანისიანი ამ წყაროს ადრეული სომხური ისტორიოგრაფიის **ყველაზე წინააღმდეგობრივ თხზულებადაც** კი მიიჩნევს. ორივე მეცნიერი ასახელებს შემდეგ წინააღმდეგობებს:

- V საუკუნეში მცხოვრები მოვსეს ხორენაცის სიტყვით, სომხეთის მმართველი არშაკიდების (არშაკუნიანების) სამეფო დინასტია თურმე დამხობილა მესროპის გარდაცვალების, ანუ 440 წლის შემდგომ, სინამდვილეში კი ეს ამბავი 428 წელს მოხდა. გამოდის, რომ მემატიანემ არ იცოდა მისი მასწავლებლის სიცოცხლეში მომხდარი სომხეთისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტი;
- ამავე მემატიანის ტექსტში აღინიშნება, რომ სპარსელები შეიჭრნენ ბითვინიაში, რაც რეალურად მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში მოხდა და მემატიანეს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა;
- ხორენაცის წიგნის ხელნაწერებში დასახელებულნი არიან თვით ავტორის გარდაცვალებიდან დიდი ხნის, 2-3 საუკუნის შემდეგ მოღვაწე ისტორიული პირები, ან იხსენიება ასევე გვიან წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულთა სახელწოდებანი, თუ სოციალურ ტერმინთა ჯგუფი, რომლებიც მაშტოცისა და ხორენაცის სიცოცხლეში არ არსებობდა;
- ხელნაწერებში ხოტბა ესხმის VIII საუკუნეში აღზევებულ ბაგრატუნის საგვარეულოს სომეხ მეფეებს;
- ხორენაცის მატიანის ტექსტში იხსენიებიან ხაზარები, რომლებიც V საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყვნენ ცნობილნი ამიერკავკასიაში და ა.შ.

რაც შეეხება **კორიუნის** თხზულებას, მას ბელგიელი კავკასიოლოგი **პაულ პეეტერსიც** არასანდო წყაროდ მიიჩნევდა მსგავსი მიზეზების, ანუ ტექსტში ანაქრონიზმების არსებობის გამო.

ქართველ მეცნიერთა ჯგუფს ისიც დადგენილი აქვს, რომ იმ ავტორთა ხელნაწერებში, რომლებშიც საუბარია მესროპის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე, ასევე **ბევრი წინააღმდეგობაა "ქართლის ცხოვრების" მონაცემებთან მიმართებაში**. მაგალითად, კორიუნის "მაშტოცის ცხოვრებასა" და მოვსეს ხორენაცის "სომხეთის ისტორიაში" წერია, თითქოსდა მაშტოცის დროს ქართლის მეფედ

ბაკური და მთავარეპისკოპოსად მოსე გეეცლინებოდნენ. **რეალურად კი IV საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა გარდაიცვალა ქართლის მეფე ბაკურ დიდი და განსაკუთრებით მაშტოცის მიერ სომხური დამწერლობის შექმნის, ანუ 405 წლის მომდევნო უახლეს წლებში არცერთ ქართველ მეფეს არ რქმევია ბაკური და არცერთი ეპისკოპოსი არ ატარებდა სახელად მოსეს,** უფრო ადრე კი მესროპი ქართულ დამწერლობას ვერ შექმნიდა თუნდაც იმიტომ, რომ ყველა წყაროში, სადაც ეს "ფაქტია" დასახელებული, ხაზგასმით აღინიშნება, რომ **მაშტოცმა ჯერ სომხური ანბანი გამოიგონა, მერე კი ქართული და ალბანური დამწერლობანი** და ა.შ.

ზემოთ დასახელებული და მრავალი სხვა მიზეზის გამო ობიექტური მკვლევრები თვლიან, რომ ხსენებული ძველი სომხური წერილობითი წყაროების ცნობათა თავდაპირველი შინაარსი უკიდურესად ტენდენციურად არის მოგვიანო ხანებში, რამდენიმე საუკუნის შემდეგ გადაკეთებულ-დამახინჯებული, რის გამოც სპეციალისტთა უმრავლესობა მათ უკრიტიკოდ არ ენდობა.

მკვლევარმა **ბესიკ ხურცილავამ** საგანგებოდ გამოიკვლია V საუკუნის სომეხი მწერლების, მესროპ მაშტოცის მოწაფეების კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის იმ ცნობათა ერთმანეთისადმი მიმართების საკითხი, რომლებშიც წერია, თითქოს მესროპმა ქართული ანბანიც შექმნა.

მკვლევარი ჯერ იმოწმებს კორიუნის თხზულების შემდეგ მონაკვეთს:

„[სომხური დამწერლობის შექმნიდან] გარკვეული ხნის შემდეგ ქრისტესთვის საყვარელმა [მაშტოცმა] იზრუნა აგრეთვე უცხო ქვეყნებზეც. **და შეუდგა იგი ივერთა ენის დამწერლობის შექმნას,** ღმრთისგან მისთვის ბოძებული მადლით. მან მოხაზა, დაალაგა და გააწყო როგორც ეგებოდა, და, თან იახლა რა ზოგიერთი თავისი საუკეთესო მოწაფეთაგან, გაუდგა გზას და მივიდა ივერთა ქვეყანაში. აქ ის **წარუდგა ივერთა მეფეს, სახელად ბაკურს, და ქვეყნის ეპისკოპოსს მოსეს.** მეფე და მხედრობა ყველა მხარესთან ერთად ღმრთის ბრძანებით მორჩილად უსმენდნენ მას. და ის, გადაშალა რა მათ წინაშე თავისი ხელოვნება, ასწავლიდა და არიგებდა მათ. და მათ ყველამ იეალდებულეს მისი [მაშტოცის] სურვილის აღსრულება. და [მაშინ] იპოვნეს **ერთი ივერთა ენიდან მთარგმნელი, წიგნიერი და მართლმორწმუნე კაცი, სახელად ჯალი.** შემდეგ ივერთა მეფემ ბრძანა, თავისი სამბრძანებლოს სხვადასხვა მხარეებიდან და ნაირგვაროვანი ოლქებიდან შეეკრიბათ ყრმები და მიებარებინათ მოძღვრისათვის [სასწავლელად]. ხოლო მან აიღო და შთაყარა ისინი მოძ-

ღვრების ქურაში და, სულიერი სიყვარულის მთელი ძალით ჩამოფხიკა მათ კერპებისადმი ეშმაკისეული და ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემის ავსუნიანი ჟანგი და ჭუჭყი, და ისე დააშორა ისინი წინაპართა გადმოცემებს, რომ მათ სრულიად დაივიწყეს მთელი თავიანთი წარსული და ამბობდნენ: **დავივიწყე მე ერი ჩემი და სახლი მამისა ჩემისა**. და აი, ისინი, რომლებიც შეკრებილნი იქნენ ცალკეული და დაქსაქსული ტომებისაგან, მან [მაშტოცმა] შეჰკრა ღვთიური აღთქმებით და **გადააქცია ერთი ღმერთის მადიდებელ ერთიან ხალხად**... მას შემდეგ, რაც ივერიაში ყველგან მოაწესრიგა [მაშტოცმა] ღმრთისმსახურების საქმე, ის დაემშვიდობა მათ, დაბრუნდა სომხეთის ქვეყანაში და, წარუდგა რა სომხეთის კათალიკოს საჰაკს, მოუთხრო მას ყოველივე ნამოქმედარის შესახებ, და მათ ერთად ადიდეს ქრისტე ღმერთი" (ხაზგასმა ჩვენია – გ.გ., თ.გ.).

ამის შემდეგ ბ. ხურცილავას მოჰყავს მოვსეს ხორენაცის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, რომელიც ბევრად უფრო მოკლე და შინაარსითაც განსხვავებულია:

„რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მინიჭებით მათაც **შეუქმნა დამწერლობა ვინმე ჯალისთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა**. [მესროპს] ხელს უწყობდნენ იმათი **მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი**. მან შეარჩია ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი [ორი] მოწაფეთაგანი, ტერ ხორძენაცი და მუშელ ტარონაცი" (ხაზგასმა ჩვენია – გ.გ., თ.გ.).

მესროპ მაშტოცის თანამედროვე ამ ორი ავტორის ცნობათა შედარების შედეგად ბ. ხურცილავა საესებით მართებულად გამოყოფს იმ **სერიოზულ და პრინციპულ წინააღმდეგობებს, რომლებიც შეინიშნება კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის ტექსტებს შორის**:

1. **კორიუნის** მიხედვით, ქართულ ანბანს მესროპ მაშტოცი ქმნის **ერთპიროვნულად**, სხვა ვინმესაგან დაუხმარებლად, **მოვსეს ხორენაცის** მიხედვით კი ქართული ანბანის შექმნაში მას ჰყავს **თანამონაწილე** ქართველი კაცის, ვინმე ჯალის სახით;
2. **კორიუნის** ცნობით, ქართულ ანბანს მესროპი ქმნის **იბერიის ფარგლებს გარეთ, სომხეთში** მისივე პირადი ინიციატივით და "მზა პროდუქტი" მოაქვს მცხეთაში. **მოვსეს ხორენაცის** მიხედვით კი ქართულ ანბანს მაშტოცი ქმნის

ადგილზე მისვლის შემდეგ, ანუ უშუალოდ იბერიაში (მცხეთაში). ამ საქმეში მისი ხელშემწყობნი არიან ქართლის მეფე და მღვდელმთავარი;

3. **კორიუნის** სიტყვით, ქაროველი ჯალი იყო განათლებული და მორწმუნე, **ქართული ენიდან მთარგმნელი** კაცი, ხოლო **მოვსეს ხორენაცის** მიხედვით, ჯალი **ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა.**

   <u>შენიშვნა:</u> ბ. ხურცილავას ამ დაკვირვებასთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან აქვე უნდა დავძინოთ, რომ რაკი იმ დროს, როცა მესროპი მცხეთაში ჩამოსულა, სომხური დამწერლობა ახალი შექმნილი იყო, ამ ენაზე ჯერ კიდევ არ იარსებებდა დიდი რაოდენობის ლიტერატურა. მაშ, **რას თარგმნიდა ჯალი სომხურიდან ქართულად?** ეს ერთი. საკითხავია სხვა რამეც: თუკი ქართული დამწერლობა მაშტოცამდე არ არსებობდა, **რომელი დამწერლობის გამოყენებით თარგმნიდა ჯალი ქართულად წიგნებს?**

4. **კორიუნის** მიხედვით, იბერთა მეფე ბაკურის ბრძანებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეკრიბეს ყრმები და მიაბარეს მესროპს. **მაშტოცმა** ისინი თავისი მოძღვრების ქურაში შეყარა, დააშორა წინაპრების ადათებს და სრულიად დაავიწყა წარსული, ხოლო **მოვსეს ხორენაცის** მიხედვით, ყრმები იბერიაში უშუალოდ მესროპმა შეარჩია, ორ ჯგუფად გაყო ისინი და მოძღვრებად **თავისი მოწაფეები** დაუყენა (ამ პირებს კორიუნიც იცნობს, მაგრამ არა კონკრეტულად მაშტოცის იბერიაში სტუმრობასთან დაკავშირებით);

5. **კორიუნის** ცნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ყრმები მაშტოცმა შეკრა ღვთაებრივი მცნებებით და გადააქცია ისინი ერთი ღმერთის მადიდებელ **ერთიან ხალხად**. იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ მაშტოცმა იბერიაში ყველგან **მოაწესრიგა ღმრთისმსახურების საქმე**. **მოვსეს ხორენაცის** ტექსტში **მსგავსი არაფერია ნათქვამი**. თუ კორიუნის ტექსტს ვირწმუნებთ, გამოდის, რომ მესროპ მაშტოცამდე ქართველები ჯერ კიდევ არ ყოფილან ერთ ერად შეკრულნი და არც ერთი ღმერთის რწმენა ჰქონიათ, რაც არ ეთანხმება ქართულ და სხვა ენებზე, მათ შორის სომხურ ენაზე არსებული წერილობითი წყაროების მონაცემებს და აშკარა გამონაგონია.

ამ წინააღმდეგობათა გათვალისწინებით **ცხადი ხდება** მხოლოდ ის, რომ მოვსეს ხორენაცის წყაროს არ შეიძლება წარმოადგენდეს კორიუნის თხზულების ამჟამად ცნობილი რომელიმე რედაქცია. **უდავოა, რომ კორიუნისა და მოვსეს ხო-**

რენაცის თხზულებათა ტექსტები უეჭველად დამახინჯებულია მოგვიანო პერიოდში არა ერთი და იმავე გადამწერ-რედაქტორის, არამედ სხვადასხვა პირის მიერ.

ამის აღიარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება იმის ახსნა, თუ რატომ სხვაობენ ასე მკვეთრად ვითომდა ერთსა და იმავე საუკუნეში მოღვაწე მწერლების (თვითონ მაშტოცის მოწაფეთა!) ცნობები მოცემულ საკითხზე. სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ეთქვათ, დასახელებული სომეხი მწერლები ისეთ პრინციპულ საკითხშიც კი ვერ თანხმდებიან, **ქართული ანბანი საკუთრივ იბერიაში შეიქმნა, თუ მის ფარგლებს გარეთ.**

ღოგორც უკვე ითქვა, სომხური წყაროების აღნიშნულ ცნობათა კრიტიკული ანალიზი ჩვენში პირველად ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა. შემდგომში **ზაზა ალექსიძის** მიერ VII საუკუნის დასაწყისში სომეხი კათალიკოსის **აბრაჰამ I-ის** მიერ გამოცემული **„ეპისტოლეთა წიგნის“** ტექსტში გამოელენილ იქნა მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე გვიანდელი ჩანართის არსებობის უცილობელი ფაქტი. ზ. ალექსიძემ "ეპისტოლეთა წიგნი" შეადარა X საუკუნის სომეხი ავტორის უხტანესის თხზულების შესაბამის ადგილთან და დაასაბუთა შემდეგი:

მითი მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სომხურ წყაროებში ცნობილი არ ყოფილა თვით X საუკუნეშიაც კი, ვინაიდან უხტანესი არ იცნობს ამგვარ ფაქტს.

მეტიც, როგორც ბ. ხურცილავა აღნიშნავს, ეს მითი ჯერ კიდევ არ არსებობდა XI საუკუნეში და **ქართული დამწერლობის შექმნის მას საფუძველი XII-XIII საუკუნეთა მიჯნასთან ახლოს მოღვაწე ანტიქართულად განწყობილი ვარდაპეტ იოვანე ვანაკანისა და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების (ვარდან არეველცის, კირაკოს განძაკეცისა და სხვ.) წრეში უნდა ჩაჰყროდა.**

იმის გამო, რომ **ჩვენს დრომდე მოღწეული არ არის კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებათა თავდაპირველი ტექსტები,** ამჟამად პრაქტიკულად შეუძლებელია მაოი სრულად დადგენა, მაგრამ ერთი რამ ცხადია:

ცნობები მესროპ მაშტოცის მიერ ქართველებისა და ალბანელებისათვის დამწერლობების შექმნის შესახებ არ ეკუთვნის არც კორიუნსა და არც მოვსეს ხორენაცის – **ეს ცნობები დაახლოებით XIII საუკუნემდე არ უნდა არსებულიყო,** რაზეც დამატებით კიდევ ერთი ფაქტი მიუთითებს:

XIII საუკუნის სომეხი ავტორი **მხითარ აირივანეცი** თავის "ქრონოლოგიურ ისტორიაში" თითქმის უცელქლად იმეორებს არა კორიუნისა და მოესეს ხორენაცის ცნობებს, არამედ **თითქმის სიტყვა-სიტყვით ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ინფორმაციას**, როცა წერს:

"პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა ექვსი ენისაგან შექმნა ქართული ენა, მანვე შეუქმნა დამწერლობა ამ ხალხს".

შდრ. ლეონტი მროველის ცნობა: **"და ეს ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაჲ ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენაჲ ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული".**

საყურადღებოა, რომ **ლეონტი მროველის ზუსტად იგივე ცნობაა** მოყვანილი XII საუკუნეში ანონიმის მიერ შესრულებული **"ქართლის ცხოვრების" სომხური თარგმანის** ტექსტშიც, სადაც ვკითხულობთ:

"ქართლოსის ნათესავთაგან პირველი მეფე იყო ფარნავაზი. მან უბრძანა მთელ ქვეყანას, რომ ელაპარაკათ ქართველთა ენაზე, და შეუქმნა წიგნი (= წერილი, ასო) ქართულ ენას".

ქართული დამწერლობის შექმნას მესროპის მიერ **სრულიად გამორიცხავს** ის გარემოება, რომ, კორიუნისა და სხვა ავტორთა ცნობით, მაშტოცს განათლება მიუღია კათოლიკოს ნერსე დიდთან, დედაენის გარდა კარგად სცოდნია სპარსული და სირიული ენები, ასო-ასო კითხულობდა ბერძნულად, ხოლო **ქართული და ალბანური არ სცოდნია**. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევრების დიდი ნაწილი, წარმოუდგენელია, რომ ენის უცოდნელად იმ შორეულ დროში ვინმეს შესძლებოდა ისეთ ენაზე დამწერლობის შექმნა, რომელსაც პრაქტიკულად ვერ ფლობდა.

რომან ლოლუამ დეტალურად გამოიკვლია და ერთმანეთთან შეადარა ის სომხური წყაროები, რომლებშიც არის ცნობები მესროპ მაშტოცის მიერ ვითომდა ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის შესახებ და ზემოთ დასახელებულ წინააღმდეგობათა გარდა **გამოავლინა კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც საფუძველს აცლის სომხური მითის სანდოობას**. მრავალთაგან მოვიხმობთ ზოგიერთ მომენტს:

I. კორიუნის თხზულებაში წერია, რომ მესროპი **ალბანეთში სომხეთიდან** გამგზავრებულა, ხოლო ალბანური დამწერლობის შექმნის მერე ალბანეთიდან წამოსულა **ივერიაში**, მოესეს ხორენაცის თხზულება კი გვეუბნება, მაშტოცი **ივერიიდან წავიდა ალბანეთში**, იქიდან კი **სომხეთში** გაემართაო;

2. **კორიუნის** წიგნში ნათქვამია, რომ **ალბანური დამწერლობის გავრცელება** დაწყებულა სომეხთა მეფის **არტაშეს ვრამშაპუჰის ძის** მმართველობის დროს, **ხორენაცის** წიგნი კი გვამცნობს, ეს მოხდა **ვრამშაპუჰის დროსო**. ალოგიკურია, ამ ორ ავტორს **ერთნაირად და აბსოლუტური სიზუსტით არ სცოდნოდათ** მესროპ მაშტოცის მოღვაწეობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტის დროითი ჩარჩოები, როგორიც მეზობელი ხალხისათვის დამწერლობის შექმნა უნდა ყოფილიყო...

ძალიან მნიშვნელოვანი და დასაბუთებულია რ. ლოლუას დასკვნა:

"XII-XIII საუკუნეები მართლაც უნდა იყოს Terminus ante quem [ქვედა დროითი ზღვარი – გ.გ., თ.გ.] მაშტოცის მიერ ალბანური და ქართული დამწერლობების შექმნის შესახებ წერილობით ცნობათა გაჩენისა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს... ის, რომ არ შემონახულა კორიუნისა და ხორენაცის ძველი ნუსხები: **კორიუნისა და ხორენაცის [თხზულებათა] ყველაზე ადრინდელი ხელნაწერები XIV საუკუნისაა**, ხოლო **ცნობები მაშტოცის მიერ ალბანური და ქართული დამწერლობების "შექმნის" შესახებ ჩნდება XIII საუკუნის ხელნაწერებში**, ანუ **სომეხ ავტორთა ნუსხებში ისინი არ არის XII საუკუნის ჩათვლით**" (ხაზგასმა ჩვენია – გ.გ., თ.გ.). მეტიც, როგორც რ. ლოლუა მართებულად აღნიშნავს, **ძველი ცნობები** მაშტოცის მიერ ალბანური და ქართული დამწერლობების შექმნის შესახებ **არ არსებობს არც სხვა ენებზე**.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული გარემოებანი სრულ საფუძველს ქმნის საიმისოდ, რომ სომხურ წყაროებში არსებული ცნობები ჩაითვალოს გვიანდელ სიყალბედ.

ფრიად საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოებაც, კერძოდ:

თუკი მესროპ მაშტოცმა მართლაც შექმნა ქართული და ალბანური დამწერლობები, მაშინ მას **სრულიად ლოგიკურად და ბუნებრივად უნდა გაეთვალისწინებინა სომხურ, ქართულ და ალბანურ ენებში დიდი რაოდენობის საზიარო ბგერათა არსებობის ფაქტი** – V საუკუნის ქართულსა და სომხურს საერთო ჰქონდათ 33

ბგერა: **ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ი, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ.**

ძველსომხურში ძველქართულთან შედარებით მეტი იყო და არის ნეიტრალური **g** ხმოვანი, კოშტი (მაგარი) **რ** და **f** თანხმოვანი, ხოლო ქართულში სომხურთან შედარებით ჭარბი იყო **ყ** და **ჭ** თანხმოვნები, დაახლოებით ამდენივე სომხურ-ქართულთან საზიარო ბგერა უნდა ყოფილიყო ალბანურ ენაშიც.

დიდი გონებამახვილობა არ დასჭირდებოდა იმის მოფიქრებას, რომ ერთსა და იმავე პირს სამჯერ მეტი დრო და ენერგია არ დაეხარჯა სამი ენისათვის საზიარო ბგერათა აღსანიშნად ერთმანეთისაგან განსხვავებული 3-3 ასოს მოსაფიქრებლად. საკმარისი იქნებოდა, თუ მესროპი ერთხელ შექმნიდა ამ 30-ზე მეტი საზიარო ბგერის აღმნიშვნელ ასევე საზიარო ასოებს და გამოიყენებდა მათ სამივე ენისათვის, ხოლო განსხვავებულ ბგერათა გადმოსაცემად გამოიგონებდა 20-ზე მეტ ახალ ასო-ნიშანს. შესაბამისად, მაშტოცს დასჭირდებოდა დაახლოებით 60-მდე ასოს მოფიქრება, ეს მას დროსა და ენერგიას დაუზოგავდა. რეალურად მესროპმა "მოიფიქრა" თითქმის სამჯერ მეტი ნიშანი, რაც არარაციონალური ქმედება იქნებოდა. სინამდვილეში **ეს გარემოება ირიბად ადასტურებს იმას, რომ სომეხ განმანათლებელს არანაირი დამსახურება არ მიუძღვის ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის საქმეში.**

ასევე უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოებაც: როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სომხური **ერკათაგირის ასოები იწერება წარმოსახული (ვირტუალური) მაღალგვერდებიანი მართკუთხედის** ზედა და ქვედა ხაზებს შორის, ქართული **ასომთავრული ასოები კი – კვადრატის** ზედა და ქვედა ხაზებს შორის, ანუ **ეს ორი დამწერლობა აგებულია სხვადასხვა ტიპოლოგიური წესების მიხედვით.** ისინი რომ ერთ კაცს შეექმნა, მაშინ ბუნებრივად და ლოგიკურად უნდა გამოეყენებინა ამ ორი სისტემიდან მხოლოდ ერთი: მართკუთხედი, ან კვადრატი.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ფაქტები საფუძვლიანად უარყოფს სომხური მითის ჭეშმარიტებას.

4.2. ქართული დამწერლობის შექმნის ქართული ვერსიები

ქართულ წერილობით წყაროებში ამ საკითხის შესახებ **ყველაზე ადრინდელი პირდაპირი და არაორაზროვანი ცნობა** მოეპოვება ქართველ მემატიანე **ლეონტი მროველს**, რომელიც "ქართლის ცხოვრების" შემადგენელ თავის თხზულებაში "ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" ძვ. წ. IV-III საუკუნეებში მოღვაწე ქართველი მეფის ფარნავაზის ცხოვრების შეჯამებისას წერდა:

"და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაჲ ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული".

ჩვენს დრომდე მოღწეული "ქართლის ცხოვრების" უძველესი ნუსხა, კახეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლის **ანა დედოფლის** დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერი თარიღდება 1479–1495 წლებს შორისი პერიოდით.

როგორც დადგენილია, ლეონტი მროველი თავისი მატიანის წერისას აქტიურად იყენებდა უფრო ადრინდელ წერილობით და ზეპირ ინფორმაციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ დამწერლობის შექმნის საკითხთან დაკავშირებითაც იგი ემყარებოდა როგორც ზეპირ, ისე წერილობით წყაროებს.

ზემოთ ციტირებულ მის ცნობაში ფარნავაზ მეფის უმთავრეს დამსახურებად ენასთან დაკავშირებული 2 საქმეა მიჩნეული ყველაზე მნიშვნელოვან ღვაწლად:

1. **ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფარნავაზს ქართული ენა საქმით უქცევია სახელმწიფო ენად;**
2. **მასვე შეუქმნია მწიგნობრობა, ანუ დამწერლობა ქართული ენისათვის.**

დღემდე არ არის ზუსტად ცნობილი, თუ კონკრეტულად რომელი აეტორის თხზულებიდან იცოდა ლეონტი მროველმა ეს ფაქტი.

მართალია, "ქართლის ცხოვრების" უძველესი ხელნაწერი, როგორც ზემოთ ითქვა, თარიღდება 1479-1495 წლების შუა პერიოდით, მაგრამ შემონახულია ამ წიგნის ერთი ნაწილის **ბევრად უფრო ადრინდელი ძველსომხური თარგმანიც**, რომელშიც თხრობა იწყება ისტორიამდელი ამბებით და მთავრდება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდით, კერძოდ, 1125 წლის მოვლენების აღწერით. როგორც **თე-**

დო ჟორდანიამ, ივანე ჯავახიშვილმა და **ილია აბულაძემ** დაადგინეს, ძველსომხური თარგმანი შესრულებულია XII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ თარგმანში სხვა ამბებთან ერთად მეფე ფარნავაზის მოღვაწეობაცაა ასახული. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ მასში შემდეგი წერია:

"Եւ էր Փառնաւազ առաջին թագաւոր յազգէն Քարթլոսայ. սա ետ հրաման ամենայն երկրին խաւսել զլեզուն Վրացն արար գիր լեզուին Վրաց".

ამ ცნობის ილია აბულაძისეული ქართული თარგმანი ასეთია:

"ქართლოსის ნათესავთაგან პირველი მეფე იყო ფარნავაზი. მან უბრძანა მთელ ქვეყანას, რომ ელაპარაკათ ქართველთა ენაზე, და შეუქმნა წიგნი (სომხ. გირ = წერილი, ასო) ქართულ ენაზე".

როგორც ვხედავთ, XII საუკუნის სომეხი მთარგმნელი, რომელიც ქართული მატიანის სხვა ადგილებს არცთუ იშვიათად ამოკლებს ხოლმე, ლეონტი მროველის ცნობას სრულად აწვდის სომეხ მკითხველს და არაფერს წერს მესროპ მაშტოცის შესახებ. მას შეეძლო შეემოკლებინა ტექსტის ეს ადგილი, გამოეტოვებინა ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ და ჩაემატებინა ცნობა მესროპის მიერ ქართული დამწერლობის თაობაზე, თუკი მან ამგვარი რამ იცოდა. რაკიღა ეს არ გააკეთა, იგი ან არ იცნობდა ქართულ ენაზე მწიგნობრობის შექმნის სომხურ მითს, ანდა საჭიროდ არ ჩათვალა მისი ჩამატება. ეფიქრობთ, უფრო რეალურია იმის დაშვება, რომ "ქართლის ცხოვრების" სომხურად მთარგმნელი არ იცნობდა სომხურ მითს, მით უმეტეს, რომ მის თანადროულ სომხურ წყაროებშიც სრული დუმილია დაცული ამ საკითხის შესახებ (იხ. ზემოთ რ. ლოლუას დასკვნა).

ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ არსებული ქართული ვერსიები სხვადასხვა მეცნიერის ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ თვალსაზრისებს მოიცავს, რომლებიც ზოგჯერ გამორიცხავენ კიდევაც ერთმანეთს. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ მოსაზრებათა ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს.

აკად. **ივანე ჯავახიშვილი** ვარაუდობდა, რომ ქართული დამწერლობა შეიქმნა ჯერ კიდევ ძვ.წ. VII საუკუნეში, ფარნავაზ მეფის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე **უშუალოდ ფინიკიური დამწერლობისაგან**. მისი აზრით, ლეონტი მროველის ცნობა-

ში მხოლოდ ისაა საყურადღებო, რომ მასში ქართული ანბანის შექმნის დროდ ქრისტეს შობამდელი პერიოდი იგულისხმება.

აკად. **კორნელი კეკელიძე**, რომელიც ქართული დამწერლობის ქრისტიანობის ხანაში ჩამოყალიბების ვარაუდს უჭერდა მხარს, არ ენდობოდა ლეონტი მროველის ცნობას, სამაგიეროდ, **უკრიტიკოდ იზიარებდა სომხურ მითს მცირედი "დაზუსტებით"**: მისი აზრით, მესროპ მაშტოცი ქართული ანბანის შექმნის საქმეში „ინსტრუქტორი" იყო. კ. კეკელიძის ვარაუდით, ასომთავრული 420-422 წლებში უნდა შექმნილიყო. მეცნიერის ეს მოსაზრებები არავის გაუზიარებია სათანადო არგუმენტების სისუსტის გამო.

აკად. **გიორგი წერეთელი** მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი **არამეული დამწერლობის არმაზული ვარიანტისაგან უნდა წარმოშობილიყო**. მისი ვარაუდის ნაკლი ისაა, რომ იგი არამეულ დამწერლობას აღარებდა არა ქართული ანბანის უძველეს სახეობასთან – ასომთავრულთან, არამედ ნუსხა-ხუცურთან. გ. წერეთლის ეს ჰიპოთეზა გაზიარებული არ არის, ვინაიდან დადგენილია, რომ ასომთავრული ქართული დამწერლობის ნამდვილად უძველესი სახეობაა, ნუსხა-ხუცური კი მისი განვითარების შედეგია.

მწერალმა **თამაზ ჩხენკელმა** გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ლეონტი მროველის ცნობა ნართაულად უნდა მიუთითებდეს ქრისტიანულ ხანაში შექმნილი ქართული ანბანის ნამდვილი ავტორის ვინაობაზე. საბუთიანობა ამ მოსაზრებასაც აკლია.

აკად. **თამაზ გამყრელიძე** ასომთავრულს **ბერძნულზე დამყარებულ ადრექრისტიანულ დამწერლობათა საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში ათავსებს**. იგი ვარაუდობს, რომ ცნობა ფარნავაზისგან მწიგნობრობის შექმნის შესახებ შეიძლება ნიშნავდეს წინაქრისტიანულ პერიოდში ფარნავაზის მიერ **ალოგლოტოგრაფიის, ანუ ჰეტეროგრაფიის (ე.ი. სხვა ენაზე წერის) წესის შემოღებას, რაც გულისხმობს ქართული ზეპირი ტექსტის ჩაწერას უცხო (სავარაუდოდ, არამეული) ენისა და დამწერლობის მეშვეობით**, თუმცა მეცნიერი არ ითვალისწინებს იმას, რომ ამგვარ წესს საგანგებოდ მოფიქრება სულაც არ სჭირდებოდა, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში ჩაწეროს ერთი ენის ტექსტი სხვა ენაზე არსებული ასოების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, განსხვავებით მეცნიერის წინა, ნაკლებდამაჯერებელი ვარაუდისაგან, ანგარიშგასაწევია აკად. თ. გამყრელიძის აზ-

რი, რომ **ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ბერძნული დამწერლობის ზეგავლენით,** რაზეც ქართულ ანბანში ასოთა განლაგების ფაქტი უნდა მიუთითებდეს: ქართულ ანბანთრიგში ასოთა პირველი ოცეული თითქმის უცვლელად იმეორებს ბერძნული ანბანის ასოთა რიგს, ხოლო ბერძნული ენისათვის უცხო სპეციფიკური ქართული ბგერების აღმნიშვნელი ასოები მოსდევს პირველი ოცეულის ასოებს (ეს სპეციფიკური ბგერებია: **ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ**). იგივე მკვლევარი ასევე მართებულად აცხადებს, რომ **გამოსარიცხია მესროპ მაშტოცის რაიმე როლი ქართული დამწერლობის შექმნის საქმეში, ვინაიდან მაშტოცმა არ იცოდა ქართული, რაც თავისთავად საეჭვოს ხდის მის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნის პროცესში.** პირიქით, როგორც თ. გამყრელიძე ხაზს უსვამს, **ქართულ ანბანს იქით უნდა მოეხდინა გარკვეული ზეგავლენა სომხურზე** და ამის ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს ქართულსა და სომხურში **ი** ხმოვნის აღმნიშვნელი ასო-ნიშნების სახელწოდებათა იდენტობის ფაქტი: ორივე ენაში ამ ასოს **ინ** ეწოდება.

ვფიქრობთ, საკითხის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია რამაზ პატარიძის, ელენე მაჭავარიანისა და ლევან ჭილაშვილის დასკვნები, რომლებსაც მოკლედ აქვე წარმოვადგენთ:

რამაზ პატარიძემ გაიზიარა ივანე ჯავახიშვილის ვარაუდის ზოგი არსებითი მომენტი. მისი აზრით, გრაფიკული შედარება ადასტურებს ქართული დამწერლობის წარმომავლობას **ფინიკიური ანბანისაგან,** ხოლო მისი შექმნის დროდ ძვ. წ. V საუკუნის მიწურულს მიიჩნევს. მისივე ვარაუდით, **მეფე ფარნავაზი ქართული დამწერლობის მხოლოდ რეფორმატორი იყო და არა შემქმნელი.** როგორც აღნიშნავენ, არსებითი სიახლე რ. პატარიძის გამოკვლევაში იყო ის, რომ მან ქართულ ასომთავრულს ძირითადი (ანუ წერითი) ფუნქციის გვერდით კალენდარული დანიშნულებაც დაუძებნა. ყველაზე მნიშვნელოვანია მისი დასკვნა:

„ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ დამწერლობის ქართული მონუმენტური სახეობა თანდათანობითი ევოლუციის შედეგად კი არ არის ჩამოყალიბებული, არამედ იგი შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად. ამასთანავე, ქართული მონუმენტური დამწერლობის შექმნისას გათვალისწინებულია, ზოგადად, მონუმენტური დამწერლობის ბერძნული გრაფიკული პრინციპები".

ქართული ანბანის აგების პრინციპის შესახებ ორიგინალური შეხედულებები წარმოადგინა **ელენე მაჭავარიანმა.** მისი აზრით, ასომთავრული პირობითობის

პრინციპზე, ე.ი. ხელოვნურად აგებული გრაფიკული სტრუქტურაა, რომელიც სათაეეს ხალხური არქიტექტურის ტრადიციებიდან იღებს. მისი ვარაუდით, **ქართული ანბანი ქრისტიანობამდელ ხანაში შეიქმნა, ქრისტიანობის საქართველოში გამარჯვების შემდეგ კი მან ზოგი ცვლილება განიცადა.** მეცნიერმა სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ **ქართული და სომხური დამწერლობების შემთხვევაში ასახულია მათი შემქმნელების მხრიდან მხატვრული ხედვის, ფორმათა გამოხატვის მკვეთრად განსხვავებული გრაფიკული სტილის გამოვლინების ფაქტი, რაც გამორიცხავს ამ ორი ანბანის შექმნას ერთი და იმავე პიროვნების მიერ.**

აკად. **ლევან ჭილაშვილმა** საკუთარი მოსაზრება ნეკრესის ნაქალაქარზე მის მიერ აღმოჩენილი წარწერების საფუძველზე ჩამოაყალიბა. კერძოდ, მან **ათი ასეთი წარწერიდან ცხრა წინაქრისტიანული (ე.ი. ახ. წ. IV საუკუნემდელი) ხანით დაათარიღა,** საკუთრივ ქართული ანბანი კი, მაზდეანთა სჯულის წიგნის – „ავესტას“ სათარგმნელად მეფე ფარნავაზის მიერ სპეციალურად შემოღებულ დამწერლობად მიიჩნია. მის ვარაუდს განამტკიცებს ნეკრესის ნაქალაქარის იმ ნაწილში აღმოჩენილი ზუსტად დათარიღებული ქრისტიანობამდელი არქეოლოგიური ნივთ-მტკიცებანი, რომელთა შორისაც აღმოჩნდა დასახელებული წარწერები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლ. ჭილაშვილის მოსაზრებას მხარი არ დაუჭირა ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა: ბესიკ ხურცილავამ, ბედისა შავიშვილმა და სხვებმა.

ამრიგად, **სრულიად უეჭველია, რომ ქართული დამწერლობა არ შეუქმნია და არც შეეძლო შეექმნა სომეხ განმანათლებელს მესროპ მაშტოცს. ეს სისტემა უდავოდ ქართველის შექმნილია. გარდა ამისა, არსებობს უფრო მეტი სერიოზული საფუძვლები საიმისოდ, რომ ქართული დამწერლობის შემქმნელად ფარნავაზ მეფე მივიჩნიოთ** – სხვაგვარად არ იხსნება ამის შესახებ ლეონტი მროველის პირდაპირი ცნობის არსებობა.

სხვა საკითხია, თუ რომელი სხვა დამწერლობის გაელენა ეტყობა ქართულ ასომთავრულს, რის შესახებაც ასევე განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს, რომელთაგანაც უფრო რეალურია მოსაზრებანი ბერძნული ანბანის გავლენის შესახებ ქართული ანბანის რიგზე და ზოგი ასოს (მაგალითად, Ⴍ, Ⴎ ასოთა) მოხაზულობაზე. გამოსარიცხი არ ჩანს აგრეთვე არამეული და ეთიოპური დამწერლობების ზეგავლენაც.

თავი XV.
დამწერლობა, რელიგია და პოლიტიკა[27]

ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში დამწერლობათა ჩასახვა დიდწილად დამოკიდებული იყო მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციასთან და კლასების წარმოქმნასთან, ტექნოლოგიების განვითარებასთან, რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა მწყობრი სისტემების ჩამოყალიბებასთან და სხვა ფაქტორებთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ჯერ ქალაქ-სახელმწიფოთა, შემდგომ კი უფრო მსხვილ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემათა არსებობასა და მათ ინტერესებსაც. ვრცელ ტერიტორიაზე გადაშლილი სახელმწიფოს მართვაში დიდი სარგებლობა მოჰქონდა დამწერლობის არსებობასა და მის გამოყენებას: დამწერლობა აადვილებდა მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენასა და სტატისტიკური მონაცემების დოკუმენტირებას, ხარჯებისა და შემოსავლების დეტალურ აღრიცხვას, ინფორმაციის სწრაფად და დაუმახინჯებლად გადაცემას სახელმწიფოს ერთი ნაწილიდან მეორეში, რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების სისტემატიზებას, მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

როგორც ვხედავთ, სრულიად უდავო ფაქტია, რომ **დამწერლობის შექმნამ და მისმა დახვეწა-განვითარებამ უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის პროგრესის საქმეში**, მაგრამ რა უცნაურიც უნდა იყოს, იგივე დამწერლობა მძლავრი იარაღი აღმოჩნდა ბოროტი ძალების ხელში და ეს პოლიტიკას უკავშირდება. ამ დებულების საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ ამგვარი სიტუაცია:

შორეულ წარსულში რომელიღაც ტომი გაძლიერდა, შექმნა საკუთარი ქალაქ-სახელმწიფო და გარკვეული დროის მერე შეძლო თავისივე ეროვნების მეზობელი ტომებისა და სხვა ქალაქ-სახელმწიფოების დამორჩილება. ახალ სახელმწიფოს უდავოდ დასჭირდებოდა გარკვეული სამართლებრივი ნორმების დადგენა იმის შესახებ, თუ ვის რა უფლებები და მოვალეობები უნდა ეკისროს, რა სასჯელი იარსებებს ამ უფლება-მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში, ვინ უნდა განიხილოს საკითხი დანაშაულის ზომისა და შესაბამისი სასჯელის შეფარდების შესახებ, ვინ გაასწორებს დაბალი კატეგორიის მსაჯულის შეცდომას და სხვ.

[27] თავის ავტორები – გ. გვანცელაძე და თ. გვანცელაძე.

რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე საზოგადოება ცოდნას ამ ნორმებისა და სასჯელის შესახებ ზეპირად გადასცემდა თაობიდან თაობას, მაგრამ დროთა განმავლობაში ზეპირად გადაცემული "საკანონმდებლო ნორმები" იოლად დამახინჯდებოდა და გაჩნდებოდა ამ ტექსტების საკმაოდ განსხვავებული ზეპირი და დაწერილი ვარიანტები, რაც სადაეო ვითარებაში მწვავე დაპირისპირების საფუძვლად შეიძლებოდა ქცეულიყო. სწორედ ამგვარი განსხვავებული ინტერპრეტაციების თავიდან აცილება შეეძლო დაწერილ და დროსა და სივრცეში გადაცემულ ინფორმაციას.

მაგალითად, ჩვენს დრომდე მოაღწია უძველესმა ტექსტებმა, რომლებშიც ასახულია ძ.წ. XXIV საუკუნეში შუმერული ქალაქების მმართველების **ენტემენასა** და **ურუინიმგინას** ბრძანებით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი. კერძოდ, ირკვევა, რომ ურუინიმგინას განკარგულებით გაუქმებულა ადრე ქურუმებისა და სასახლის მსახურთათვის დაწესებული ზოგიერთი გადასახადი და ჯარიმები, ასევე დიდი ტაძრების (ზიქურათების) პირუტყვი და მიწები მმართველის საკუთრებიდან გადასულა ქურუმთა ხელთ, ხოლო ქალებს აუკრძალეს პოლიანდრია (მრავალქმრიანობა) და ა.შ. ეს საბუთი არის ერთ-ერთი უძველესი იურიდიული და სოციალური დოკუმენტი, რომელშიც საკმაოდ დაწერილებით არის შემონახული იმ შორეულ დროს არსებული ვითარების სურათი.

დამწერლობას პოლიტიკასთან შორეულ წარსულში მაინც შედარებით ნაკლები კავშირი ჰქონდა, ვიდრე შუა საუკუნეებსა და XIX-XX საუკუნეებში. შუა საუკუნეების განმავლობაში მანამდე დამწერლობის უქონელი ენისათვის ანბანის შერჩევის საკითხს ძირითადად წყვეტდა უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან დამყარებული პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული კავშირები. ამგვარი მაგალითების დასახელება ბლომად შეიძლება:

როცა **შუმერმა**, როგორც სახელმწიფომ, სიძლიერის მწვერვალს მიაღწია, **შუმერული ლურსმნული დამწერლობა** სწორედ ამ მიზეზით გავრცელდა მეზობელ ხალხებში, ხოლო შუმერის დაცემის შემდეგ შუმერულ დამწერლობას გარკვეული ცვლილებებით იყენებდნენ ჯერ **აქადელები**, შემდეგ კი **ბაბილონელები** თავიანთ ენებზე წერისას.

ამჟამინდელი იტალიის ტერიტორიაზე ძველი ბერძნული ქალაქ-კოლონიების არსებობის ფაქტმა და კოლონისტი ბერძნების ადგილობრივ მოსახლეობასთან დამყარებულმა ინტენსიურმა საეაჭრო, პოლიტიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა

კონტაქტებმა განაპირობა **ბერძნული სადამწერლობო სისტემის დასავლური ვარიანტის საფუძველზე** ჯერ **ეტრუსკული ანბანის**, ამ უკანასკნელისაგან კი **ლათინური სადამწერლობო სისტემის** წარმოქმნა. მსგავსი შედეგი მოჰყვა მოგვიანებით ბერძენთაგან ქრისტიანობის გავრცელებას აღმოსავლელ და სამხრეთელ სლავებს შორის, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა **სლავური სადამწერლობო სისტემა**.

ცენტრალურ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის რომიდან გავრცელებამ განსაზღვრა ჯერ **ლათინური ენის** გადაქცევა რელიგიის, კულტურისა და მეცნიერების ენად, ბოლოს კი **ლათინური დამწერლობა** გამოყენებულ იქნა ევროპის დასახლებულ ნაწილებში მცხოვრებ ხალხთა დედაენებისათვის ანბანების შესაქმნელად. ასე წარმოიქმნა ლათინური სადამწერლობო სისტემის ფრანგული, ესპანური, იტალიური, პორტუგალური, გერმანული, ჰოლანდიური, ბასკური, კატალონური, ირლანდიური, შვედური, დანიური, ნორვეგიული, ფინური, ესტონური, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, უნგრული, ლატვიური, ლიტვური და სხვა ენების დამწერლობები. იგივე ლათინური სადამწერლობო სისტემა ძალდატანებით გავრცელდა ამერიკის კონტინენტზე მობინადრე ინდიელთა შორისაც, რასაც თან ახლდა აცტეკური, მაიას, ინკებისა და სხვა ხალხთა ენებზე არსებული დამწერლობების გაქრობა და მათ ნაცვლად ლათინური სადამწერლობო სისტემის გავრცელება. მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში გავრცელებულ **კეჩუა** ენას წარსულში საკუთარი დამწერლობა ჰქონდა, ამჟამად კი იგი გადაყვანილია ლათინურ დამწერლობაზე: უცვლელადაა აღებული 19 ლათინური ასო, ხოლო ამ ენის ბგერათა სპეციფიკის ასახვის მიზნით გამოიყენება რბილი **ნ** ბგერის აღმნიშვნელი ესპანური **Ñ ñ** გრაფემა, გამოყენებულია აგრეთვე 5 დიგრამა (ორ-ორი ასო: **Ch ch, Kh kh, Ph ph, Qh qh, Th th**), ერთი ტრიგრამა (3 ასო: **Chh chh**), ხოლო 5 ასოს გვერდით იწერება აპოსტროფი (**Ch’ ch’, K’ k’, P’ p’, Q’ q’, T’ t’**).

არაბთა მიერ მძლავრი სახელმწიფოს – სახალიფოს შექმნამ განაპირობა დაპყრობილ ქვეყნებში არაბული რელიგიის **ისლამის** გავრცელება, რომელიც კრძალავდა ლოცვის დროს არაბული ენის გარდა სხვა ენების გამოყენებას. დროთა მანძილზე გამუსლიმებულმა ადრე უდამწერლობო ხალხებმა საკუთარ ენაზე წერისათვის დაიწყეს **არაბული დამწერლობის** გამოყენება, ხოლო ზოგმა განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგომმა ახლად გამუსლიმებულმა ხალხმა (**სპარსელებმა,**

ავღანელებმა, ინდოელთა ნაწილმა...) უარყო საკუთარ ენაზე არსებული წინანდელი დამწერლობა და არაბულ სადამწერლობო სისტემის ერთ-ერთ ვარიანტზე **აჯამზე** გადავიდნენ.

მეტად ნიშანდობლივია ამ მხრივ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავების – **სერბების, ხორვატებისა** და **ბოსნიელების** მაგალითი. დღეს სერბები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, ხორვატები აღიარებენ კათოლიკურ ქრისტიანობას, ხოლო ბოსნიელები სუნიტი მაჰმადიანები არიან, თუმცა სამივე ამ ჯგუფის სამეტყველო ეროვნულები იმდენად ახლოსაა, რომ გაგებინების არანაირ პრობლემას არ ქმნის. სერბებს, ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის შექმნილმა კონფუსიურმა სხვაობამ განაპირობა არა მარტო ის, რომ ისინი თაყს სხვადასხვა ხალხებად აღიქვამენ, არამედ ისიც რომ ისინი ორ განსხვავებულ სადამწერლობო სისტემას იყენებენ: **სერბები წერენ სლავური სადამწერლობო სისტემის (კირილიცას) სერბულ ვარიანტზე, ხორვატები და ბოსნიელები კი – ლათინური სადამწერლობო სისტემის** ორ სხვადასხვა ვარიანტზე (ბოსნიელები XX საუკუნის 20-იან წლებამდე არაბულ აჯამზე წერდნენ).

აქვე უფრო დეტალურად განვიხილავთ იმ ხერხებს, რასაც იყენებდა ჯერ ყოფილი **მეფის რუსეთის იმპერია**, შემდეგ – მისი მემკვიდრე **საბჭოთა კავშირი**, ახლა კი იყენებს **რუსეთის ფედერაცია**.

დავიწყოთ იმით, რომ გვიან შუა საუკუნეებში რუსეთის სამეფომ დაიწყო მეზობელი მიწების მცოცავი ანექსია-ოკუპაცია და დაპყრობილ ხალხთა ძალდატანებითი გაქრისტიანება, რასაც თან ახლდა ზოგი დაპყრობილი არაქრისტიანი ხალხის ენაზე რელიგიური ლიტერატურის თარგმნის მცდელობები. თარგმნისას, რა თქმა უნდა, იყენებდნენ **კირილიცას**, რომლის ასოებიც მუდამ არ იყო საკმარისი უნგრულ-ფინური, ურალურ-ალათაური, მონღოლური, თუ პალეოაზიური ენების ბგერითი შემადგენლობის გადმოსაცემად და მოითხოვდა კირილიცაში დამატებითი ასოების, ან დიაკრიტიკული ნიშნების ჩამატებას, ზოგ შემთხვევაში მოცემული ენის რუსულისაგან განსხვავებული ბგერების გადმოსაცემად იყენებდნენ იმ სლავურ ასოებს, რომელთა შესატყვისი ბგერები არ იყო მოცემულ ენაში. ასე ჩნდებოდა სლავური სადამწერლობო სისტემის ახალი ვარიანტები: თათრული, ბაშკირული, ევენკური და სხვ.

თავიდან რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილ ხალხთა გაქრისტიანებასა და ქრისიანული ლიტერატურის ამ ხალხთა ენებზე თარგმნას მხოლოდ იმ მიზანს უსახავდა, რომ **ერთმორწმუნეობის ფაქტორს უფრო მეტად უნდა დაეკავშირებინა დაპრობილნი დამპყრობელთან**, მაგრამ XIX საუკუნეში უკვე დაიწყო **ახალი ეტაპი, როცა დამპყრობელი ცდილობდა დამპყრობილ ხალხთა ენების გაქრობას და ამ მიზნის მოსაახლოვებლად ერთმორწმუნეობის ფაქტორთან ერთად ქმედით იარაღად იყენებდა დამწერლობას**. ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა მთელი კავკასიის ხელში ჩასაგდებად, ხოლო კავკასიელი ხალხების დიდი ნაწილი თავდადებით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. ამ საფეხურზე საქმეში მეცნიერები და ევროპული წარმოშობის განათლებული გენერლები ჩაერიენ, რომლებიც იკვლევდნენ კავკასიაში გავრცელებულ ენებს და ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გეგმავდნენ, თუ **რა ხერხების გამოყენებით მიიღწეოდა უფრო იოლად იმპერიის საბოლოო მიზანი – ყველა კავკასიელი ხალხის დაჩქარებული გარუსება**.

კავკასიის ხალხთა რუსიფიკაციის გეგმის შედგენასა და მის განხორციელებაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პირი იყო გენერალი **პიოტრ უსლარი**, რომელსაც რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ დაავალა, დაეწერა კავკასიელ ხალხთა დეტალური ეთნოლოგიური დახასიათება. რაკი ამ გენერალს მიაჩნდა, რომ ეთნოლოგიური მიმოხილვის დაწერას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი ხალხების ენათა მეცნიერული კვლევა, 1861 წელს შეუდგა იმ დროისათვის დამწერლობის არმქონე კავკასიური ენების, კერძოდ, აფხაზურის შესწავლას, მაგრამ მის წინაშე წამოიჭრა პრობლემა: **რომელი სადამწერლობო სისტემის გამოყენება იყო უმჯობესი ისეთი ურთულესი ბგერითი შემადგენლობის მქონე ენების სიტყვათა ჩასაწერად, როგორიცაა კავკასიური ენები?**

პეტრე უსლარმა იცოდა, რომ კავკასიაში რეალურად მოქმედებდა 3 დამწერლობა: ქართული, სომხური და არაბული სადამწერლობო სისტემები, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო ახალ დამწერლობათა შესაქმნელად. პ. უსლარს არ მოსწონდა ზოგი ენისათვის (მაგალითად, აზერბაიჯანულისათვის...) გამოყენებული არაბული დამწერლობის ვარიანტი აჯამი იმის გამო, რომ იგი რთული იყო შესასწავლად და ასოთა უმრავლესობისათვის 4-4 ვარიანტი არსებობს. მას არც სომხური დამწერლობა მოსწონდა. ამ პრობლემაზე ფიქრის შემდეგ პ. უსლარი თავის გარუსებულ ფრანგ მეგობარს **ადოლფ ბერჟეს** სწერდა:

“...[ქართული ანბანი] ლამის ყველაზე სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის... ყოველი ბგერა გადმოიცემა საგანგებო ნიშნით და ყოველი ასო მუდამ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება – ესაა ორთოგრაფია; ქართველებს, მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სირთულე თითქმის არა აქვთ... აქედან ჩანს, რომ ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს აქამდე დამწერლობას მოკლებული ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძვლად; მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო საანბანო სისტემას [ე.ი. ბგერების გადმოცემის ზოგად წესს – გ.გ., თ.გ.], არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით უნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული წერა-კითხვა კავკასიაში... წინააღმდეგ შემთხვევაში ვქმნით იმის რისკს, რომ ქართული და სხვა ავტონომიების გარდა შევქმნით აფხაზურ ავტონომიასაც”.

პ. უსლარმა დასახელებული პოლიტიკური მოტივით აფხაზური სიტყვების ჩასაწერად გამოიყენა არა ქართული, არამედ სლავური სისტემის რუსული ვარიანტი, რომელშიც იმ ბგერათა გადმოსაცემად, რომლებიც აქვს აფხაზურ ენას და არ მოეპოვება რუსულ დამწერლობას, გამოიყენა გადაკეთებული რუსული ასოები, ანდა დიგრამები (თითო ბგერის გადმომცემი ორ-ორი ასოები). გამონაკლისის სახით კი გამოიყენა ქართული **წ, ჭ, ჯ** ასოები. ზუსტად იგივე ხერხები გაიმეორა გენერალმეცნიერმა ჩერქეზული, უბიხური, ჩეჩნური, ხუნძური, ლაკური, ლეზგიური და თაბასარანული ენების შესახებ მონოგრაფიების წერის დროს.

პეტრე უსლარის ზემოთ დამოწმებული სიტყვები და მისი პრაქტიკული ნაბიჯი ცხადად აჩვენებს, რომ მისთვის მთავარი აფხაზური, ან სხვა კავკასიური ენების განვითარება კი არ იყო, არამედ რუსული იმპერიის სამომავლო პოლიტიკური გეგმები. ამისი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ იმავე დროს თბილისში არსებული **კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების** დაკვეთით აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობდა კომისია გენერალ **ივან ბარტოლომეის** ხელმძღვანელობით, რომელმაც ჩათვალა, რომ აფხაზური ენის ბგერათა გადმოსაცემად ყველაზე შესაფერისი იყო ქართული ანბანი, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესახებ გაიგო პ. უსლარმა, ხელისუფლებასთან დაასმინა ი. ბართოლომეის კომისია და აიძულა იგი, გამოეყენებინა უსლარისეული სისტემა, რაც მოქმედებდა XX საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო **სამწიგნობრო ენათა მასობრივი ლათინიზაცია**, ანუ უკვე დამ-

წერლობის მქონე ენათა გადაყვანა არაბული, სლავური, უიღურული და ებრაული დამწერლობებიდან ლათინურ საანბანო სისტემაზე, ხოლო მანამდე უდამწერლობო ენებისათვის იქმნებოდა ანბანები სწორედ ლათინური სისტემის საფუძველზე. გამონაკლისი იყო მხოლოდ რუსული, უკრაინული, ბელარუსული, ქართული და სომხური ენები, რომელთაც ხელუხლებლად დაუტოვეს ტრადიციული დამწერლობები.

1922 წელს ლათინიზაციის ინიციატორებად აზერბაიჯანელი კომუნისტები გამოიყვანეს და მათი მოთხოვნის შემდეგ 1926 წელს ბაქოში შეიქმნა **ახალი თურქული**[28] **ანბანის ცენტრალური კომიტეტი**. თავიდან კომიტეტის მოვალეობა იყო ლათინიზაციის პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში, შემდეგ კი მის ფუნქციებში შევიდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელმძღვანელობა და კონტროლი. 1930 წელს კომიტეტი გადაიტანეს მოსკოვში და **ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტი** უწოდეს. 1936 წლიდან შეწყდა ენათა ლათინიზაციის პროცესი და დაიწყო უკვე ლათინიზებული სამწიგნობრო ენების სლავურ დამწერლობაზე (კირილიცაზე) გადაყვანის მასობრივი პროცესი, ანუ ამ დროიდან დადგა **ღია რუსიფიკაციის პერიოდი**.

პრაქტიკულად ენათა ანბანების ლათინიზაცია **რამდენიმე უმთავრეს მიზანს** ისახავდა:

1. **ეს იყო ტაქტიკური მანევრი, რომელიც რეალურად ამზადებდა ნიადაგს იმპერიაში გავრცელებული ენების სლავურ დამწერლობაზე მასობრივი გადაყვანისათვის** (სხვათა შორის, საბჭოთა რუსეთის განათლების სახალხო კომისარი, ანუ მინისტრი **ანატოლი ლუნაჩარსკი** ცდილობდა დაერწმუნებინა სახელმწიფოს ლიდერი **ვლადიმერ ლენინი**, რომ ლათინურ გრაფიკაზე უნდა გადაეყვანათ რუსული ენაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა, რუსი ხალხი ამას არ გვაპატიებსო);
2. არაბულ, უიღურულ და ებრაულ დამწერლობებზე დაფუძნებული სამწიგნობრო ენების **ლათინიზაცია საშუალებას იძლეოდა უფრო ეფექტურად ებრძოლათ სამი რელიგიის — ისლამის, ბუდიზმისა და იუდაიზმის აღმოსაფხრელად;**

[28] ტერმინები **აზერბაიჯანელი** და **აზერბაიჯანული** ოფიციალურ სიტყვახმარებაში არ გამოიყენებოდა 1936 წლამდე. მათ მაგიერ გამოიყენებოდა ტერმინები: **თიურქი** (тюрок) და **თიურქული** (тюркский).

3. ლათინიზაციის პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, ანუ 1922-1935 წლებში **ლათინურ გრაფიკაზე გადაიყვანეს ის ენებიც, რომლებსაც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში შეუქმნეს დამწერლობები კირილიცას საფუძველზე**. ესეც ტაქტიკური მანევრი იყო იმის საჩვენებლად, თითქოს კომუნისტები ზრუნავდნენ არა შესაბამის ხალხთა რუსიფიკაციაზე, არამედ მათი კულტურის ამაღლებაზე და ა.შ.

ამ პროცესებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ლათინიზაციის შეწყვეტისა და რუსიფიკაციის დაწყების დროისათვის დადგინდა რუსიფიცირებულ დამწერლობებში რუსული გრაფიკის სხვა ენებისათვის გამოყენების **დრაკონული წესები**, რაც შემდეგს გულისხმობდა:

1. კირილიცაზე გადაყვანილი სამწიგნობრო ენების ანბანებში **აუცილებლად უნდა გამოყენებულიყო უკლებლივ ყველა რუსული ასო**, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ამ ენებს შესაბამისი ბგერები;
2. ანბანებში **კატეგორიულად აიკრძალა რუსულ ასოებზე რაიმე სახის დამატებითი დიაკრიტიკული ელემენტების მიმატება და ამ გზით ამ ასოთა მოხაზულობის ცვლა**. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვები იყო დამატებით ნიშნად მხოლოდ ვერტიკალური ხაზის მიწერა ძირითადი ასოს მარჯვნივ;
3. **კატეგორიულად აიკრძალა რუსული ენიდან ამ ენებში შესული სიტყვების რუსული ორთოგრაფიის წესებისაგან განსხვავებულად წერა.**

ამ წესების მიზანი იყო:

- საბჭოთა კავშირში გავრცელებულ რამდენიმე ათეულ ენაში ყველა რუსული ბგერისა და უცხო ბგერათა კომპლექსების ძალდატანებით დანერგვა;
- ამ ენებში წერისა და წარმოთქმის განსხვავების დანერგვა;
- მოცემულ ენებზე მოლაპარაკეთა **მშობლიური სამეტყველო ბაზისის, ანუ სამეტყველო უნარ-ჩვევების მოშლა და რუსიფიკაციისათვის მყარი საფუძვლის შექმნა.**

ამიტომაა, რომ დღეს რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ეთნოსთა წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა გამოირჩევა რუსიფიკაციის მაღალი დონით.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: ანბანთა ლათინიზაციის პროცესში სრულიად თვითნებურად შეიქმნა დამწერლობები კონკრეტულ ხალხთა შემადგენელი მცირე ჯგუფების (სუბეთნოსების) სამეტყველო ერთეულებზე: დიალექ-


ტებსა და კილოკავებზეც კი, რიოაც განხორციელდა ცნობილი იმპერიული პრინციპი: **"დაყავი და იბატონე!"** საილუსტრაციოდ დავასახელებთ ასე დაქუცმაცებულ კავკასიელ ეთნოსთა ზოგ "ენას":

- **ადიღეური და ყაბარდოული "ენები"**
- **ბალყარული და ყარაჩაული "ენები";**
- **ჩეჩნური და ინგუშური "ენები"**
- **დიგორული ოსური და ირონული ოსური "ენები"...**

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კირილიცას საფუძველზე დამწერლობის შექმნის გზით სცადეს ქართული ენისაგან ჩამოეგლიჯათ **მეგრული და სვანური** მეტყველებანი, ხოლო XX საუკუნეში მათ დაუმატეს **ლაზური "ენაც"**.

ამ შემთხვევებშიც მიზანი ცხადი იყო – დამოუკიდებელი "ენების" შექმნის გზით ხელოვნურად იქმნებოდა ახალი "ეთნოსები", რომელთა საბოლოო გარუსება მხოლოდ დროის საკმედ რჩებოდა.

ილუსტრაციები




სურ. 1-3. ტატუს ნიმუშები



სურ. 4. მონღოლური ნიღაბი



სურ. 5. ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა ნიღაბი



სურ. 6. კაბუკის თეატრის სპექტაკლი. იაპონია




სურ. 7. ბერიკაობა-ყვენობის საყველიერო ნიღბები. საქართველო, კახეთი




სურ. 8. ხალიჩა პიქტოგრაფიული სიმბოლოებით




სურ. 9. შოვეს გამოქვაბულის მხატვრობა (საფრანგეთი). შესრულებულია 32 ათასი წლის წინ



სურ. 10. ალტამირას გამოქვაბულის ხარი (ესპანეთი). ზედა პალეოლითის ხანა




სურ. 11. თრიალეთის (განთიადის) პეტროგლიფები (საქართველო, წალკა)



სურ. 12. ლებაისკარის პეტროგლიფი. (ხევსურეთი) გ. გიგაურის მიხედვით



სურ. 13. გლობექლი-თეფშს პიქტოგრამები (თურქეთი). შესრულებულია დაახლ. 12 ათასი წლის წინ



სურ. 14. ეგვიპტური ღმერთების გამოსახულებანი



სურ. 15. ციფრების ადნიშვნა კიპუს მეშვეობით



სურ. 16-17. პიქტოგრაფიული სიმბოლოები ხევსურულ სამოსზე



სურ. 18. ტოკინები. სუზა, ირანი. ძვ.წ. 3500 წ.



სურ. 19. ტოკინების შესანახი თიხის ბურთულა-"სეიფი" ბეჭდის გამოსახულებით. ჩოღა-მიში, ირანი. ძვ.წ. 3400 წ.



სურ. 20. შუმერულწარწერიანი თიხის ფირფიტა. ქ. ქიში, ერაყი. ძვ.წ. 3300-3100 წწ.



სურ. 21. შუმერის მეფე ნარამსუენას წარწერიანი ბეჭედი. ძვ.წ. XXIII ს. დაცულია ლუვრში (საფრანგეთი)



სურ. 22. მეცხოვნის "პირადობის მოწმობა" შუმერული წარწერით: "[მორიგეობს] ციხის გალავანზე"




სურ. 23. თიხაზე წერის ხერხი




სურ. 24. შუმერული წარწერა თიხის "კონვერტზე". ემჩნევა მწერლის თითების ანაბეჭდი




სურ. 25. ბეჭედი შუმერული წარწერით. გრაკლიანი გორა, კასპის რაიონი



სურ. 26. ბეჰისთუნის ტრილინგვა



სურ. 27. უგარიტული დამწერლობა – ერთადერთი ლურსმნული კონსონანტური ანბანი



სურ. 28. ფინიკია. მის ჩრდილოეთით აღნიშნულია ქალაქი უგარიტი



სურ. 29. ბუსტროფედონით ნაწერი ბერძნული ტექსტი. ქ. გორტინა, კრეტა, ძვ.წ. V ს.



სურ. 30. გრაკლიანი გორის არამეული წარწერა



სურ. 31. ძველებრაული კალენდარი. ძვ.წ. X ს.



სურ. 32. არაბული ორნამენტული ხელწერა



სურ. 33. ბრაჰმით შესრულებული ძველინდური წარწერა



სურ. 34. მონღოლური ეროვნული სიმბოლო სოიომბო



სურ. 35. ეთიოპური დამწერლობის რეფორმატორი მეფე ეზანა. IV ს.




სურ. 36. ხაზოვანი ბ დამწერლობით შესრულებული წარწერა. ირაკლიონი, კრეტა, საბერძნეთი



სურ. 37. ბერძნული ანბანი (აბეცედარიუმი) ჭურჭელზე



სურ. 38. ეტრუსკული ენის გავრცელების არეალი აპენინის ნახევარკუნძულზე



სურ. 39. Liber linteus "სელის წიგნი" ეტრუსკული ტექსტით




სურ. 40. "სტრასბურგის ფიცის წიგნი" ლათინურ ენაზე, რომელიც შეიცავს ფრანგულ ენაზე დაწერილ უძველეს ტექსტსაც. 842 წ.



სურ. 41. გლაგოლიცათი ნაწერი სახარება. ათონის ნახევარკუნძული, ზოგრაფის ბულგარული მონასტერი, საბერძნეთი. X ს.



სურ. 42. კირილიცათი ნაწერი უძველესი სერბული წიგნი "მიროსლავის სახარება". 1185 წ.



სურ. 43. ჩინური ცხიაგუვენი



სურ. 44. ჩოსონ სიოჯონ დიდის 1446 წლის განკარგულება. კორეა



სურ. 45. აცტეკური ლოგოგრამა "სამყარო" მზის, მიწისა და ბნელეთის სიმბოლოებითურთ. მექსიკა



სურ. 46. მაიას იეროგლიფები. მექსიკა



სურ. 47. მხატვრულად გაფორმებული სომხური საზედაო ასოები: ა, ბ და გ



სურ. 48. ძველი სომხური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი




სურ. 49. ალბანეთის საკათალიკოსო. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიხედვით



სურ. 50. უდი ქალი ეროვნულ სამოსში



სურ. 51. ალბანური წარწერა ქ. მინგეჩაურიდან (აზერბაიჯანი)



რაბძრდ

ირონ ადამან ბაზმაღი კუნძეც ფოლკლორ—თაურაღის, ქოფუკომ, ზარუკომ, არღუკომის, ჯუმისანთის, ყუცუ-ყუკუკოს კაი ანუარ ცხუნდეყოსთან. ცსთერ წუსანთეც ის ფოლკლორან, ფოლკლორიც ხუდესი ცხუე ადამე ცარდ რაგჲაჲ-არაგჲის, ადამიან ს ხინდ კაი აიკადონ კეღთერ. ჩხირანდ ფოლკლორ უ კეღთერონ ბეგ კაი ძე ყუკაი მაი ბფუსიც ხდადაჲი ცხუეაღაჲსის. კაიჩერ ეჩნეთ ფოლკლორი, ახდერ ეღეჩნეთ, ბაკეჩეთ აჲი.—ადონე სიერ პიოლეთიანთ ფეჩსიც მ. გორკი.

ბფუსთ ფეჩეცეც ხესსარ ირე ფოლკლორაჲი კრიაც ფეხეჩნეთ აჲაღემიკ მიჭნერე „ირონ ტეფსთე"—1868 აჲე. ჩიჭნერ ჯეცე ტეჩეთიც ბიფეჩარითა ღ. ჩონკაძეც ნეჭხეჩეთ ხესსარ ირე ჯეიანთეთ კაი სიღსიც ჩარეც. ჯეი ტაიან ცალღარ ხესსარ-ირონ თაურაღე ნეჭხეჩეთი ეს. ბიღლერ კაი ან მეჩეჯრი რაჯაღეთი აჲ ჩინეც—„ Осетинские Этюды".


ხესსარ ირე ფოლკლორიც პრეშერეც კეღეი ბესიათ ჰეჩრე პრაცეი აჲ კიხეღ სოეეთონ ხიეკაიაღე რჩიათკეც. ხესსარ ირეჯეთონ ზონალიჩირათან ირითითეთ რაჯიათანჲი პრეკეჩრეთი აჲ რაჩე ბეს—პრეშერეფიენეც ხესსარ ირე ფოლკლორ. ღეც კეცსთაც ჯეი პრეცანილეთი 1923 აჲე. ყანიჩ ნერეი ჭეკეი პრაცეი ოე ძნეჯარ ფოლკლორითან პრაშე—ნირთე ანი დარეჯანთე თაურაღის, ირეჯეთით, ბეჭანთით ჯაცეჩეთან, ზარუკით, ჯეიანანთის, ყუცუ-ყუკუკოს კაი ანე. ჯე. ბეჩრი კეჯეი ცეღი. აჭთან აჲ ჭიჭეღ პრაშე ჩეჭეჯრეთნი ღიჩ ცეცი. 1929—30 აზთე ირითითეთ რაჯიათი პ ჩინეკეც ფოლკლორიც პრაშეკეიც. 1936 აჭე ცეღიჩოლდარ ჭეკეი პრაცეი ფოლკლორაჲი, ჯეი ოე ტოშე ჩეჭეჯრაჲი რაცეცი, ჭიღე ადამე ჩნეჭთე კეჩე ბაბაჯეი აცე ჯეცედეც, კაი ძეჯეცით ყიეეთეთ სეჯადაჩნეკ. ს კონცირეეთლეეცეიან ჭიჭეთაც გაჩეკ ჩინეკეც ბაკეიჩთაჲ ჩნიკეთით ჯონცირეეთლეეცეიან პრაშე. ადამე ჩნიკეთან ს ჭიჭეთა ნს ბანიეხეთეთ. სოეეთონ ბაკით ს პრეკაჭჭი, კაი ჯეით რაჯიათი აჭჭე ჭჭიჩიღ. ჩინეკ ღიჩ ბეკიზ პრაცეი.

ხესსარ ირეჯითონ ზონალიჩირათაც ირითითეთ ნიკაჲი პრეკით ფოლკლორაჲი, რაჯიათიც აჲ ქიღთაი აცე ჩიიანკაც პრაშეკაჲი კაი ბაცითითკეთით ს-ოე ტოშე მეჩეჯრაჲი.

1-ოე ტოშე მიიჭე ბაცეღეჯით—ნირთე კაი დარეჯანთე თაურაღის, ჭიღეჯითის, ბეჭანთით ჯაცეჩეთან, ზარუკით, ჯაიანანთის.

5

სურ. 52. ქართული მხედრული ასოებით ნაბეჭდი 1940 წელს გამოცემული ოსური ფოლკლორის კრებულის წინასიტყვაობა



აფსუა ალფავიტ

ა	თი	ჭჭ	ღ	ცი	ჯშ
ბ	ი	ჭი	ღღ	ძ	ჰ
გ	კ	რ	ყ	ძი	ჰი
გღ	კღ	ს	ყღ	წ	ფ
დ	ლ	ტ	შ	წი	ქ
დი	მ	ჭი	შშ	ჭ	ჳ
ე	ნ	უ	ში	ჭშ	ღ
ვ	ო	ფ	ჩ	ხ	შ
ზ	პ	ქ	ჩშ	ხღ	ი
თ	ჟ	ქღ	ც	ჯ	

სურ. 53. მხედრულის საფუძველზე შექმნილი აფხაზური ანბანი, რომელიც მოქმედებდა 1938-1954 წლებში




სურ. 54. ჯვარი ქართულ-ხუნძური ტექსტებით. დათუნა, დაღესტანი. XIV ს.



სურ. 55. პალესტინის (ბეთლემის) პირველი წარწერა. 432-452 წწ.



სურ. 56. პალესტინის (ბეთლემის) მეორე წარწერა. IV საუკუნის 90-იანი წლები




სურ. 57. ბოლნისის ჯვრიანი წარწერა. V ს.



სურ. 58. მთავარანგელოზები და ქართული ანბანი დავათის სტელაზე





სურ. 59-60. უძველესი ქართულენოვანი წარწერა ნეკრესის ნაქალაქარიდან. სავარაუდოდ ახ.წ. I-III სს.




სურ. 61. გიორგი ბასილისძის კიდურწაისრული წარწერა. ანუხვა, გუდაუთის რაიონი, აფხაზეთის ავტ. რესპ. X-XI სს.



სურ. 62. გურგენ მეფეთა მეფის კიდურწერტილოვანი წარწერა. იშხანი, მცირე ტაძარი. 1006 წ.



სურ. 63. ნიკორწმინდის კიდურყვავილოვანი წარწერა



სურ. 64. დედაბრული ხელით ნაწერი ტექსტი



სურ. 65. ნიქოზის წარწერა. ცხინვალის რაიონი



სურ. 66. მესროპ მაშტოცი. მინიატურა 1651 წლის ხელნაწერიდან



სურ. 67. ქართული დამწერლობის ფუძემდებელი ფარნავაზ მეფე



სურ. 68. ურუინიმგინას "რეფორმის" ტექსტი. ჩიკაგო, ძვ.წ. XXIV ს.

სარჩევი

თავი I. დამწერლობის რაობა და ფუნქციები 3

§1. დამწერლობათმცოდნეობის საგანი, მიზანი და მიმართება სხვა სამეცნიერო დისციპლინებისადმი 3

§2. დამწერლობის რაობა და ფუნქციები 7

§3. რა არის დამწერლობა?. 8

§4. რა ფუნქციებს ასრულებს დამწერლობა? 9

§5. კონკრეტული დამწერლობა (ანბანი) და სადამწერლობო (საანბანო) სისტემა 10

თავი II. დამწერლობამდელი საინფორმაციო გამოსახულებანი 13

§1. ტატუ 14

§2. რიტუალური ნიღბები 18

§3. რიტუალურ-მაგიური ნახატები, ანუ პეტროგლიფები 21

თავი III. დამწერლობის წარმოქმნისა და განვითარების ისტორია 23

§1. დამწერლობის შექმნის წინაპირობები 23

§2. დამწერლობათა კლასიფიკაცია აღსანიშნისა და აღმნიშნელის მიმართების თვალსაზრისით 27

§3. პიქტოგრაფიული დამწერლობა 28

§4. იდეოგრაფიული დამწერლობა 30

§5. ფონო-იდეოგრაფიული (შერეული) დამწერლობა 31

§6. ფონეტიკური დამწერლობა 32

თავი IV. შუმერული დამწერლობა – კაცობრიობის უძველესი წერილობითი მემკვიდრეობა 35

თავი V. უძველესი შერეული და ფონეტიკური დამწერლობები 42

§1. ეგვიპტური შერეული დამწერლობა 42

§2. ქანაანური დამწერლობა 44

§3. ძველსპარსული დამწერლობა 45

§4. უგარიტული დამწერლობა 45

§5. ფინიკიური დამწერლობა – თანამედროვე დამწერლობათა უმრავლესობის წინაპარი 46

თავი VI. ფინიკიური დამწერლობისაგან მომდინარე კონსონანტური დამწერლობები 50

§1. არამეული დამწერლობა 53

§2. თანამედროვე სირიული (ასირიული) სადამწერლობო სისტემა 55

§3. ებრაული სადამწერლობო სისტემა 55

§4. არაბული სადამწერლობო სისტემა 57

თავი VII. არამეულის გავლენით შექმნილი აღმოსავლური სადამწერლობო სისტემები 61
§1. ინდური სადამწერლობო სისტემა 61
§2. სანსკრიტი და მისი დამწერლობა დევანაგარი 65
§3. მონღოლური სადამწერლობო სისტემა 68
§4. ეთიოპური სადამწერლობო სისტემა 70
თავი VIII. ბერძნული სადამწერლობო სისტემა, მისგან მომდინარე ეტრუსკული ანბანი, ლათინური და სლავური საანბანო სისტემები 73
§1. ბერძნული სადამწერლობო სისტემა 73
§2. ეტრუსკული ანბანი 76
§3. ლათინური სადამწერლობო სისტემა 78
§4. სლავური სადამწერლობო სისტემა 80
თავი IX. ჩინური და იაპონური სადამწერლობო სისტემები 83
§1. ჩინური სადამწერლობო სისტემა 83
§2. იაპონური სადამწერლობო სისტემა 88
თავი X. კორეული სადამწერლობო სისტემა 91
თავი XI. ამერიკელ ინდიელთა დამწერლობები 96
თავი XII. სომხური სადამწერლობო სისტემა 99
თავი XIII. კავკასიის ალბანელთა დამწერლობა 107
თავი XIV. ქართული სადამწერლობო სისტემა 117
§1. ქართული სადამწერლობო სისტემა და მისი ვარიანტები 117
§2. უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები 119
§3. ქართულ ასოთა ცვლილებანი დროში 123
§4. ქართული დამწერლობის წარმომავლობის, შექმნის დროისა და შემქმნელის ვინაობის საკითხი 136
4.1. ქართული დამწერლობის შექმნის სომხური მითი და მისი კრიტიკული ანალიზი 137
4.2. ქართული დამწერლობის შექმნის ქართული ვერსიები 147
თავი XV. დამწერლობა, რელიგია და პოლიტიკა 152

ილუსტრაციები 161

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ე. პოლიტკოვსკის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com